ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 125 (12 500) 29 მაისი ხუთშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

Beijing 2008

დარჩა 71 დღე



**მილანი ეტოოს არ ეშვება**

მსოფლიო ფეხბურთი 6-10

**ფიორენტინამ ჟილარდინო გადაიფორმა**

მსოფლიო ფეხბურთი 6-10



# სკოლარი სამი ფორვარდით შეგვიტევს

2



UEFA EURO2008 Austria-Switzerland



7-29 ივნისი. ავსტრია/შვეიცარია

## ევროპის ჩემპიონატის მონაწილეთა განაცხადები

6-7

## პეტარ სეგრტი: ასათიანის ცუდ თამაშს თავისი გამართლება აქვს



## ხორვატმა ძველებისა და ახლების სინთეზი უნდა მოასწროს

2

## ბათუმს უმაღლესში ტოვებენ?

საკლუბო ამბები 3

## ლოკომოტივი ინტერტოტოზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პორტუგალია-საქართველოს წინ

## პეტარ სეგრტი:

# ძველებისა და ახლების კარგი სინთეზი გვინდა

## ლომაია უკეთაა, კვირკველიაც



პეტარ სეგრტი

ესტონელებთან მატჩის შემდეგ, ეროვნულმა ნაკრებმა ისევ ტალინის სასტუმრო "გრანდ ოტელ მერიტონს" მიაშურა. გუშინ, დილით კი **პეტარ სერტმა** გუნდს აღდგენითი ვარჯიში ჩაუტარა. ამას მოჰყვა დასვენება, სადილი და საღამოს 6 საათზე ქართული დელეგაცია ჩარტერული ავიარეისით ტალინიდან პორტუში ჩაფრინდა. საპორტო ქალაქში ჩვენებს პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები, სპეციალური ავტობუსით დახვდნენ და ყველამ ერთად ქალაქ ვიზეუსკენ აიღო გეზი. პორტუდან ვიზეუმდე გზას საათამდე დასჭირდა და ჩვენი ნაკრებიც ამ ქალაქში დაბინავდა, ანუ იქ, სადაც შაბათს, 31 მაისს, პორტუგალიის ნაკრებთან მორიგ ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს.

წუხელ, ნაკრების თავკაც პეტარ სეგრტს დავუკავშირდით და საუბარი ესტონეთთან თამაშის შეფასებით დავიწყეთ.

*"კარგად ვიცი, რომ ესტონეთში ისე ვერ ვითამაშეთ, როგორც ჩვენი გულშემატკივარი ელოდა. სამუშაო ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს. ტალინში მოგება ვერ შევძელით, მაგრამ ამას თავისი ახსნაც აქვს.*

*თუ ჩვენ გვინდა, რმ მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ნაკრებმა წარმატებით იასპარეზოს, მაშინ, გამოცდილი და ახალგაზრდა ფეხბურთელების შერწყმით, კარგი გუნდი უნდა ჩამოვაყალიბოთ. ჩვენც სწორედ ამ გზას ვადგავართ. მიხარია, რომ 21-წლამდელთა ნაკრების ფეხბურელები ტალინში კარგად წარმოჩნდნენ. ვფიქრობ, ეს ის ახალი სისხლია, რომელიც უდავოდ სჭირდება ეროვნულ გუნდს. ესტონეთში ეროული ნაკრების თავკაცის პოსტზე სადებიუტო მატჩი მქონდა და ყველანაირად შევეცადე აქცენტი იმ ტაქტიკა-სტრატეგიაზე გამეკეთებინა, რომელიც ახალგაზრდულ ნაკრებში უკვე დავნერგე. ეს აგრსიული პრესინგია და სხვა კომპონენტებია. ეროვნულში ამას პირველად შევეცადე და, ბუნებრივია, ყველაფერი ისე არ გამოგვივიდა, როგორც გვინდოდა. ჩემს ფეხბურთელებს ეს რომ აეთვისებინათ, 21-წლამდელთა ნაკრებში საამისოდ 6 თვე დამჭირდა. ვფიქრობ, ეროვნულში ეს უფრო ნაკლებ დროში მოხერხდება, რადგან აქ უფრო გამოცდილი და მაღალი კლასის ფეხბურთელები თამაშობენ.*

*საბოლოო ჯამში კი ჩვენი მუშაობა იქითკენაა მიმართული, რომ 6 სექტემბერს, ახალი შესარჩევი ციკლის პირველ მატჩს, ირლანდიასთან, გუნდი სრულ მზადყოფნაში შეხვდეს".*

ტალინში **მალხაზ ასათიანის** სუსტმა თამაშმა ბევრი გააკვირვა და სეგრტს ამაზეც დავეკითხეთ.

*"ასათიანმა ესტონეთში ისე ვერ ითამაშა, როგორც მე და ბევრი ელოდა, მაგრამ მას ბოლომდე ვენდობი. სისუსტე კი იმით აიხსნება, რომ მას ამ ეტაპზე სათამაშო პრაქტიკა და თავდაჯერება აკლია. ასათიანი ჩემთვის მნიშვნელოვანი ფიგურაა და, საერთოდ, საქართველოში ცოტა გვყავს მისი დონის ფეხბურთელი. ასათიანს, ვიმეორებ, ბოლომდე ვენდობი და პორტუგალიასთან მატჩში ის კვლავაც ძირითად შემადგენლობაში იქნება...*

*დღეს (ე. ი. გუშინ - ავტ.) დილით გუნდს აღდგენითი ვარჯიში ჩავუტარე. სხვადასხვა დატვირთვები მივეცი იმ ფეხბურთელებს, ვინც ტალინში სრულად ითამაშა და ვინც ბოლოს ჩაერთო მატჩში, ან საერთოდ არ მოუწია თამაში. ასათიანმა, საკუთარი ინიციატივით ივარჯიშა და დიდად დაიტვირთაიმ ფეხბურთელებთან ერთად, რომლებიც ტალინში მოედაზე არ გამოსულან. ის ნამდვილი პროფესიონალია".*

ხორვატ მწვრთნელს დაშავებულებზე ვკითხეთ. ჩვენი ინფორმაციით, **დათო კვირკველიას** გარდა, მეკარე **გიორგი ლომაიასაც** მცირედი პრობლემა ჰქონია და, ბუნებრივია, მათი ამბით დავინტერესდით.

*"კვირკველია უკეთაა და, ვფიქრობ, ხვალ გუნდთან ერთად ივარჯიშებს. ლომაიას ფეხის ცერა თითის ტკივილი აწუხებდა, მაგრამ, ვფიქრობ, მხოლოდ მსუბუქი ტრავმაა და საგანგაშო არაფერია",* - საუბრის ბოლოს გვითხრა პეტარ სეგრტმა.

**დავით ცაბაძე**

---

სამწვრთნელო საკითხი

# რას ნიშნავს ფინკეს კი?

## ის საქართველოს ნაკრებს ჩაიბარებს

საქართველოს ნაკრებს ჯერაც დროებითი მთავარი მწვრთნელი ჰყავს, თუმცა შესაძლოა რამდენიმე დღეში გადაწყდეს, ვინ უთავკაცებს ჩვენს ეროვნულ გუნდს. ამაზე სასუბროდ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ რევაზ არველაძეს მივმართეთ.

**- დაახლოებით როდის ეყოლება საქართველოს ნაკრებს მთავარი მწვრთნელი?**

- დამდეგი შესარჩევი ციკლის დაწყებამდე ეს საკითხი, ცხადია, აუცილებლად გადაწყდება. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რა პასუხს მივიღებთ ჩვენი ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატებისგან.

**- როგორც შევიტყვეთ, ამ ეტაპზე კანდიდატი ერთია - ფოლკერ ფინკე...**

- ახლა ფინკეს გარდა მართლა არავისთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას. ფინკესგან პასუხს დღე-დღეზე, არაუგვიანეს ამ თვის ბოლოს ველით. ფინკე მაშინაც იყო ერთ-ერთი კანდიდატი, როცა ბრანკო ივანკოვიჩზე იყო საუბრები. ივანკოვიჩმა ზაგრების "დინამო" არჩია, ჟაკ სანტინიმ რამდენჯერმე გადაგვიდო მოლაპარაკება, ზოგს უკეთესი შეთავაზება ჰქონდა და მაგიტომ გვითხრა უარი. მოკლედ, სამუშაო პროცესში ვართ.

**- თუ ფინკემ თანხმობა შემოგითვალათ, მისი საქართველოს ნაკრების მწვრთნელობა გადაწყვეტილია?**

- ასეთ შემთხვევაში კონტრაქტის დეტალები დარჩება შესათანხმებელი და საკითხი ალბათ დადებითად გადაწყდება. ფინკესთან პირობებზე არ გვისაუბრია, ჯერ მხოლოდ ჩვენი ნაკრების მწვრთნელობა შევთავაზეთ.

**- რატომ არის ფინკეს ვარიანტი სხვაზე უფრო მიმზიდველი ფეხბურთის ფედერაციისთვის? მას რამდენიმე დღის წინათ შეხვდით კარლსრუეში და რა საკვანძო საკითხებზე ისაუბრეთ?**

- აღმოჩნდა, რომ ის სკმაოდ კარგადაა ინფორმირებული ჩვენს ნაკრებზე, ჩვენთან საუბრისთვის მომზადებული იყო. მან ზოგადად კი არა, კონკრეტულად ილაპარაკა საქართველოს ნაკრების რამდენიმე საკითხზე. იმ შეხვედრას ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაციც დაესწრო. გარდა ამისა ფინკე გამოცდილი სპეცილისტია, კარგად აზროვნებს, ფეხბურთზე საკუთარი, განსაკუთრებული შეხედულება აქვს და მუხლჩაუხრელი შრომა იცის, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

**- ფინკეს პასუხს ალბათ ისიც აყოვნებს, რომ მას კონტრაქტი აქვს ერთ-ერთ შვეიცარიულ ტელკომპანიასთან...**

- ეს ფაქტორიც არსებობს, თუმც მისი თანხმობის შემთხვევაში საქმე არ უნდა გართულდეს.

**დავით თავართქილაძე**



რევაზ არველაძე

---

# სკოლარის 23 საქართველოსთვის

## პორტუგალია 3 ფორვარდით დაგვიხვდება



ორ დღეში ჩვენს ეროვნულ ნაკრებს მორიგი ამხანაგური მატჩი ელის. **პეტარ სეგრტის** გუნდს 31 მაისს ვიზეუში **ლუიშ ფელიპე სკოლარის** პორტუგალია დაუხვდება. პორტუგალიამ ევროპის ჩემპიონატზე უნდა იასპარეზოს და კარგა ხანია, საამისოდ ემზადება. პორტუგალიელების ინფორმაციით ნაკრები უკვე ვიზეუში ვარჯიშობს. სკოლარიმაც დაასახელა იმ 23 ფეხბურთელის ვინაობა, რომელსაც ქართველებთან ამხანაგური მატჩისთვის ამზადებს.

მეკარეები: **კუიმი (ბენფიკა), რიკარდუ (სევილია), რუი პატრისიო (სპორტინგი).**

მცველები: **ბრუნო ალვეში, ბოსინგვა (ორივე პორტუ), ფერნანდო მეირა (შტუტგარტი), ჟორჟე რიბეირუ (ბოავიშტა), პეპე (რეალი), მიგელი (ვალენსია), პაულუ ფერეირა, რიკარდუ კარვალიუ (ორივე ჩელსი).**

ნახევარმცველები: **დეკუ (ბარსელონა), პეტიტი (ბენფიკა), რაულ მეირელეში (პორტუ), ჟოაო მოუტინიუ, მიგელ ველოზო (ორივე სპორტინგი).**

თავდამსხმელები: **კრიშტიანო რონალდუ, ნანი (ორივე მანჩესტერი), უგო ალმეიდა (ვერდერი), ელდერ პოშტიგა (პანათინაიკოსი), ნუნუ გომეში, რიკარდუ კვარეშმა (პორტუ), სიმაო (ატლეტიკო).**

პორტუგალია-საქართველოს ამხანაგურ მატჩს ისრაელელი მსაჯები გაუძღვებიან. მთავარი არბიტრი **ლევი მეირი** გახლავთ, ლაისმენები **დევიდ ნისანი** და **ჰატუკა ეიალია**. მეოთხე მსაჯი კი პორტუგალიელი **პაულუ ბაპტიშტაა**. თამაში ვიზეუში ადგილობრივი დროით 18:15 სთ-ზე (თბილისის დროით 21:15 სთ.) დაიწყება. მატჩის პირდაპირი ტელერეპორტაჟის ნახვა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით შეგეძლებათ.

რაც შეეხება ჩვენს მეტოქეს, პორტუგალია ფიფას მაისის რეიტინგში მე-9 ადგილზეა. მასპინძლებმა ბოლოს ამხანაგური მატჩი დიუსელდორფში საბერძნეთთან გამართეს და 1:2 წააგეს. სკოლარის გუნდიდან გოლი **ნუნუ გომეშმა** გაიტანა. ლუიშ ფელიპე სკოლარის გუნდი, ევროპის ჩემპიონატს 7 ივნისს თურქეთთან მატჩით იწყებს და საქართველო სპარინგად ამიტომაც აწყობდა.

პორტუგალიელი მიმომხილველების მტკიცებით, სკოლარის საქართველოსთან მატჩში 4-3-3 ტაქტიკური სქემის მოსინჯვა აქვს გადაწყვეტილი. ასე რომ, ჩვენს ნაკრებს შაბათს დიდი გამოცდა ელის, პორტუგალიელები 3 ფორვარდით შეგვიტევენ.

**დავით ცაბაძე**

---

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
ბარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: **პაატა გელაშვილი;** მიმართულების რედაქტორები: **მამუკა ჩიხლაძე** (ქართული ნაწილი); **გია თვალაბეიშვილი** (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: **პაატა თოთაძე** (ქართული ფეხბურთი), **შალვა ბიბილაშვილი** (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: **ნოდარ დუგლაძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: **მიხეილ ჯაში;** გავრცელების სამსახური: **ბაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გივი ვეშაპიძე;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.**

მისამართი: **0159 თბილისი, ახმეტელის 10ა** (დიღომი, ახალი კინოსტუდია, I სართული); ტელეფონები: **46 32 62, 46 32 56, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი);
ფაქსი: **+995. 32 46 32 62;** ელფოსტა: **sporti@sporti.ge;** ინდექსი **66435 INDEX.**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა გეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# აპელაცია დაკმაყოფილებულია

## საფიქრალი ისლა დარჩა, ტოვებენ ბათუმს უმაღლესში?

ლიცენზირების საკითხს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ძალიან დიდ ყურადღებას აქცევს: მიმდინარეობს კლუბების ლიცენზირება, რაც უეფას მოთხოვნაა და თუ ვინმე ამ პირობებს ვერ დააკმაყოფილებს, შელავათი არ იქნება.

ჟურნალისტიკას უყვარს სიზუსტე, მაგრამ ლიცენზირების თემა იმდენად აქტუალური, ბევრჯერ გაჟღერებული და უტყუარი გახლავთ, მოვიძიე ამონარიდები იმ ინტერვიუებიდან, სადაც პატივცემული ჩინოვნიკები ირწმუნებიან, ლიცენზირება მკაცრად ჩატარდება, ასე რომც არ გვინდოდეს, შემმოწმებლად უეფა გვყავს და ყველაფერი წესის მიხედვით მოხდებაო.

გუშინ, ლიცენზირების სააპელაციო ორგანომ იმ ორი გუნდის საჩივარი განიხილა, ლიცენზირება რომ ვერ გაიარეს. აპელაცია დააკმაყოფილეს - ჭიათურის "მაღაროელსა" და "ბათუმს" უმაღლეს ლიგაში თამაშის პირობითი ლიცენზია უბოძეს - თუ ეს გუნდები 15 ივნისამდე ვერ შესწვდებიან სალიცენზიო მოთხოვნებს, უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება ჩამოერთმევათ.

"მაღაროელმა" პირველ ლიგაში იმარჯვა და უმაღლესში სათამაშოდ ლიცენზიაღა აკლდა, ხოლო "ბათუმი" უმაღლეს ლიგაში ბოლოდან მეორე, მეცამეტე ადგილზე გავიდა და შესაბამისად უმაღლესი ლიგიდან გავარდა.

ფორმალურად, რაგინდარა ლიგის გუნდს შეუძლია უმაღლესი ლიგის ლიცენზიის აღება, თუ შესაბამის მოთხოვნებს აკმაყოფილებს. სეზონის დამთავრებისთანავე ხმები დაირხა, "ბათუმს" უმაღლესი ლიგიდან მაინც არ გააგდებენ, როგორ შეიძლება აჭარას გუნდი არ ჰყავდეს უმაღლეს ლიგაშიო?

ლოგიკურია, "ბათუმს" უმაღლეს ლიგაში დარჩენის იმედი რომ აქვს, თორემ რატომ იჩქარებდა ლიცენზიის აღებას, თანაც პირობითისას?

ვინძლო ისევ ანაქრონიზმთან გვაქვს საქმე - ეს გუნდი არ უნდა გავარდეს თავისი ტრადიციების, გეოგრაფიული მდებარეობის თუ კიდევ სხვა უცნაური მიზეზების გამო.

ნაპრალი კი ყველა წესსა და კანონშია და "მაღაროელმა" თუ "ბათუმმაც" სათავისოდ შემოატრიალეს საქმე.

ეს ყველაფერი იმ საგარანტიო წერილებს ჰგავს, პროფლიგა უმაღლესი ლიგის გუნდებს რომ სთხოვს სამონაწილეო თანხის სანაცვლოდ, რომლის შემდეგ ირკვევა, რომ ზოგ გუნდს მხოლოდ ავტობუსის საწვავისთვის ყოფნის წლიური ბიუჯეტი და ფეხბურთელები მეორე ტაიმში მოედანზე არ გადიან, დავალიანება გაგვისტუმრეთო.

საინტერესოა, რას ნიშნავს პირობითი ლიცენზია. თუ კლუბმა წლებისა თუ თვეების განმავლობაში ვერ მოაბა საქმეს თავი, სამ კვირაში რა უნდა მოასწროს? თქმა არ უნდა, ყოველივე ამაზე პასუხი გამზადებული იქნება.

სიყალბე მოქმედების ფორმად არ უნდა ჩამოყალიბდეს, თორემ ბურთმა ყველგან უნდა იგოროს, ბათუმშიც და ჭიათურაშიც.

**დავით თავართქილაძე**

ევროტურნირი

# ლოკომოტივი ინტერტოტოზე



ლოკომოტივი ძალებს ევროპაშიც მოსინჯავს

3 ივნისს, უეფამ უნდა იცოდეს რომელი კლუბი წარადგენს საქართველოს ინტერტოტოს გათამაშებაზე. თავდაპირველად, საუბარი იყო რუსთავის "ოლიმპზე", მაგრამ რუსთაველებმა საბოლოოდ უარი განაცხადეს. ლიგის დებიუტანტ "მესხეთს" ძალიან კი უნდოდა ინტერტოტოზე თამაში, მაგრამ ახალციხელთა კლუბს უეფას ლიცენზია არ აქვს და ეს ვარიანტიც გამოირიცხა. "ბორჯომმაც" უარი თქვა ასპარეზობაზე და დარჩა "სიონი". ბოლნისელებმა ფეხბურთის ფედერაციიდან შესაბამისი დოკუმენტაცია კი აიღეს უეფაში გასაგზავნად, მაგრამ საბოლოოდ ეს ვარიანტიც გამოირიცხა. გუშინ კი გავიგეთ, რომ ინტერტოტოზე საქართველოს თბილისის "ლოკომოტივი" წარადგენს. კლუბის ხელმძღვანელობას დიდი სურვილი აქვს გუნდმა ევროპაში იასპარეზოს...

*"როგორც იცით, იმ კლუბებმა, რომელთაც ინტერტოტოზე ასპარეზობა, ეკუთვნოდათ, ანუ უეფას ლიცენზია ჰქონდათ, გარკვეულ მიზეზთა გამო უარი თქვეს. ჩვენ გვაქვს სურვილი, ამ გათამაშებაში ვითამაშოთ. იმედი გვაქვს, სავიზო პრობლემა დროულად მოგვარდება"*, - "ლელოსთან" საუბარში განაცხადა თბილისის "ლოკომოტივის" პრეზიდენტმა **ლექსო თოფურიამ**.

**დავით ცაბაძე**

საავარაუდო ტრანსფერი

# ბოიომო და ჩასემი ზესტაფონში?



ბოიომო

სხვა ქართული გუნდების დარად, თასის მფლობელი "ზესტაფონიც" შევებულებაშია. თუმცა ევროტურნირებზე მოასპარეზე გუნდები სხვებზე ადრე დაიწყებენ მზადებას. როგორც შევიტყვეთ, ზესტაფონელები 5 ივნისს შეიკრიბებიან და 6 დღის განმავლობაში ბაკურიანში ივარჯიშებენ. შეკრებაზე აქცენტი ფიზიკურ კონდიციებზე გაკეთდება. 14-24 ივნისს კი **თემურ მახარაძის** გუნდი ურეკში მოემზადება და სამ ამხანაგურ მატჩსაც ჩაატარებს. 26 ივნისიდან "ზესტაფონი" ორკვირიან შეკრებაზე ანკარას მიაშურებს. იმერლები საკონტროლო მატჩებს თურქეთშიც გამართავენ, მაგრამ მეტოქეთა ვინაობა ჯერჯერობით გარკვეული არაა.

უეფას თასზე ასპარეზობის წინ გუნდი გაძლიერდება. როგორც გავიგეთ, "ზესტაფონს" ბოლნისის "სიონის" კამერუნელების, მცველ **ბოიომო ფრიდოლინისა** და ფორვარდ **ერიკ რომეო ჩასემის** დამატება აქვს გადაწყვეტილი. აფრიკელებს ბოლნისელებთან საკონტრაქტო ვადა მალე ეწურებათ. ცნობა ზესტაფონელთა კლუბის წარმომადგენელმა **ვლადიმერ პანოვმაც** დაგვიდასტურა.

*"ჩვენ მართლა გვაქვს სურვილი ბოიომოსა და ჩასემის დამატებით გუნდი გავაძლიეროთ. ჩვენი ინფორმაციით ამ ფეხბურთელებს "სიონთან" კონტრაქტი უმთავრდებათ. რამდენიმე დღეში კამერუნელი ფეხბურთელების აგენტი გია გურული საფრანგეთიდან ჩამოვა და მათ ტრანსფერებზე უკვე კონკრეტულ მოლაპარაკებებსაც გავმართავთ"*, - "ლელოსთან" საუბარში განაცხადა ვლადიმერ პანოვმა.

**დავით ცაბაძე**



ჩასემი

# 3 ივნისის ყველა მონაწილე ცნობილია

3 ივნისს შოთა არველაძის გამოსათხოვარი მატჩია და საბოლოოდ გაირკვა, რა შემადგენლობა ეყოლებათ მეტოქე გუნდებს - შოთას უცხოელ მეგობრებს და საქართველოს ნაკრებს, რომელიც ვეტერანი და მოქმედი ფეხბურთელებით იქნება დაკომპლექტებული.

**საქართველოს ნაკრები**

ირაკლი ზოიძე, გიორგი ლომაია, ნიკა ჩხეიძე, მურთაზ შელია, კახა ცხადძე, კახა კალაძე, გიორგი ლუდუშაური, მალხაზ ასათიანი, ზურაბ ხიზანიშვილი, ლევან კობიაშვილი, კახი გოგიჩაიშვილი, რევაზ არველაძე, არჩილ არველაძე, გიორგი ნემსაძე, გოჩა ჯამარაული, გიორგი ქინქლაძე, ალეკო რეხვიაშვილი, ლევან ცქიტიშვილი, ალექსანდრე იაშვილი, თემურ ქეცბაია, მიხეილ ყაველაშვილი, გოგა გახოკიძე, გოჩა ტყებუჩავა, დავით მუჯირი, რატი ალექსიძე, გიორგი ანჩაბაძე, ზაქარია ბეგლარიშვილი.

მწვრთნელები: ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი.

**უცხოელი მეგობრები:**

ფრედი გრიმი (ჰოლანდია), ჰალიდ სინუ (მაროკო), მორის როსი (შოტლანდია), აარონ ვინტერი, დენი ბლინდი, ფრანკ დე ბური, რონალდ დე ბური, არტურ ნუმანი, დენი ლანზაატი, რიხარდ ვიჩგე, ედგარ დავიდსი, კენეტ პერესი, მიხაელ მოლსი, დენ კუვერმანსი, დინ გორე ( ჰოლანდია), ტიჯანი ბაბანგიდა (ნიგერია), რუბი ალესი, (ესპანეთი), დამიანო ტომაზი (იტალია), თოლუნაი კაფკასი, ოგუნი ( თურქეთი), კლაუდიო კანიჯა (არგენტინა), ბრაიან ლაუდრუპი, მიქაელ ლაუდრუპი (დანია), ანდრეი ვორონინი (უკრაინა), ანდრეი კანჩელსკისი ( რუსეთი).

მწვრთნელები: ლუის ვან გაალი და მორტენ ოლსენი .

3 ივნისის მატჩისთვის მზადება საქართველოს ამ ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელმა უკვე დაიწყო, დღეს კი ბევრი მათგანი საღამოს შვიდ საათზე "დინამოს" დილმის ბაზაზე შეიკრიბება სავარჯიშოდ.

**დავით თავართქილაძე**

# ალკმაარმა შოთა ოფიციალურად მიიწვია

სანამ **შოთა არველაძე** და მისი მეგობრები 3 ივნისის მატჩისთვის ემზადებიან, "ალკმაარიდან" შოთას ოფიციალური წინადადება მიუვიდა - ყოფილი კლუბი არველაძეს გუნდის მთავარი მწვრთნელის, **ლუის ვან გაალის** თანაშემწეობას სთავაზობს.

ვან გაალმა ადრეც გამოთქვა ასეთი სურვილი, ახლა კი ყოველივეს ოფიციალური ფორმა მიეცა. შოთა ამსტერდამში 31 მაისს ჩავა და "ალკმაარს" თანამშრომლობის დეტალებზე დაელაპარაკება. 2 ივნისს კი გამოსათხოვარი მატჩისთვის თბილისში ჰოლანდიელ მეგობრებთან ერთად ჩამოვა.

არველაძემ "ალკმაარში" ორი სეზონი (2005-06 და 2006-07) ითამაშა და ერედივიზიონის მატჩებში 36 გოლი გაიტანა, ბოლო ალკმაარულ სეზონში გუნდის კაპიტანიც გახლდათ.

**დავით თავართქილაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# აშვეთიამ ზედიზედ მესამედ გაისროლა



აშვეთიამ (მარცხნივ) ზედიზედ მესამე ტურში გაიტანა

რუსეთის პირველი დივიზიონის მე-14 ტურში **ომარ თეთრაძის** „ანჟიმ" პოდოლსკში ბოლო წუთზე გამოგლიჯა სამი ქულა „ვიტიაზს". რაინდთა კარში გამარჯვების გოლი 31 წლის ფორვარდმა **მიხეილ აშვეთიამ** გაიტანა. ისევე, როგორც წინა ტურში, აშვეთია შეცვლაზე შევიდა და როგორც მაშინ, „ნოსტას" წინააღმდეგ, გოლი გაიტანა. „ვიტიაზთან" სასტარტო შემადგენლობაში თეთრაძემ ქართველთაგან მხოლოდ **ვალერი აბრამიძე** ათამაშა. აშვეთია 62-ე წუთზე შევიდა **შამილ ასილდაროვის** მაგივრად. **გოჩა ხოჯავამ** 78-ე წუთზე **ანდრეი სტრელცოვი** შეცვალა. **გიორგი ნავალოვსკი** და **რევაზ ბარაბაძე** ნაკრებში იყვნენ გამოძახებული და ამიტომ არ უთამაშიათ, არ გამოჩენილან **რევაზ ჯიქია** და **ზურაბ არზიანი**. აშვეთიამ უკვე დამატებულ წუთზე შეაგდო გოლი, ქართველი ერთი-ერთზე გავიდა „ვიტიაზის" გოლკიპერ **ჩიჟოვთან**, აჯობა ამ უკანასკნელს და „ანჟის" სამი ქულა მოუტანა. არადა იმ დროისათვის სტუმრები ათი კაცით თამაშობდნენ (87-ე წუთზე მახაჭყალელი **აგალაროვი** გააგდეს). ვეტერან ფორვარდს ზედიზედ მესამე ტურია გააქვს რუსეთის პირველ დივიზიონში. აშვეთიას 11 მატჩში 5 გოლი დაუგროვდა. „ანჟის" და „როსტოვს" 29-29 ქულა აქვთ და ჩემპიონატს ლიდერობენ. **პაატა ჯინჭარაძის** ბრიანსკის „დინამო" შინ 1:3 დამარცხდა „ზვეზდასთან".

# საოცარი დასასრული აზერბაიჯანში

ბოლო ტურის წინ ბაქოს „ინტერის" ხელმძღვანელობამ აგდამის „ყარაბახი" 500 ათასი მანათით (დაახლოებით მილიონი ლარი) დააინტერესა, თუკი დევნილთა გუნდი ლიდერ „ოლიმპიკს" დაამარცხებდა გასვლაზე. ასეც მოხდა, ყველასთვის მოულოდნელად, **გოგა ბერაიას** გუნდმა მართლაც დაამარცხა „ოლიმპიკი" 1:0. აზერბაიჯანი საოცარი ქვეყანაა საფეხბურთო თვალსაზრისით, მხოლოდ ამ მატჩის შემდეგ გაიმართა „ინტერი"-„კაბალას" შეხვედრა, ბაქოელებმა იოლად გაანადგურეს ქართული კვარტეტის გუნდი – 4:0 და მეტი გამარჯვების წყალობით ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს. „ინტერმა" და „ოლიმპიკმა" 58-58 ქულით დაასრულეს ჩემპიონატი. **გიორგი ადამიას** და „ნეფთჩის" 55 ქულით ბრინჯაოს მედლები შეხვდათ. „ყარაბახს" 41 ქულით მეხუთე ადგილი ერგო, ხოლო „კაბალას" (36 ქულა) – მეექვსე. საინგილოში „სიმურგი" მარცხს **დავით ბოლქვაძემ** გადაარჩინა, მან მე-20 წუთზე გაუტანა „ხაზარს" (1:1). „სიმურგმა" მეშვიდე ადგილი იკმარა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მეტოქე

# ჩერნოგორიამ ყაზახეთს ტაიმი აკმარა

გუშინწინ, ესტონეთ-საქართველოს ამხანაგური მატჩის პარალელურად, კიდევ რამდენიმე ამხანაგური თამაში შედგა. სხვა წყვილებიდან ჩვენთვის საინტერესო ერთი შეხვედრაა. მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, ჯგუფის მეტოქე ჩერნოგორიამ ყაზახეთს უმასპინძლა. **ზორან ფილიპოვიჩის** გუნდმა 9 ათასი ქომაგის თვალწინ, პირველივე ტაიმშივე დაუსვა წერტილი თამაშს. ყაზახთა კარს ქართული ფესვების მქონე მეკარე **დავით ლორია** იცავდა. ლორიას კარის ბადე პირველად, მე-15 წუთზე, **დალოვიჩმა** შეარხია. ზუსტად ექვს წუთში **დრინჩიჩმა** ორამდე გაზარდა ანგარიში. შესვენებამდე, არბიტრის მიერ კომპენსირებულ დროში დალოვიჩმა დუბლი მიითვალა და საბოლოო ანგარიში - 3:0 დააფიქსირა.

ყაზახეთის წინააღმდეგ ჩერნოგორიამ ასეთი შემადგენლობით იასპარეზა: **ბოჟოვიჩი (67. იანუევიჩი), პავიჩევიჩი, ტანასიევიჩი (ოგნიანოვიჩი), იოვანოვიჩი (49. პუროვიჩი), პეიოვიჩი, დრინჩიჩი, ბოშკოვიჩი (46. პეკოვიჩი), ვ. ბოჟოვიჩი (56. ზვეროტიჩი), ვუკჩევიჩი, ბოგავაცი, დალოვიჩი (77. ვუჩინიჩი).**

**დავით ცაბაძე**



დუბლის ავტორი დალოვიჩი

ინტერვიუ გივი კვარაცხელიასთან

# რატომ ბელორუსი? რუსეთისკენ მოკლე გზაა

**საქართველოს ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი გივი კვარაცხელია კარიერას ბელორუსში გააგრძელებს. ლიტვის ჩემპიონის ქართველი ვიცე-კაპიტანი "კაუნასში" სამი წლის წინათ, თბილისის "ოლიმპიდან" ჩაირიცხა. კვარაცხელიას ახალი კლუბი მინსკის "მტზ-რიპოა". ანუ, ვლადიმირ რომანოვის საფეხბურთო იმპერიაში შესაკრებთა გადაადგილებით, ჯამი არ შეცვლილა – ქართველი ფეხბურთელი ლიტველი ბიზნესმენის ერთი გუნდიდან მეორეში გადავიდა.**

**29 წლის კვარაცხელიამ "კაუნასში" ბოლო შეხვედრა ვილნიუსის "ჟალგირისთან" ჩაატარა და ბელორუსულ კლუბს შეუერთდა. ქართველ ფეხბურთელს დავუკავშირდით და ინტერვიუ ჩამოვართვით:**

**- რატომ ამჯობინე მაინც და მაინც "მტზ-რიპოში" თამაში და არა რომელიმე სხვა გუნდში?**

- ლიტვაში ყველაფერი მოვიგე, ამბიცია დავკარგე და წასვლა მსურდა. ჩემს იქ დარჩენას აზრი არ ჰქონდა. პროფესიონალი ვარ - ვხედავდი, რომ "კაუნასში" პროგრესი აღარ მექნებოდა და წავედი იქ, სადაც, ჩემი აზრით, ფეხბურთს მეტი პერსპექტივა აქვს. ბოლოს და ბოლოს, ლიტვა კალათბურთის ქვეყანაა, ბელორუსში კი ფეხბურთი გაცილებით მეტად უყვართ.

**- ეს გასაგებია, მაგრამ ბელორუსის ჩემპიონატი ლიტვისას რითი ჯობია?**

- ამაზე ლაპარაკი მიჭირს, რადგან ბელორუსში ჯერ არ მითამაშია. თუმცა ყველა მეუბნება, რომ უფრო მაღალი დონის პირველობაა.

**- "მტზ-რიპოში" უკვე ივარჯიშე?**

- დიახ, ახლა მინსკიდან 300 კილომეტრში, ბრესტში ვემზადებით.

**- შეკრება ასე ადრიანად დაიწყეთ?**

- ბელორუსში ხომ ჩემპიონატი გაზაფხული-შემოდგომის სისტემით ტარდება და მომზადების გრაფიკი ლიტვისა და საქართველოსგან განსხვავდება. უკვე ვივარჯიშე და გუნდი საკმაოდ მომეწონა, ახალგაზრდული კოლექტივია, მაგრამ ძლიერი. როგორც მითხრეს, ახლა კიდევ უფრო ძლიერდებიან და სერბ ფორვარდსა და ბოსნიელ ნახევარმცველს ელოდებიან. "მტზ-რიპოში" ბელორუსის ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების სამ-სამი ფეხბურთელია. მოკლედ, სერიოზული გუნდია.

პირადად, ვარჯიშები და საფეხბურთო ატმოსფერო მინსკში უფრო მომწონს. "კაუნასი" მაგრად მიყვარდა, მაგრამ უფრო დიდ დონეზე თამაში მსურდა, საამისო პირობები კი "მტზ-რიპოში" გაცილებით უკეთესია. თანაც, გუნდი უეფას თასზე ითამაშებს და ეს საკმაოდ საინტერესო პერსპექტივაა.

**- ბელორუსებთან მოლაპარაკება როდის დაიწყე?**

- ყველაფერი უცბად გადაწყდა, სულ რაღაც ერთ კვირაში. "რიპოს" მთავარი მწვრთნელი ეროვნული ნაკრების ყოფილი თავკაცი იური პუნტუსია და მას სურდა ჩემი აყვანა. იოლად მოგვარდა ყველაფერი, რადგან ეს რომანოვის გუნდია.

**- ეს ვიცი, რომ რომანოვისაა. თუმცა შენი ნალაპარაკებიდანაც მახსოვს, რომ გპირდებოდა, რუსეთში წაგიყვანო. გეოგრაფია ხომ არ ეშლება?**

- არა.

**- სიტყვა რატომ გატეხა? თუ უბრალოდ დროის გაყვანით ცდილობდა შენს შენარჩუნებას?**

- რომანოვი გვერდში მიდგას იმ დღიდან, რაც გავიცანი. "მტზ-რიპო" ჩემთვის უკეთესი ვარიანტია და მერე, იქნებ, ზამთარს ტყუილად არ ველოდები. ბელორუსებს რუსეთში "მწვანე" აქვთ ანთებული. თანაც, ჩემი ახალი მთავარი მწვრთნელი ძალიან სერიოზული სპეციალისტია და მასთან მომზადებით, იმედი მაქვს, რომ დონეს ავიმაღლებ.

**- იური პუნტუსი მართლა კარგი სპეციალისტია. ე.ი. არჩევანი მწვრთნელის გამო გააკეთე?**

- დიახ, მწვრთნელის ფაქტორმაც იმოქმედა.

**- და უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორი რა იყო? პირობები? ფაქტია, რომ ლიტვის შემდეგ, ფეხბურთელის პროგრესად რუსეთში ან უკრაინაში გადასვლა ჩაითვლება.**

- დიახ, სპორტული და ფინანსური ფაქტორები, მწვრთნელიც გითხარით.

**- ნაკრებში უთამაშებლობის გამო, ახლა ფინანსური მოტივაცია შენთვის სპორტულზე მნიშვნელოვანი გახდა? თანაც, დაოჯახდი.**

- რომ იცოდეთ, დიდი ფინანსური სარგებლობა არც მიმილია. რაც შეეხება ნაკრებს, ჩემთვის მისი კარები ვილაცებმა, რატომღაც, დაკეტეს.

**- შეგიძლია გვითხრა, ვინ და რატომ? და თუ კონკრეტულად არ ამბობ, მაშინ რატომ აგითვალწუნეს?**

- არ ვიცი, ალბათ, ამ ნაკრების დონეზე ვერ ვთამაშობ...

**- შენი პასუხიდან ისე დავასკვენი, რომ ისევ რუსეთში მოხვედრაზე ფიქრობ და რუსეთისკენ მოკლე გზად ბელორუსი ჩათვალე?**

- დიახ, ასეა.

**- როდის გააფორმე კონტრაქტი?**

- კონტრაქტით არ მივდივარ. ისე გამოდის, რომანოვმა გამყიდა და მიყიდა, იჯარით მივდივარ.

**- ეს რომანოვის იმპერიის ერთ-ერთი, მაგრამ ყველაზე პრესტიჟული კლუბი ნამდვილად არაა. მართლა მაინტერესებს, არ ჰკითხე, რუსეთში დაპირებული კლუბები რატომ არ გაგიკეთა?**

- ის თვლის, რომ ეს ჩემი კარიერისთვის წინგადადგმული ნაბიჯია.

**- შენც თვითონაც ასე ფიქრობ?**

- ბელორუსი ლიტვას ჯობია. იქნებ, ნაკრების ხელმძღვანელებმა ჩემკენ ახლა მაინც გამოიხედონ. კონტრაქტი კი ერთ წელიწადში მიმთავრდება. მერე ვინ გამაჩერებს? ამ გუნდს წლეულს დიდი ამბიციები აქვს, ჩემპიონობას უმიზნებენ და უეფაზე კარგად გამოსვლას გეგმავენ. ვნახოთ, რა იქნება.

**- მანჩხავა და ხუბუტია რჩებიან, თუ ისინიც შენთან ითამაშებენ?**




- მე როგორც ვიცი, "კაუნასში" რჩებიან.

**- "მტზ-რიპოში" ქართველები არიან?**

- მგონი, ბრესტის "დინამოშია" თოდუა, სხვა ქართველი აქ არავინაა.

**- რომელია უკეთესი გუნდი "მტზ-ზიპო" თუ "კაუნასი"?**

- ჩემი აზრით, დღეისათვის "რიპო", მაგრამ ორი წლის წინათ რომ გეკითხათ, ორი აზრი არ იყო – "კაუნასი".

**- დაბოლოს, როგორც ვიცი, ლიტველ გოგონაზე დაოჯახდი და ჯერ ამას გილოცავ და მეორეც - მეუღლემ შენი ბელორუსში გადასვლა არ გააპროტესტა?**

- ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს და ყოველთვის და ყველგან ერთად ვიქნებით.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. სეზონის შეჯამება. ბათუმი

# უმაღლესი ლიგის გავარდნილი კანდიდატი

**ბათუმი**

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|
| თედორაძე | 25 | 25 | - | 3 | - |
| ვ. კუნჭულია | 22 | 21 | - | 1 | - |
| ბეჟანიძე | 22 | 19 | - | - | - |
| მაკარიანი | 21 | 20 | - | 2 | - |
| კ. მახარაძე | 20 | 20 | 1 | 3 | 1 |
| ოქრუაშვილი | 20 | 9 | 1 | 3 | - |
| ცანავა | 19 | 15 | 1 | 5 | 1 |
| დემურაძე | 16 | 11 | - | 1 | - |
| თოთლაძე (მეკ.) | 15 | 13 | -28 | 3 | - |
| კაკალაძე | 14 | 12 | 1 | - | - |
| ქებაძე** | 13 | 13 | 5 | - | - |
| დარჩიძე* | 13 | 12 | 1 | 3 | - |
| ტულუში | 12 | 1 | - | 1 | - |
| გ. ჩხეტიანი** | 10 | 9 | 3 | - | - |
| ლ. მახარაძე | 9 | 6 | - | - | - |
| ზ. ჭელიძე* | 8 | 8 | - | 2 | - |
| სტურუა (მეკ.)** | 8 | 8 | -15 | - | 1 |
| ბაბუნაშვილი** | 8 | 8 | - | 3 | - |
| გ. მოდებაძე | 8 | 8 | 1 | - | - |
| ქუთათელაძე** | 8 | 4 | - | - | - |
| გ. ნოდ. ჭელიძე** | 7 | 7 | - | - | - |
| თურმანიძე** | 6 | 6 | - | - | - |
| მამინაშვილი (მკ.)* | 6 | 5 | -9 | - | - |
| ა. ბაჯელიძე | 6 | 2 | - | 1 | - |
| ფარტენაძე | 6 | 2 | - | 1 | - |
| ბაციკაძე* | 5 | 3 | 1 | 1 | - |
| ბ. მახარაძე | 4 | 2 | - | - | - |
| ნაჭყებია* | 1 | 1 | - | - | - |
| ჩაზმავა** | 1 | - | - | - | - |
| კაკაბაძე** | 1 | - | - | - | - |
| ჩელებაძე** | 1 | - | - | - | - |
| ზაქარეიშვილი** | 1 | - | - | - | - |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 26 | 23 | 1 | 2 | 67-18 | 70 |
| 2. ვიტ-ჯორჯია | 26 | 19 | 3 | 4 | 45-14 | 60 |
| 3. ზესტაფონი | 26 | 18 | 5 | 3 | 56-16 | 59 |
| 4. ოლიმპი | 26 | 16 | 4 | 6 | 26-16 | 52 |
| 5. ამერი | 26 | 15 | 3 | 8 | 48-27 | 48 |
| 6. მესხეთი | 26 | 11 | 6 | 9 | 29-30 | 39 |
| 7. მგლები | 26 | 10 | 3 | 13 | 27-33 | 33 |
| 8. სიონი | 26 | 9 | 5 | 12 | 34-35 | 32 |
| 9. ბორჯომი | 26 | 9 | 4 | 13 | 32-39 | 31 |
| 10. ლოკომოტივი | 26 | 7 | 6 | 13 | 27-35 | 27 |
| 11. სპარტაკი | 26 | 5 | 8 | 13 | 15-28 | 23 |
| 12. მერანი | 26 | 6 | 1 | 19 | 15-54 | 19 |
| ***13. ბათუმი*** | ***26*** | ***4*** | ***4*** | ***18*** | ***16-51*** | ***16*** |
| 14. დილა | 26 | 1 | 5 | 20 | 12-53 | 8 |



ბათუმელები შარშან გავარდნას გადარჩნენ, წლეულს კი...



ავთანდილ კუნჭულია

**"ბათუმმა"** სეზონი ამირან გოგიტიძის ხელმძღვანელობით დაიწყო, ცოტა ხნით გუნდს კანტიძე-ნასუაშვილის დუეტმაც უხელმძღვანელა, სეზონის უმეტეს ნაწილში კი აჭარელთა მთავარი მწვრთნელი ავთანდილ კუნჭულია იყო. თუმცა "ბათუმში" ვითარება ვერც მან გამოასწორა. სეზონის მეორე ნახევარს გუნდი გაძლიერებული შემადგენლობით შეხვდა, მაგრამ ერთადერთი, რაც ზღვისპირელებმა მეორე წრეში შეძლეს, ბოლოდან ბოლოსწინა ადგილზე გადასვლა იყო. ისე კი, რომ არა პირველ წრეში მოპოვებული ოთხიოდე ქულა, საქმე აქამდე ალბათ, არ მივიდოდა.

ახლა ბათუმელები ლიცენზირების კომიტეტის გადაწყვეტილების მოლოდინში არიან. გამორიცხული არაა, უმაღლესი ლიგის რომელიმე ბინადარმა სალიცენზიო მოთხოვნების დაკმაყოფილება ვერ შეძლოს და მისი ადგილი "ბათუმმა" დაიკავოს.

### ავთანდილ კუნჭულია
მთავარი მწვრთნელი

"ბევრი ვეცადეთ, მაგრამ სამწუხაროდ, უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება ვერ შევძელით. ზამთარში გუნდი გავაძლიერეთ, მაგრამ ახალწვეულთა დიდმა ნაწილმა ვერ გაამართლა. შეცდომები მეც დავუშვი... თუმცა ისიც ფაქტია, რომ კონკურენტებთან საგრძნობი ჩამორჩენა გვქონდა, რისი აღმოფხვრაც შეუძლებელი აღმოჩნდა".

### საუკეთესო მატჩი

"ბოლოსწინა ტურში შინ "ზესტაფონს" ტოლი არ დავუდეთ და ნულოვან ფრეს დამსახურებულად მივაღწიეთ".

### ყველაზე ცუდი მატჩი

"შეხვედრების დიდი ნაწილი დაბალ დონეზე ჩავატარეთ, აქედან განსაკუთრებით სუსტად საკუთარ მოედანზე ვითამაშეთ "ვიტ ჯორჯიასთან", რომელთანაც 0:3 დავმარცხდით".

### პლუსი

"ჩემპიონატში ბოლოსწინა ადგილი დავიკავეთ და აქედან გამომდინარე, პლუსებზე საუბარი უადგილო იქნება".

### მინუსი

"მეორე წრეს მოუმზადებლები შევხვდით. ზედ სეზონის განახლების წინ ძლიერი ფეხბურთელები კი დავიმატეთ, მაგრამ მოსამზადებელი ეტაპი ფაქტობრივად, გაგვიცდა. რა გასაკვირია, რომ ამ ფაქტორმა გუნდის თამაშს დაღი დაასვა".

### პროგრამა მინიმუმი პროგრამა მაქსიმუმი

"თუ უმაღლეს ლიგაში დავრჩით, მაღალი საფეხურებისთვის ვიბრძოლებთ, ხოლო თუ პირველ ლიგაში დავქვეითდით, ნამდვილად შეგვწევს იმის ძალა, რომ უმაღლესს მალევე დავუბრუნდეთ".

### მზადება

"გუნდი 20 ივნისისთვის შეიკრიბება, ჯერჯერობით უცნობია, სად მოვემზადებით მომავალი სეზონისთვის".

### საკადრო პოლიტიკა

"ამ საკითხზეც უახლოეს პერიოდში ჩამოვყალიბდებით. არც ერთ ფეხბურთელს გუნდში დარჩენა გარანტირებული არა აქვს, დავიტოვებთ მხოლოდ იმ მოთამაშეებს, რომლებიც გუნდისთვის ბოლომდე დაიხარჯებიან. ბუნებრივია, ახალწვეულებიც გვეყოლება".

### ფინანსური მდგომარეობა

"ამ დროისთვის კლუბში ყველაფერი რიგზეა, ქალაქის მერია და აჭარის მთავრობა გვერდში გვიდგანან და თუ ასე გაგრძელდა, ნამდვილად შესაძლებელი იქნება მაღალი მიზნებისთვის მებრძოლი გუნდის ჩამოყალიბება"

### რჩეულნი

"ჩვენი გუნდის შემადგენლობიდან **შოთა ბაბუნაშვილს, ლაშა ქებაძესა** და მეკარე **ირაკლი თოთლაძეს** გამოვარჩევ, სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად კი დინამოელი **გიორგი მერებაშვილი** მიმაჩნია".

### ბათუმი და ქომაგი

"ბათუმელებმა გუნდს მეტი მონდომება შეატყევს და სტადიონზე ხალხის რაოდენობამ შედარებით იმატა. ქომაგთა მხარდაჭერის იმედი მომავალ სეზონშიც გვექნება".

### მსაჯობა

"მეორე წრეში მსაჯების შეცდომებმა არაერთხელ დაგვაზარალა – მაგალითად, "მესხეთთან", "ვიტ ჯორჯიასთან"... საერთოდ, არბიტრები ხშირად იღებენ აუტსაიდერთათვის საზიანო გადაწყვეტილებებს".

### ორი ჩემპიონატის შედარება

"ვფიქრობ, ამ ჩემპიონატს წინა სჯობდა. წინა სეზონში უმაღლეს ლიგაში უფრო მეტი ძლიერი გუნდი თამაშობდა და ინტრიგაც მეტი იყო".

**ლევან ჯანეზაშვილი**




**I ტური**
ს | დილა | 0:1

**II ტური**
შ | ოლიმპი | 0:1

**III ტური**
ს | სიონი | 0:1

**IV ტური**
შ | ბორჯომი | 1:1
გოლი: გ. მოდებაძე

**V ტური**
ს | მერანი | 1:2
გოლი: გალოგრე

**VI ტური**
შ | სპარტაკი | 0:1

**VII ტური**
ს | დინამო | 0:7

**VIII ტური**
ს | მგლები | 0:1

**IX ტური**
შ | ამერი | 0:3

**X ტური**
ს | ვიტ ჯორჯია | 1:4
გოლი: დარჩიძე

**XI ტური**
ს | ზესტაფონი | 0:4

**XII ტური**
შ | ლოკომოტივი | 1:0
გოლი: ბაციკაძე

**XIII ტური**
შ | მესხეთი | 1:2
გოლი: კ. მახარაძე

**XIV**
შ | დილა | 0:0

**XV ტური**
ს | ოლიმპი | 0:1

**XVI ტური**
შ | სიონი | 0:0
გოლი: ქებაძე

**XVII ტური**
ს | ბორჯომი | 2:1
გოლები: გაგა ჩხეტიანი (2)

**XVIII ტური**
შ | მერანი | 0:2

**XIX ტური**
ს | სპარტაკი | 1:0
გოლი: ოქრუაშვილი

**XX ტური**
შ | დინამო | 1:4
გოლი: კაკალაძე

**XXI ტური**
შ | მგლები | 2:0
გოლები: ქებაძე (2)

**XXII ტური**
ს | ამერი | 1:4
გოლი: ცანავა

**XXIII ტური**
შ | ვიტ ჯორჯია | 0:3

**XXIV ტური**
ს | მესხეთი | 2:3
გოლები: ქებაძე, გაგა ჩხეტიანი

**XXV ტური**
შ | ზესტაფონი | 0:0

**XXVI ტური**
ს | ლოკომოტივი | 1:4
გოლი: ქებაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევრო 2008. განაცხადები

## A ჯგუფი

| შვეიცარია | | |
|---|---|---|
| **მეკარეები** | | |
| 1. დიეგო ბენალიო | 08.09.1983 | ვოლფსბურგი (გერ) |
| 18. პასკალ ცუბერბიულერი | 08.01.1971 | ქსამაქსი |
| 21. ელდინ იაკუპოვიჩი | 02.10.1984 | გრასჰოპერსი |
| **მცველები** | | |
| 2. იოჰან ჯურუ | 18.01.1987 | არსენალი (ინგ) |
| 3. ლუდოვიკ მანინი | 20.04.1979 | შტუტგარტი (გერ) |
| 4. ფილიპ სენდეროსი | 14.02.1985 | არსენალი (ინგ) |
| 5. სტეფან ლიხტშტაინერი | 16.01.1984 | ლილი (საფ) |
| 13. სტეფან გრიხტინგი | 30.03.1979 | ოსერი (საფ) |
| 17. კრისტოფ შპიხერი | 30.03.1978 | აინტრახტი (გერ) |
| 20. პატრიკ მიულერი | 17.12.1976 | ლიონი (საფ) |
| 23. ფილიპ დეგენი | 15.02.1983 | ლივერპული (ინგ) |
| **ნახევარმცველები** | | |
| 6. ბენიამინ ჰუგელი | 07.07.1977 | ბაზელი |
| 7. რიკარდო კაბანიასი | 17.01.1979 | გრასჰოპერსი |
| 8. გოიქჰან ინლერი | 27.06.1984 | უდინეზე (იტა) |
| 10. ჰაქან იაკინი | 22.02.1977 | იანგ ბოიზი |
| 14. დანიელ ჟიგაქსი | 28.08.1981 | მეცი (საფ) |
| 15. ჟელსონ ფერნანდესი | 02.09.1986 | მანჩ. სიტი (ინგ) |
| 16. ტრანკვილო ბარნეტა | 22.05.1985 | ლევერკუზ. (გერ) |
| 19. ვალონ ბეჰრამი | 19.04.1985 | ლაციო (იტა) |
| 22. იოჰან ფონლანტენი | 01.02.1986 | ზალცბურგი (ავს) |
| **თავდამსხმელები** | | |
| 9. ალექსანდერ ფრაი | 15.07.1979 | დორტმუნდი (გერ) |
| 11. მარკო შტრელერი | 18.06.1981 | ბაზელი |
| 12. ერენ დერდიოკი | 12.06.1988 | ბაზელი |
| **მწვრთნელი** | | |
| *იაკობ კუნი, 12.10.1943* | | |

| ჩეხეთი | | |
|---|---|---|
| **მეკარეები** | | |
| 1. პეტრ ჩეხი | 20.05.1982 | ჩელსი (ინგ) |
| 16. იარომირ ბლაჟეკი | 29.12.1972 | ნიურნბერგი (გერ) |
| 23. დანიელ ჟიტკა | 20.06.1975 | ანდერლეხტი (ბელ) |
| **მცველები** | | |
| 2. ზდენეკ გრიგერა | 14.05.1980 | იუვენტუსი (იტა) |
| 5. რადოსლავ კოვაჩი | 27.11.1979 | სპარტაკი (რუს) |
| 6. მარეკ იანკულოვსკი | 09.05.1977 | მილანი (იტა) |
| 12. ზდენეკ პოსპეჩი | 14.12.1978 | კოპენჰაგენი (დან) |
| 13. მიხალ კადლეცი | 13.12.1984 | სპარტა |
| 18. ტომაშ შივოკი | 15.09.1983 | სპარტა |
| 21. ტომაშ უიფალუში | 24.03.1978 | ფიორენტინა (იტა) |
| 22. დავიდ როზენალი | 05.07.1980 | ლაციო (იტა) |
| **ნახევარმცველები** | | |
| 3. იან პოლაკი | 14.03.1981 | ანდერლეხტი (ბელ) |
| 4. ტომაშ გალაშეკი | 15.01.1973 | ნიურნბერგი (გერ) |
| 7. ლიბორ სიონკო | 01.02.1977 | კოპენჰაგენი (დან) |
| 14. დავიდ იაროლიმი | 17.05.1979 | ჰამბურგი (გერ) |
| 17. მარეკ მატეიოვსკი | 20.12.1981 | რედინგი (ინგ) |
| 19. რუდოლფ შკაჩელი | 17.07.1979 | ჰერტა (გერ) |
| 20. იაროსლავ პლასილი | 05.01.1982 | ოსასუნა (ესპ) |
| **თავდამსხმელები** | | |
| 8. მარტინ ფენინი | 16.04.1987 | აინტრახტი (გერ) |
| 9. იან კოლერი | 30.03.1973 | ნიურნბერგი (გერ) |
| 10. ვაცლავ სვერკოსი | 01.11.1983 | ბანიკი |
| 11. სტანისლავ ვლჩეკი | 26.02.1976 | ანდერლეხტი (ბელ) |
| 15. მილან ბაროში | 28.10.1981 | პორტსმუთი (ინგ) |
| **მწვრთნელი** | | |
| *კარელ ბრიუკნერი, 13.11.1939* | | |

| პორტუგალია | | |
|---|---|---|
| **მეკარეები** | | |
| 1. რიკარდო | 11.02.1976 | ბეტისი (ესპ) |
| 12. კუიმი | 13.11.1975 | ბენფიკა |
| 22. რუი პატრისიო | 15.02.1988 | სპორტინგი |
| **მცველები** | | |
| 2. პაულო ფერეირა | 18.01.1979 | ჩელსი (ინგ) |
| 3. ბრუნო ალვეში | 27.11.1981 | პორტუ |
| 4. ჟოზე ბოსინგვა | 24.08.1982 | პორტუ |
| 5. ფერნანდო მეირა | 05.06.1978 | შტუტგარტი (გერ) |
| 13. მიგელი | 04.01.1980 | ვალენსია (ესპ) |
| 14. ჟორჟე რიბეირო | 09.11.1981 | ბოავიშტა |
| 15. პეპე | 26.02.1983 | რეალი (ესპ) |
| 16. რიკარდო კარვალიო | 18.05.1978 | ჩელსი (ინგ) |
| **ნახევარმცველები** | | |
| 6. რაულ მეირელესი | 17.03.1983 | პორტუ |
| 8. პეტიტი | 25.09.1976 | ბენფიკა |
| 10. ჟოაო მუტინიო | 08.09.1986 | სპორტინგი |
| 18. მიგელ ველოზო | 11.05.1986 | სპორტინგი |
| 20. დეკუ | 27.08.1977 | ბარსელონა (ესპ) |
| **თავდამსხმელები** | | |
| 7. კრისტიანო რონალდო | 05.02.1985 | მანჩესტერ იუნ (ინგ) |
| 9. უგო ალმეიდა | 23.05.1984 | ვერდერი (გერ) |
| 11. სიმაო საბროზა | 30.10.1979 | ატლეტიკო (ესპ) |
| 17. რიკარდო კუარეზმა | 26.09.1983 | პორტუ |
| 19. ნანი | 17.11.1986 | მანჩესტერ იუნ (ინგ) |
| 21. ნუნუ გომეში | 05.07.1976 | ბენფიკა |
| 23. ელდერ პოსტიგა | 02.08.1982 | პანათინაიკოსი (საბ) |
| **მწვრთნელი** | | |
| *ლუიშ ფელიპე სკოლარი, 11.09.1948* | | |

| თურქეთი | | |
|---|---|---|
| **მეკარეები** | | |
| 1. რუშთუ | 10.05.1973 | ბეშიქთაში |
| 12. თოლგა ზენგინი | 10.10.1983 | ტრაბზონი |
| 23. ვოლქან დემირელი | 27.10.1981 | ფენერბახჩე |
| **მცველები** | | |
| 2. სერვეთ ჩეთინი | 17.03.1981 | გალათასარაი |
| 3. ჰაქან ბალთა | 23.03.1983 | გალათასარაი |
| 4. გიოქჰან ზანი | 07.09.1981 | ბეშიქთაში |
| 13. ემრე გიუნგორი | 08.01.1984 | გალათასარაი |
| 15. ემრე ასიქი | 13.12.1973 | ანკარა |
| 16. უგურ ბორალი | 14.04.1982 | ფენერბახჩე |
| 20. საბრი სარიოგლუ | 26.07.1984 | გალათასარაი |
| **ნახევარმცველები** | | |
| 5. ემრე ბელოზოგლუ | 07.09.1980 | ნიუკასლი (ინგ) |
| 6. მეჰმეთ თოფალი | 03.03.1986 | გალათასარაი |
| 7. მეჰმეთ აურელიო | 15.12.1977 | ფენერბახჩე |
| 11. თუმერ მეთინი | 14.10.1974 | ლარისა (საბ) |
| 14. არდა თურანი | 30.01.1987 | გალათასარაი |
| 17. თუნჯაი სანლი | 16.01.1982 | მიდლსბრო (ინგ) |
| 18. ქაზიმ ქაზიმი | 26.08.1986 | ფენერბახჩე |
| 19. აიჰან აქმანი | 23.02.1977 | გალათასარაი |
| 22. ჰამით ალთინთოფი | 08.12.1982 | ბაიერნი (გერ) |
| **თავდამსხმელები** | | |
| 8. ნიჰათი | 23.11.1979 | ვილიარეალი (ესპ) |
| 9. სემიჰ შენთურქი | 29.04.1983 | ფენერბახჩე |
| 10. გიოქდენიზ ქარადენიზი | 11.01.1980 | რუბინი (რუს) |
| 21. მევლუთ ერდინჩი | 25.02.1987 | სოშო (საფ) |
| **მწვრთნელი** | | |
| *ფათიჰ თერიმი, 09.04.1953* | | |

## B ჯგუფი

| ავსტრია | | |
|---|---|---|
| **მეკარეები** | | |
| 1. ალექს მანინგერი | 04.06.1977 | სიენა (იტა) |
| 21. იურგენ მახო | 24.08.1977 | აეკ (საბ) |
| 23. რამაზან ოზქანი | 28.06.1984 | ჰოფენჰაიმი (გერ) |
| **მცველები** | | |
| 3. მარტინ შტრანცლი | 16.06.1980 | სპარტაკი (რუს) |
| 4. ემანუელ პოგატეტცი | 16.01.1983 | მიდლსბრო (ინგ) |
| 12. რონალდ გერკალიუ | 12.02.1986 | აუსტრია (ვ) |
| 13. მარკუს კატცერი | 11.12.1979 | რაპიდი |
| 14. გიორგი გარიჩი | 08.03.1984 | ნაპოლი (იტა) |
| 15. სებასტიან პრიოდლი | 21.06.1987 | შტურმი |
| 16. იურგენ პატოკა | 30.07.1977 | რაპიდი |
| 17. მარტინ ჰიდენი | 11.03.1973 | აუსტრია (კ) |
| **ნახევარმცველები** | | |
| 2. იოახიმ შტანდფესტი | 30.05.1980 | აუსტრია (ვ) |
| 5. კრისტიან ფუხსი | 07.04.1986 | მატერსბურგი |
| 7. ივიცა ვასტიჩი | 29.09.1969 | ლინცერი |
| 8. კრისტოფ ლაიტგები | 14.04.1985 | ზალცბურგი |
| 10. ანდრეას ივანშიტცი | 15.10.1983 | პანათინაიკოსი (საბ) |
| 11. უმით ქორქმაზი | 17.09.1985 | რაპიდი |
| 19. იურგენ შაუმელი | 08.09.1984 | შტურმი |
| **თავდასხმელები** | | |
| 9. როლანდ ლინცი | 09.08.1981 | ბრაგა (პორ) |
| 18. რომან კიენასტი | 29.03.1984 | ჰამ-კამი (ნორ) |
| 20. მარტინ ჰარნიკი | 10.06.1987 | ვერდერი (გერ) |
| 22. ერვინ ჰოფერი | 14.04.1987 | რაპიდი |
| **მწვრთნელი** | | |
| *იოზეფ ჰიკერსბერგერი, 27.04.1948* | | |

| ხორვატია | | |
|---|---|---|
| **მეკარეები** | | |
| 1. სტიპე პლეტიკოშა | 08.01.1979 | სპარტაკი (რუს) |
| 12. მარიო გალინოვიჩი | 15.11.1976 | პანათინაიკოსი (საბ) |
| 23. ვედრან რუნიე | 10.02.1976 | ლანსი (საფ) |
| **მცველები** | | |
| 2. დაროს შიმიჩი | 12.11.1975 | მილანი (იტა) |
| 3. იოსიპ შიმუნიჩი | 18.02.1978 | ჰერტა (გერ) |
| 4. რობერტ კოვაჩი | 06.04.1974 | დორტმუნდი (გერ) |
| 5. ვედრან კორლუკა | 05.02.1986 | მანჩესტერ სიტი (ინგ) |
| 6. ჰრვოიე ვეიჩი | 08.06.1977 | ტომი (რუს) |
| 15. დარიო კნეჟევიჩი | 20.04.1982 | ლივორნო (იტა) |
| **ნახევარმცველები** | | |
| 7. ივან რაკიტიჩი | 10.03.1988 | შალკე (გერ) |
| 8. ოგნიენ ვუკოიევიჩი | 20.12.1983 | დინამო |
| 10. ნიკო კოვაჩი | 15.10.1971 | ზალცბურგი (ავს) |
| 11. დარიო სრნა | 01.05.1982 | შახტარი (უკრ) |
| 13. ნიკოლა პოკრივაცი | 26.11.1985 | მონაკო (საფ) |
| 14. ლუკა მოდრიჩი | 09.09.1985 | დინამო |
| 16. იერკო ლეკო | 09.04.1980 | მონაკო (საფ) |
| 19. ნიკო კრანჩარი | 13.08.1984 | პორტსმუთი (ინგ) |
| 22. დანიელ პრანიჩი | 02.12.1981 | ჰერენვეენი (ჰოლ) |
| **თავდამსხმელები** | | |
| 9. ნიკოლა კალინიჩი | 05.01.1988 | ჰაიდუკი |
| 17. ივან კლასნიჩი | 29.01.1980 | ვერდერი (გერ) |
| 18. ივიცა ოლიჩი | 14.09.1979 | ჰამბურგი (გერ) |
| 20. იგორ ბუდანი | 22.04.1980 | პარმა (იტა) |
| 21. მლადენ პეტრიჩი | 01.01.1981 | დორტმუნდი (გერ) |
| **მწვრთნელი** | | |
| *სლავენ ბილიჩი, 11.09.1968* | | |

| გერმანია | | |
|---|---|---|
| **მეკარეები** | | |
| 1. იენს ლემანი | 10.11.1969 | არსენალი (ინგ) |
| 12. რობერტ ენკე | 24.08.1977 | ჰანოვერი |
| 23. რენე ადლერი | 15.01.1985 | ლევერკუზენი |
| **მცველები** | | |
| 2. მარსელ იანსენი | 04.11.1985 | ბაიერნი |
| 3. არნე ფრიდრიხი | 29.05.1979 | ჰერტა |
| 4. კლემენს ფრიტცი | 07.12.1980 | ვერდერი |
| 5. ჰეიკო ვესტერმანი | 14.08.1983 | შალკე |
| 16. ფილიპი ლამი | 11.11.1983 | ბაიერნი |
| 17. პერ მერტეზაკერი | 29.09.1984 | ვერდერი |
| 21. კრისტოფ მეტცელდერი | 05.11.1980 | რეალი (ესპ) |
| **ნახევარმცველები** | | |
| 6. სიმონ როლფსი | 21.01.1982 | ლევერკუზენი |
| 7. ბასტიან შვაინშტაიგერი | 01.08.1984 | ბაიერნი |
| 8. ტორსტენ ფრინგსი | 22.11.1976 | ვერდერი |
| 13. მიხაელ ბალაკი | 26.09.1976 | ჩელსი (ინგ) |
| 14. პიოტრ ტროხოვსკი | 22.03.1984 | ჰამბურგი |
| 15. ტომაშ ჰიტლშპერგერი | 05.04.1982 | შტუტგარტი |
| 18. ტიმ ბოროვსკი | 02.05.1980 | ვერდერი |
| 19. დავიდ ოდონკორი | 21.02.1984 | ბეტისი (ესპ) |
| **თავდამსხმელები** | | |
| 9. მარიო გომესი | 10.07.1985 | შტუტგარტი |
| 10. ოლივერ ნოივილი | 01.05.1973 | ბორუსია (მ) |
| 11. მიროსლავ კლოზე | 09.06.1978 | ბაიერნი |
| 20. ლუკას პოდოლსკი | 04.06.1985 | ბაიერნი |
| 22. კევინ კურანი | 02.03.1982 | შალკე |
| **მწვრთნელი** | | |
| *იოახიმ ლიოვი, 03.02.1960* | | |

| პოლონეთი | | |
|---|---|---|
| **მეკარეები** | | |
| 1. არტურ ბორუცი | 20.02.1980 | სელტიკი (შოტ) |
| 12. ტომაშ კუშჩაკი | 20.03.1982 | მანჩესტერ იუნ (ინგ) |
| 22. ლუკაშ ფაბიანსკი | 18.04.1985 | არსენალი (ინგ) |
| **მცველები** | | |
| 2. მარიუშ იოპი | 03.08.1978 | მოსკოვი (რუს) |
| 3. იაკუბ ვავრჟინიაკი | 07.07.1983 | ლეგია |
| 4. პაველ გოლანსკი | 12.10.1982 | სტიაუა (რუმ) |
| 6. იაჩეკ ბაკი | 24.03.1973 | აუსტრია (ავს) |
| 13. მარცინ ვასილიევსკი | 09.06.1980 | ანდერლეხტი (ბელ) |
| 14. მიხალ ჟევლაკოვი | 22.04.1976 | ოლიმპიაკოსი (საბ) |
| 23. ადამ კოკოშკა | 06.10.1986 | ვისლა |
| **ნახევარმცველები** | | |
| 5. დარიუშ დუდკა | 09.12.1983 | ვისლა |
| 8. იაჩეკ კრჟინოვეკი | 15.05.1976 | ვოლფსბურგი (გერ) |
| 10. ლუკაშ გარგულა | 25.02.1981 | გელხატოვი |
| 15. მიხალ პაჟდანი | 21.09.1987 | გურნიკი |
| 16. იაკუბ ბლაშჩიკოვსკი | 14.12.1985 | დორტმუნდი (გერ) |
| 18. მარიუშ ლევანდოვსკი | 18.05.1979 | შახტარი (უკრ) |
| 19. რაფალ მურავსკი | 09.10.1981 | ლეხი |
| 20. როჟერ გერეირო | 25.05.1982 | ლეგია |
| **თავდამსხმელი** | | |
| 7. ეუსებიუშ სმოლიარეკი | 09.01.1981 | რასინგი (ესპ) |
| 9. მაცეი ჟურავსკი | 12.09.1976 | ლარისა (საბ) |
| 11. მარეკ საგანოვსკი | 31.10.1978 | საუთჰემპტონი (ინგ) |
| 17. ვოიცეხ ლობოძინსკი | 20.10.1982 | ვისლა |
| 21. ტომაშ ზაგორსკი | 22.11.1984 | გურნიკი |
| **მწვრთნელი** | | |
| *ლეო ბეენჰაკერი, 02.08.1942* | | |

# ევრო 2008. ამბები

**საფრანგეთი**

## სიურპრიზი, სახელად გომიში. სისე, მექსე და ფლამინი შინ რჩებიან

რაიმონ **დომენეკმა** ფრანგულ საფეხბურთო საზოგადოებას სიურპრიზი შესთავაზა. 23-კაციან სიაში "სენტ ეტიენის" ფორვარდი **ბაფეტიმბი გომიშიც** მოხვდა. 22 წლის გომიში გაფართოებულ ჩამონათვალში რომ ნახეს, ექსპერტებს მაშინვე ეჭვი შეეპარათ, რომ დომენეკი მას მაინც არ იახლებდა. მაგრამ გომიშმა ორი დიდებული გაიტანა ეკვადორთან სამშაბათის ამხანაგურ მატჩში (2:0) და მწვრთნელისგან უმალ ავსტრია/შვეიცარიის ვიზა "მიიღო". ამ დროს კი ტურნირის მიღმა აღმოჩნდა გამოცდილი ფორვარდი **ჯიბრილ სისე**, რამაც ბევრის გაკვირვება გამოიწვია.

მეკარეებს შორის არჩევანისას დომენეკმა უპირატესობა "მარსელის" კიპერს **სტივ მანდანდას** მიანიჭა, თამაშგარეში კი ასევე გამოცდილი **მიკაელ ლანდრო** (პსჟ) დარჩა. განაცხადში ვერ მოხვდნენ "ლიონის" გარემარბი **ჰათემ ბენ არფა** და "ბორდოს" ნახევარმცველი **ალუ დიარაც**. მაგრამ უფრო საკვირველი ისაა, რომ ევროპის ჩემპიონატზე არ იქნებიან "არსენალიდან" "მილანში" ახლახან გადასული **მატიო ფლამინი** და იტალიის ვიცე-ჩემპიონი და თასის მფლობელი **ფილიპ მექსე** ("რომა"). დომენეკს უყვარს სიურპრიზები...



ფილიპ მექსე ევროს მიღმა

**გერმანია**

## რთული გადაწყვეტილება. შვაინშტაიგერი? ითამაშებს

ფორვარდი **პატრიკ ჰელმესი** და ნახევარმცველები - **მარკუს მარინი** და **ჯერმენ ჯოუნსი**, ეს ის სამი ფეხბურთელია, ვინც გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** შინ დატოვა. ბელარუსის ნაკრებთან გუშინწინდელ ამხანაგურ შეხვედრაში, ლიოვმა ისინი მეორე ტაიმში ათამაშა. ეტყობა, ბუნდესგუნდის შეფი უკმაყოფილო დარჩა და ევროპის ჩემპიონატზე მათი წაყვანა საჭიროდ არ მიიჩნია.

მარინი და ჰელმესი მეორე ბუნდესლიგიდან არიან. პირველი, მიონხენგლადბახის "ბორუსიას" შემტევი ნახევარმცველია, მეორე კი "კიოლნის" ფორვარდი, რომელმაც აწ დასრულებული კამპანიისას 17 გოლი გაიტანა და "თხებს" ალზევებაში დაეხმარა. ლიოვი აცხადებს, რომ მისთვის ამ გადაწყვეტილების მიღება ადვილი არ იყო:

*"ჩვენმა შტაბმა ამაზე ბევრი იმსჯელა. ძალიან რთული იყო ამ ნაბიჯის გადადგმა. ისინი იმსახურებენ ადგილს ბუნდესნაკრებში. ამას ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვამბობ და ეს გადაწყვეტილება არ ეხება მათ კლასს. საწვრთნელმა პროცესმა დამარწმუნა, რომ ისინი შესანიშნავი, დიდი მომავლის მქონე ფეხბურთელები არიან. მაგრამ რას ვიზამთ, ჩვენი შესაძლებლობები შეზღუდულია, სიაში 23 მოთამაშე უნდა იყოს. მათ აქვთ ჩინებული შანსი, დაბრუნდნენ ნაკრებში ევროპის ჩემპიონატის შემდეგ და დაამტკიცონ თავიანთი შესაძლებლობები".*

კიდევ ერთი ინფორმაცია გერმანიის ნაკრების ბანაკიდან. ბელარუსთან ამხანაგურ მატჩში **ბასტიან შვაინშტაიგერი** დაშავდა. თავიდან, ტრავმა სერიოზული ეგონათ, მაგრამ ექიმებმა დაამშვიდეს ნაკრების ხელმძღვანელები, რომ შვაინშტაიგერს ევროპის ჩემპიონატის გამოტოვება არ ემუქრება.

**იტალია**

## მონტოლივო მზად იყო...

როგორც მოსალოდნელი იყო, იტალიის ნაკრების მწვრთნელმა **რობერტო დონადონიმ** საბოლოო შემადგენლობის მიღმა დატოვა "ფიორენტინას" ნახევარმცველი **რიკარდო მონტოლივო**. 23 წლის ფეხბურთელმა აღიარა, რომ ამისთვის მზად იყო. მას ჰქონდა ავსტრია/შვეიცარიაში გამგზავრების შანსი, მაგრამ ეს შანსი **სიმონე პეროტამ** "წაართვა". მოგეხსენებათ, პეროტამ იტალიის თასის ფინალურ მატჩში ტრავმა მიიღო და ექიმები დაეჭვდნენ, შეძლებდა თუ არა "რომას" ნახევარმცველი დროულად გამოჯანმრთელებას. დონადონიმ შვებით ამოისუნთქა: ექიმებმა ფეხბურთელს მწვანე შუქი აუნთეს, შესაბამისად, მონტოლივო ევროს მხოლოდ ტელევიზიით ნახავს.

დონადონის კომენტარი ასეთია: ახლა გარეთ კი დარჩა, მაგრამ ეგ ბიჭი დიდი ტალანტია, "სკუადრა აძურას" მომავალიაო. რამდენად ანუგეშებდა მწვრთნელის სიტყვები "ფიორენტინას" ნახევარდაცვის ლიდერს, სხვა საკითხია.

**შვეიცარია**

## კუნმა მიულერს დაუფასა

შვეიცარიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **კობი კუნმა** უკვე გაარკვია იმ 23 კაცის ვინაობა, რომელთაც ევროპის ჩემპიონატზე ათამაშებს. თავიდან, კუნმა 25 ფეხბურთელი შეარჩია. იმ მოთამაშეთა შორის, რომლებიც შინ უნდა დარჩენილიყვნენ, **პატრიკ მიულერიც** იყო. გასულ სეზონში, "ლიონის" მცველმა ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ ერთი მატჩი ჩაატარა. დეკემბერში მან მძიმე ტრავმა მიიღო, რამაც კუნის რჩეულთა შორის მისი მოხვედრა დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. შაბათს, "ლიონს" პსჟ-სთან საფრანგეთის თასის ფინალური დაპირისპირება ჰქონდა. მატჩის წინ მიულერმა კლუბი დატოვა და ნაკრებს მიაშურა, რათა სლოვაკეთთან ამხანაგურ შეხვედრაში გამოეცადა ძალები. როგორც ჩანს, კუნმა 31 წლის მიულერს ნაკრებისადმი პატივისცემა დაუფასა და შემადგენლობაში დატოვა.

უიღბლოთა შორის კი მცველი **მარიო ეგიმანი** (ვისაც, საჭიროების შემთხვევაში, მიულერი უნდა შეეცვალა) და ფორვარდი **თომას ჰებერლი** აღმოჩნდნენ. პარასკევს, შვეიცარიის ნაკრები კიდევ ერთ ამხანაგურ მატჩს გამართავს. მისი მეტოქე მეზობელი ლიხტენშტაინის გუნდი იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ევრო 2008. განაცხადები

### C ჯგუფი

| რუმინეთი | | |
|---|---|---|
| **მეკარეები** | | |
| 1. ბოგდან ლობონტი | 18.01.1978 | დინამო ბ |
| 12. მარიუს პოპა | 31.07.1978 | პოლიტეხნიკა |
| 23. ედუარდ სტანჩოიუ | 03.03.1981 | კლუჟი |
| **მცველები** | | |
| 2. კოზმინ კონტრა | 15.12.1975 | ხეტაფე (ესპ) |
| 3. რაზვან რაცი | 26.05.1981 | შახტარი (უკრ) |
| 4. გაბრიელ ტამაში | 09.11.1983 | ოსერი (საფ) |
| 5. კრისტიან კივუ | 26.10.1980 | ინტერი (იტა) |
| 13. კრისტიან საპუნარუ | 05.04.1984 | რაპიდი |
| 14. სორინ გიონეა | 11.05.1979 | სტიაუა |
| 15. დორინ გოიანი | 12.12.1980 | სტიაუა |
| 17. კოზმინ მოტი | 03.12.1984 | დინამო ბ |
| 22. სტეფან რადუ | 22.10.1986 | ლაციო (იტა) |
| **ნახევარმცველები** | | |
| 6. მირელ რადოი | 23.03.1981 | სტიაუა |
| 7. ფლორენტინ პეტრე | 15.01.1976 | ცსკა (ბულ) |
| 8. პაულო კოდრეა | 04.04.1981 | სიენა (იტა) |
| 11. რაზვან კოჩიში | 19.02.1983 | ლოკომოტივი (რუს) |
| 16. ბანელ ნიკოლიცა | 07.01.1985 | სტიაუა |
| 19. ადრიან კრისტეა | 30.11.1983 | დინამო ბ |
| 20. ნიკოლაე დიკა | 09.05.1980 | სტიაუა |
| **თავდამსხმელები** | | |
| 9. ჩიპრიან მარიკა | 02.10.1985 | შტუტგარტი (გერ) |
| 10. ადრიან მუტუ | 08.01.1979 | ფიორენტინა (იტა) |
| 18. მარიუშ ნიკულაე | 16.05.1981 | ინვერნესი (შოტ) |
| 21. დანიელ ნიკულაე | 06.10.1982 | ოსერი (საფ) |
| **მწვრთნელი** | | |
| *ვიქტორ პიცურკა, 08.05.1956* | | |

| საფრანგეთი | | |
|---|---|---|
| **მეკარეები** | | |
| 1. სტივ მანდანდა | 28.03.1985 | მარსელი |
| 16. სებასტიან ფრეი | 18.03.1980 | ფიორენტინა (იტა) |
| 23. გრეგორი კუპე | 31.12.1972 | ლიონი |
| **მცველები** | | |
| 2. ჟან-ალენ ბუმსონგი | 14.12.1979 | ლიონი |
| 3. ერიკ აბიდალი | 11.07.1979 | ბარსელონა (ესპ) |
| 5. უილიამ გალასი | 17.08.1977 | არსენალი (ინგ) |
| 13. პატრის ევრა | 15.05.1981 | მანჩესტერ იუნ (ინგ) |
| 14. ფრანსუა კლერი | 18.04.1983 | ლიონი |
| 15. ლილიან ტურამი | 01.01.1972 | ბარსელონა (ესპ) |
| 17. სებასტიან სკილაჩი | 11.08.1980 | ლიონი |
| 19. ვილი სანიოლი | 18.03.1977 | ბაიერნი (გერ) |
| **ნახევარმცველები** | | |
| 4. პატრიკ ვიეირა | 23.06.1976 | ინტერი (იტა) |
| 6. კლოდ მაკელელე | 18.02.1973 | ჩელსი (ინგ) |
| 7. ფლორან მალუდა | 13.06.1980 | ჩელსი (ინგ) |
| 11. სამი ნასრი | 20.06.1987 | მარსელი |
| 20. ჟერემი ტულალანი | 10.09.1983 | ლიონი (გერ) |
| 21. ლასანა დიარა | 10.03.1985 | პორტსმუთი (ინგ) |
| 22. ფრანკ რიბერი | 01.04.1983 | ბაიერნი |
| **თავდამსხმელები** | | |
| 8. ნიკოლა ანელკა | 14.03.1979 | ჩელსი (ინგ) |
| 9. ქარიმ ბენზემა | 19.12.1987 | ლიონი |
| 10. სიდნი გოვუ | 24.07.1979 | ლიონი |
| 12. ტიერი ანრი | 17.08.1977 | ბარსელონა (ესპ) |
| 18. ბაფეტიმბი გომიში | 06.08.1985 | სტ. ეტიენი |
| **მწვრთნელი** | | |
| *რაიმონ დომენეკი, 24.01.1952* | | |

| ჰოლანდია | | |
|---|---|---|
| **მეკარეები** | | |
| 1. ედვინ ვან დერ სარი | 29.10.1970 | მანჩესტერ იუნ (ინგ) |
| 13. ჰენკ ტიმერი | 03.12.1971 | ფეიენოორდი |
| 16. მაარტენ სტეკელენბურგი | 22.09.1982 | აიაქსი |
| **მცველები** | | |
| 2. ანდრე ოოიერი | 11.07.1974 | ბლექბერნი (ინგ) |
| 3. ჯონ ჰეიტინგა | 15.11.1983 | აიაქსი |
| 4. იორის მატიისენი | 05.04.1980 | ჰამბურგი (გერ) |
| 12. მარიო მელხიოტი | 04.11.1976 | ვიგანი (ინგ) |
| 14. ვილფრედ ბუმა | 15.06.1978 | ასტონ ვილა (ინგ) |
| 15. ტიმ დე კლერი | 08.11.1978 | ფეიენოორდი |
| **ნახევარმცველები** | | |
| 5. ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი | 05.02.1975 | ფეიენოორდი |
| 6. დემი დე ზეეუვი | 26.05.1983 | ალკმაარი |
| 8. ორლანდო ენგელაარი | 24.08.1979 | ტვენტე |
| 10. უესლი სნეიდერი | 09.06.1984 | რეალი (ესპ) |
| 17. ნაიჯელ დე იონგი | 30.11.1984 | ჰამბურგი (გერ) |
| 23. რაფაელ ვან დერ ვაარტი | 11.02.1983 | ჰამბურგი (გერ) |
| **თავდამსხმელები** | | |
| 7. რობინ ვან პერსი | 06.08.1983 | არსენალი (ინგ) |
| 9. რუუდ ვან ნისტელროოი | 01.07.1976 | რეალი (ესპ) |
| 11. არიენ რობენი | 23.01.1984 | რეალი (ესპ) |
| 18. დირკ კუიტი | 22.07.1980 | ლივერპული (ინგ) |
| 19. იან კლაას ჰუნტელაარი | 12.08.1983 | აიაქსი |
| 20. იბრაჰიმ აფელაი | 02.04.1986 | ეინდჰოვენი |
| 21. რაიან ბაბელი | 19.12.1986 | ლივერპული (ინგ) |
| 22. იან ვენეგოორ ოფ ჰესელინკი | 07.11.1978 | სელტიკი (შოტ) |
| **მწვრთნელი** | | |
| *მარკო ვან ბასტენი, 31.10.1964* | | |

| იტალია | | |
|---|---|---|
| **მეკარეები** | | |
| 1. ჯანლუიჯი ბუფონი | 28.01.1978 | იუვენტუსი |
| 14. მარკო ამელია | 02.04.1982 | ლივორნო |
| 17. მორგან დე სანქტისი | 26.03.1975 | სევილია (ესპ) |
| **მცველები** | | |
| 2. კრისტიან პანუჩი | 12.04.1973 | რომა |
| 3. ფაბიო გროსო | 28.11.1977 | ლიონი (საფ) |
| 4. ჯორჯო კიელინი | 14.08.1984 | იუვენტუსი |
| 5. ფაბიო კანავარო | 13.09.1973 | რეალი (ესპ) |
| 6. ანდრეა ბარძალი | 08.05.1981 | პალერმო |
| 19. ჯანლუკა ძამბროტა | 19.02.1977 | ბარსელონა (ესპ) |
| 23. მარკო მატერაცი | 19.08.1973 | ინტერი |
| **ნახევარმცველები** | | |
| 8. ჯენარო გატუზო | 09.01.1978 | მილანი |
| 10. დანიელე დე როსი | 24.07.1983 | რომა |
| 13. მასიმო ამბროზინი | 29.05.1977 | მილანი |
| 16. მაურო კამორანეზი | 04.10.1976 | იუვენტუსი |
| 20. სიმონე პეროტა | 17.09.1977 | მილანი |
| 21. ანდრეა პირლო | 19.05.1979 | მილანი |
| 22. ალბერტო აკვილანი | 07.07.1984 | რომა |
| **თავდამსხმელები** | | |
| 7. ალესანდრო დელ პიერო | 09.11.1974 | იუვენტუსი |
| 9. ლუკა ტონი | 26.05.1977 | ბაიერნი (გერ) |
| 11. ანტონიო დი ნატალე | 13.10.1977 | უდინეზე |
| 12. მარკო ბორიელო | 18.06.1982 | ჯენოა |
| 15. ფაბიო კვალიარელა | 31.01.1983 | უდინეზე |
| 19. ანტონიო კასანო | 12.07.1982 | სამპდორია |
| **მწვრთნელი** | | |
| *რობერტო დონადონი, 09.09.1963* | | |

### D ჯგუფი

| ესპანეთი | | |
|---|---|---|
| **მეკარეები** | | |
| 1. იკერ კასილიასი | 20.05.1981 | რეალი |
| 13. ანდრეს პალოპი | 22.10.1973 | სევილია |
| 23. ხოსებ რეინა | 31.08.1982 | ლივერპული (ინგ) |
| **მცველები** | | |
| 2. რაულ ალბიოლი | 04.09.1985 | ვალენსია |
| 3. ფერნანდო ნავარო | 25.06.1982 | მალიორკა |
| 4. კარლოს მარჩენა | 31.07.1979 | ვალენსია |
| 5. კარლეს პუიოლი | 13.04.1978 | ბარსელონა |
| 11. ხუან კაპდევილია | 03.02.1978 | ვილიარეალი |
| 15. სერხიო რამოსი | 30.03.1986 | რეალი |
| 18. ალვარო არბელოა | 17.01.1983 | ლივერპული (ინგ) |
| 20. ხუანიტო | 23.07.1976 | ბეტისი |
| **ნახევარმცველები** | | |
| 6. ანდრეს ინიესტა | 11.05.1984 | ბარსელონა |
| 8. ჩავი ერნანდესი | 25.01.1980 | ბარსელონა |
| 10. სესკ ფაბრეგასი | 04.05.1987 | არსენალი (ინგ) |
| 12. სანტი კასორლა | 13.12.1984 | ვილიარეალი |
| 14. ჩაბი ალონსო | 25.11.1981 | ლივერპული (ინგ) |
| 19. მარკოს სენა | 17.07.1976 | ვილიარეალი |
| 21. დავიდ სილვა | 08.01.1986 | ვალენსია |
| 22. რუბენ დე ლა რედი | 05.06.1985 | ხეტაფე |
| **თავდამსხმელები** | | |
| 7. დავიდ ვილია | 03.12.1981 | ვალენსია |
| 9. ფერნანდო ტორესი | 20.03.1984 | ლივერპული (ინგ) |
| 16. სერხიო გარსია | 09.06.1983 | სარაგოსა |
| 17. დანიელ გუისა | 17.08.1980 | მალიორკა |
| **მწვრთნელი** | | |
| *ლუის არაგონესი, 28.07.1938* | | |

| რუსეთი | | |
|---|---|---|
| **მეკარეები** | | |
| 1. იგორ აკინფეევი | 08.04.1986 | ცსკა |
| 12. ვლადიმირ გაბულოვი | 19.10.1983 | პერმი |
| 16. ვიაჩესლავ მალაფეევი | 04.03.1979 | ზენიტი |
| **მცველები** | | |
| 2. ვასილი ბერეზუცკი | 20.06.1982 | ცსკა |
| 3. რენატ იანბაევი | 07.04.1984 | ლოკომოტივი |
| 4. სერგეი იგნაშევიჩი | 14.07.1979 | ცსკა |
| 5. ალექსეი ბერეზუცკი | 20.06.1982 | ცსკა |
| 8. დენის კოლოდინი | 11.01.1982 | დინამო მ |
| 22. ალექსანდრ ანიუკოვი | 28.09.1982 | ზენიტი |
| **ნახევარმცველები** | | |
| 7. დმიტრი ტორბინსკი | 28.04.1984 | ლოკომოტივი |
| 11. სერგეი სემაკი | 27.02.1976 | რუბინი |
| 14. რომან შიროკოვი | 06.07.1981 | ზენიტი |
| 15. დინიარ ბილიალეტდინოვი | 27.02.1985 | ლოკომოტივი |
| 17. კონსტანტინ ზირიანოვი | 05.10.1977 | ზენიტი |
| 18. იური ჟირკოვი | 20.08.1983 | ცსკა |
| 20. იგორ სემშოვი | 06.04.1978 | დინამო მ |
| 23. ვლადიმირ ბისტროვი | 31.01.1984 | სპარტაკი |
| **თავდამსხმელები** | | |
| 6. რომან ადამოვი | 21.06.1982 | მოსკვა |
| 9. ივან საენკო | 17.10.1983 | ნიურნბერ. (გერ) |
| 10. ანდრეი არშავინი | 29.05.1981 | ზენიტი |
| 13. პაველ პოგრებნიაკი | 08.11.1983 | ზენიტი |
| 19. რომან პავლიუჩენკო | 15.12.1981 | სპარტაკი |
| 21. დმიტრი სიჩოვი | 26.10.1983 | ლოკომოტივი |
| **მწვრთნელი** | | |
| *გუუს ჰიდინკი, 08.11.1946* | | |

| საბერძნეთი | | |
|---|---|---|
| **მეკარეები** | | |
| 1. ანტონის ნიკოპოლიდისი | 14.01.1971 | ოლიმპიაკოსი |
| 12. კოსტას ჩალკიასი | 30.05.1974 | არისი |
| 13. ალექსანდროს ცორვასი | 12.08.1982 | ოფი |
| **მცველები** | | |
| 2. გიორგიოს სეიტარიდისი | 04.06.1981 | ატლეტიკო (ესპ) |
| 3. ხრისტოს პაცაცოგლუ | 19.03.1979 | ოლიმპიაკოსი |
| 4. ნიკოს სპიროპულოსი | 10.10.1983 | პანათინაიკოსი |
| 5. ტრაიანოს დელასი | 31.01.1976 | აეკ |
| 11. ლუკას ვინტრა | 05.02.1981 | პანათინაიკოსი |
| 15. ვასილის ტოროსიდისი | 10.06.1985 | ოლიმპიაკოსი |
| 16. სოტირისო კირიაკოსი | 23.07.1979 | აინტრახტი (გერ) |
| 18. იოანის გუმასი | 24.05.1975 | პანათინაიკოსი |
| 19. პარასკევას ანცასი | 18.08.1976 | ოლიმპიაკოსი |
| **ნახევარმცველები** | | |
| 6. ანგელოს ბასინასი | 03.01.1976 | მალიორკა (ესპ) |
| 8. სტელიოს იანაკოპულოსი | 12.07.1974 | ბოლტონი (ინგ) |
| 10. გეორგიოს კარაგუნისი | 06.03.1977 | პანათინაიკოსი |
| 21. კონსტანტინოს კაცურანისი | 21.06.1979 | ბენფიკა (პორ) |
| 22. ალექსანდროს ციოლისი | 13.02.1985 | პანათინაიკოსი |
| **თავდამსხმელები** | | |
| 7. გეორგიოს სამარასი | 21.02.1985 | სელტიკი (შოტ) |
| 9. ანგელოს ხარისტეასი | 09.02.1980 | ნიურნბერგი (გერ) |
| 14. დიმიტრიოს სალპინგიდისი | 10.08.1981 | პანათინაიკოსი |
| 17. თეოფანის გეკასი | 23.05.1980 | ლევერკუზ. (გერ) |
| 20. იოანის ამანატიდისი | 03.12.1981 | აინტრახტი (გერ) |
| 23. ნიკოს ლიბეროპულოსი | 04.08.1975 | აეკ |
| **მწვრთნელი** | | |
| *ოტო რეჰაგელი, 09.08.1938* | | |

| შვედეთი | | |
|---|---|---|
| **მეკარეები** | | |
| 1. ანდრეას ისაკსონი | 03.10.1981 | მანჩ. სიტი (ინგ) |
| 12. რამი შააბანი | 30.06.1975 | ჰამარბიუ |
| 13. იოჰან ვილანდი | 24.01.1981 | ელფსბორგი |
| **მცველები** | | |
| 2. მიკაელ ნილსონი | 24.06.1978 | პანათინაიკოსი (საბ) |
| 3. ოლოფ მელბერგი | 03.09.1977 | ასტონ ვილა (ინგ) |
| 4. პეტერ ჰანსონი | 14.12.1976 | რენი (საფ) |
| 5. ფრედრიკ სტოორი | 28.02.1984 | რუსენბორგი (ნორ) |
| 14. დანიელ მაისტროვიჩი | 05.04.1977 | ბაზელი (შვეიც) |
| 15. ანდრეას გრანკვისტი | 16.04.1985 | ჰელსინგბორგი |
| 23. მიკაელ დორსინი | 06.10.1982 | კლუჟი (რუმ) |
| **ნახევარმცველები** | | |
| 6. ტობიას ლინდეროტი | 21.04.1979 | გალათას. (თურ) |
| 7. ნიკლას ალექსანდერსონი | 29.12.1971 | გიოტებორგი |
| 8. ანდრეას სვენსონი | 17.07.1976 | ელფსბორგი |
| 9. ფრედრიკ ლიუნგბერგი | 16.04.1977 | ვესტ ჰემი (ინგ) |
| 16. კიმ კალსტრიომი | 24.08.1982 | ლიონი (საფ) |
| 18. სებასტიან ლარსონი | 06.06.1985 | ბირმინგემი (ინგ) |
| 19. დანიელ ანდერსონი | 28.08.1977 | მალმიო |
| 21. კრისტიან ვილჰელმსონი | 08.12.1979 | დეპორტივო (ესპ) |
| **თავდამსხმელები** | | |
| 10. ზლატან იბრაჰიმოვიჩი | 03.10.1981 | ინტერი (იტა) |
| 11. იოჰან ელმანდერი | 27.05.1981 | ტულუზი (საფ) |
| 17. ჰენრიკ ლარსონი | 20.09.1971 | ჰელსინგბორგი |
| 20. მარკუს ოლბაკი | 05.07.1973 | კოპენჰაგენი (დან) |
| 22. მარკუს როზენბერგი | 27.09.1982 | ვერდერი (გერ) |
| **მწვრთნელი** | | |
| *ლარს ლაგერბაკი, 16.07.1948* | | |

მწვრთნელები

# ინტერი მოურინიოს ელის, მანჩინი ჩელსისკენ?

## ინგლისური სააგენტოების ცნობით, ნერაძურის ყოფილი დამრიგებელი ჩელსის მწვრთნელობის რეალური კანდიდატია

მოკლედ, "ინტერმა" რობერტო მანჩინი დაითხოვა. ეს ინფორმაცია ოფიციალურად მწვრთნელის აგენტმაც დაადასტურა. მანვე გვაუწყა, რომ **მანჩინის** ადგილზე **ჟოზე მოურინიო** ინიშნება. გუშინ სალამოს "ნერაძურის" თავკაცი პრეზიდენტ **მასიმო მორატის** შეხვდა. საუბარმა მხოლოდ 25 წუთს გასტანა. მწვრთნელმა "ინტერის" შტაბბინა უკომენტაროდ დატოვა. აგენტ **ჯორჯო დე ჯორჯისს** არ დაუმალავს, რომ მანჩინი იმედგაცრუებული იყო:

*"რობერტო არ ელოდა, რომ მილანური კარიერა ასე დასრულდებოდა. ვაღიარებ, გუნდს უფრო მეტის მიღწევა შეეძლო. სამწუხაროდ, ჩემპიონთა ლიგა ვერ მოვიგეთ. მოურინიოს მინიმუმ იმ წარმატებების გამეორება მოუწევს, რომელსაც მანჩინიმ მიაღწია. დათხოვნის მიზეზი? იანვრის შემდეგ გუნდის თამაში საგრძნობლად გაუარესდა. პრობლემებიც იმ პერიოდში დაიწყო. "ლივერპულთან" მარცხის შემდეგ, მანჩინიმ ზედმეტად მკვახე კომენტარები გააკეთა. ჩემი აზრით, ზედმეტი მოუვიდა. შეცდომა დაუშვა. არ უნდა ეთქვა, რომ მიდიოდა. წავა თუ არა "ჩელსიში"? ის კვალიფიციური სპეციალისტია. უმუშევრად დარჩენა არ ემუქრება. არ გამოვრიცხავ, შევებულება აილოს, მაგრამ უკეთესი იქნება, თუ მუშაობას გააგრძელებს."*



მანჩინისა და "ჩელსის" თემას ქვემოთ დავუბრუნდებით. იქამდე კომპენსაციის საკითხზე მოგახსენებთ ორიოდე სიტყვას. "რაი სპორტის" ცნობით, მორატიმ მწვრთნელს 6 მილიონი ევრო შესთავაზა. ეს მისი 18 თვის ხელფასია. მანჩინიმ პრეზიდენტის წინადადება შორს დაიჭირა. ის კონტრაქტით გათვალისწინებული პერიოდის ხელფასს უკანასკნელ ცენტამდე მოითხოვს. მორატის მანჩინის მთელი სამწვრთნელო შტაბის დაკმაყოფილებაც მოუწევს. რობერტოს მსგავსად, მათაც ოთხწლიანი ხელშეკრულებები ჰქონდათ გაფორმებული. იტალიელმა მიმომხილველებმა დაიანგარიშეს, რომ მანჩინისა და მისი გუნდის დათხოვნა "ინტერს" 24 მილიონი ევრო დაუჯდება.

გუშინ ბი-ბი-სიმ გვაუწყა, რომ მანჩინი "ჩელსის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე რეალური კანდიდატია. ორი დღის წინ ინგლისურ გაზეთებში ასეთი ინფორმაცია ამოვიკითხეთ: რობერტო "არისტოკრატებს" თვითონ შეეხმიანა და სამსახური შესთავაზა, მაგრამ თავაზიანი უარი შეუთვალესო. ბრიტანეთის სამაუწყებლო არხის ცნობით, ლონდონელებმა სასურველი მწვრთნელების სამკაციანი სია შეადგინეს. ამ სამ კაცს შორისაა მანჩინი. მისი ერთ-ერთი კონკურენტი კი პორტუგალიის ნაკრების თავკაცი **ლუიშ ფელიპე სკოლარია**.



ზოგიერთმა საბუქმეიქერო კანტორამ 45 წლის იტალიელი ფავორიტადაც კი გამოაცხადა. მანჩინიმ საფეხბურთო კარიერა "ლესტერში" დაასრულა. მისი შვილი **ფილიპო** "ინტერის" საკუთრებაა, მაგრამ გასული სეზონი იჯარით "მანჩესტერ სიტიში" გაატარა.

რაც შეეხება მოურინიოს, "რაი სპორტი" გვაუწყებს, რომ პორტუგალიელი მილანში წუხელ ჩაფრინდა. მას კონტრაქტის პირობები უნდა შეეთანხმებინა. საუბარია სამწლიან ხელშეკრულებაზე, რომლის სანაცვლოდ მწვრთნელი 27 მილიონ ევროს მიიღებს. დიახ, "რაი სპორტის" ცნობით, მწვრთნელს მილანში წლიურად 9 მილიონ ევროს გადაუხდიან. "ჩელსის" ყოფილმა დამრიგებელმა კომენტარი გუშინვე გააკეთა: *"მოუთმენლად ველოდები მუშაობის დაწყებას. დიდ ყურადღებას დავუთმობთ ტაქტიკას. იტალიაში გამართული ტაქტიკა ძვირად ფასობს. უფრო ნაკლებ დროს გავატარებთ ტრენაჟორების ოთახში, სამთო კურორტებზე და მოსამზადებელ ეტაპზე დროის უმეტეს ნაწილს იტალიაში გავატარებთ."*

მილანი

# ეტოო 35 მილიონად

## ჯილარდინო ფლორენციაში წავიდა, როსონერიმ კამერუნელის ტრანსფერისათვის საჭირო ფული თითქმის მოაგროვა



მილანს **სამუელ ეტოოს** შეძენა სურს. იტალიური სააგენტოები კი გვაუწყებენ, რომ "როსონერის" ფულის შესაგროვებლად რამდენიმე ფეხბურთელის გაყიდვა მოუწევს. ერთი კვირაც არ გასულა მას შემდეგ, რაც მთავარმა მწვრთნელმა **კარლო ანჩელოტიმ** საჯაროდ გამოაცხადა — გუნდს მაღალი კლასის ცენტრ-ფორვარდი სჭირდება, ზაფხულის ტრანსფერებისას **დროგბას**, ეტოოს, **ადებაიორს** ან **ამაურის** შევიძენთო.

"გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, ამ სიაში პირველი ადგილი ეტოოს უკავია. "ბარსელონა" კამერუნელი ვარსკვლავის სანაცვლოდ 35 მილიონ ევროს ითხოვს. მილანელებმა ამ თანხის უმეტესი ნაწილი უკვე შეაგროვეს. "სარაგოსამ" **რიკარდო ოლივეირას** სანაცვლოდ 10 მილიონი ევრო გადაიხადა. გუშინ "ფიორენტინაში" გაიყიდა **ალბერტო ჯილარდინო**. მართალია, სატრანსფერო თანხა არ გახმაურებულა (და არც კონტრაქტის ხანგრძლივობა), მაგრამ ვარაუდობენ, რომ "როსონერის" 15 მილიონ ევროს მიუთვლიან. დღის წესრიგში დგას **კრისტიან აბიატის** "პალერმოში" ტრანსფერის საკითხი. ვეტერანი მეკარე 5 მილიონად უნდა გაიყიდოს. ეტოოს გარდა, მილანელები "ბარსელონის" კიდევ ერთ ფეხბურთელს ყიდულობენ. თითქმის გადაწყვეტილია, რომ **ჯანლუკა ძამბროტა** "მილანთან" გააფორმებს კონტრაქტს.

"მილანის" ტრანსფერები ამით არ ამოიწურება. "კონტროკამპოში" ვკითხულობთ, რომ 24 საათში ნიცელი მეკარე **უგო ლორისი** "როსონერის" საკუთრება გახდება. ფრანგულ სააგენტოებს ამ საკითხზე განსხვავებული ინფორმაცია აქვთ. "ლიონის" პრეზიდენტმა **ჟან მიშელ ოლამ** ჟურნალისტებს აუწყა, რომ ლორისი მის გუნდში ჩაირიცხება. საფრანგეთის ჩემპიონები გრეგორი კუპეს შემცვლელს ეძებენ. ამ უკანასკნელმა "ტოტენჰემში" გადაწყვიტა წასვლა. ლორისი საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების მეკარეა. "კონტროკამპო" ამტკიცებს, ტრანსფერის შემთხვევაში, ის "მილანის" პირველი ნომერი გახდებაო.

ვერდერი

# დიეგო: გაისად ჩემპიონები გავხდებით!

## მარსელო მორენოს ტრანსფერი ჩაიშალა



დიეგო და ტორსტენ ფრინგსი. ბრემენელები გაისად ჩემპიონობისთვის იბრძოლებენ

გერმანიის ჩემპიონატი ცოტა ხნის წინ დასრულდა და მომავალ სეზონამდე ჯერ კიდევ ბევრი დროა დარჩენილი. მიუხედავად ამისა, ბრემენის "ვერდერის" ბრაზილიელი გამთამაშებელი **დიეგო** უკვე სამომავლო გეგმებს აწყობს და ჩემპიონ "ბაიერნს" ტახტიდან ჩამოგდებით ემუქრება.

*"გაისად ყველაფერი სხვაგვარად იქნება"*, - ამბობს 23 წლის დიეგო, რომელიც ბრემენიდან აბარგებას არ აპირებს, - *"ვერდერს" აქვს იმის პოტენციალი, რომ ჩემპიონი გახდეს, "ვერცხლის სინის" მოსაპოვებლად ყველაფერი უნდა გავაკეთოთ. ამ სეზონში არაერთი პრობლემა გვქონდა, წამყვანი ფეხბურთელები ხშირად ტრავმირებულები იყვნენ და მიუხედავად ამისა, მეორე ადგილზე გასვლა მაინც შევძელით. ყველა დამეთანხმება, რომ ამას არავინ ელოდა".*

ბრაზილიელი თითქმის დარწმუნებულია, რომ მომავალ სეზონში "ვერდერი" რეკორდმაისტერს ტახტიდან ჩამოაგდებს. და რაც მთავარია, დიეგო არ არის ერთადერთი ბრემენელი ვინც ასე ფიქრობს. "მუსიკოსების" გენერალური მენეჯერი **კლაუს ალოფსი** ამბობს, მომავალ სეზონში მეორე ადგილით ნამდვილად ველარ დავკმაყოფილდებით, ჩემპიონობა უნდა იყოს ჩვენი პროგრამა მინიმუმიც და მაქსიმუმიცო. მთავარ მწვრთნელ **თომას შააფსაც** წამოსცდა, მომავალ სეზონში მხოლოდ "ვერცხლის სინის" მოპოვება უნდა დავისახოთ მიზნად, სხვა შედეგი მიუღებელი იქნებაო. შეგახსენებთ, რომ "ვერდერმა" გერმანიის ჩემპიონობა უკანასკნელად 2004 წელს იზეიმა.

ამასობაში, ბრემენელებს ტრანსფერი ჩაეშალათ. მუსიკოსები ბოლივიელ თავდამსხმელ **მარსელო მორენოს** უმიზნებდნენ, რომელიც ბრემენში "კრუზეიროდან" უნდა გადასულიყო. ალოფსს უნდოდა, რომ მორენო ბუნდესლიგის ახალი **ლუკა ტონი** გამხდარიყო, მაგრამ გარიგება არ შედგა. გუშინ 20 წლის ბრაზილიელმა "ვერდერის" შეფებს უარი შეუთვალა. ბოლივიელმა (ნაკრებში 4 მატჩი, 2 გოლი) "ვერდერს" დონეცკის "შახტარში" გადასვლა ამჯობინა. უკრაინული გრანდი მის სანაცვლოდ 9 მილიონ ევროს იხდის და ფეხბურთელსაც "მუსიკოსებზე" გაცილებით დიდ ხელფასს სთავაზობს. არადა, ტრანსფერი თითქმის გაჩარხული იყო და ალოფსიც დარწმუნებული გახლდათ, რომ მორენო ბრემენულ კლუბში გადავიდოდა. მაგრამ დონეცკელებმა სატრანსფერო თანხა გაზარდეს და ფეხბურთელსაც, ჯიბის ფულის სახით დამატებით 2 მილიონი შესთავაზეს, რაზეც ბოლივიელმა ფორვარდმა მაშინვე თანხმობა განაცხადა, რადგან "ვერდერმა" ამდენის შეთავაზება ველარ შეძლო.

*"შახტარი" ფინანსური თვალსაზრისით უძლეველი კონკურენტი გამოდგა. სამწუხაროდ, ფული მთავარია,"* - დამწუხრებულია ალოფსი.

ერთი სიტყვით, ბრემენელები თავდამსხმელის ძებნას განაგრძობენ. ალოფსს 31 აგვისტომდე საკმარისი დრო აქვს იმისათვის, რომ "ახალი ლუკა ტონი" ეძებოს. იპოვის კი - საკითხავი აი, ეს არის...

**გოტფრიდ ლენცი**

ვარსკვლავი

# კასანო: სამპდორიაში კიდევ ერთი წლით

**ანტონიო კასანო** "სამპდორიაში" კიდევ ერთ სეზონს გაატარებს. ფეხბურთელი ისევ "რეალის" საკუთრებაში დარჩება. გენუური კლუბი მადრიდელებთან მორიგ საიჯარო ხელშეკრულებას გააფორმებს. შეთანხმება თითქმის მიუწეულია. კასანო სამშობლოში გასულ ზაფხულს დაბრუნდა. მას ესპანეთში იმდენად წარუმატებელი კარიერა ჰქონდა, რომ იტალიის ნაკრებში ალარც კი იწვევდნენ. "სამპში" გატარებული ერთი წელი პოზიციების გასამტკიცებლად საკმარისი ალმოჩნდა. რობერტო დონადონიმ ის დაუფიქრებლად შეიყვანა ევროპის ჩემპიონატის განაცხადში.

კასანოს აგენტი **ჯუზეპე ბოცო** "რეალის" ხელმძღვანელებს ერთი კვირის წინ შეხვდა. მადრიდელებმა ფეხბურთელის გაყიდვისაგან თავი შეიკავეს. სპეკულაციების თანახმად, "რეალი" შიშობდა, რომ "სამპი" ფეხბურთელს იაფად ჩაიგდებდა ხელში და მეორე დღესვე "იუვენტუსს" უფრო სარფიანად მიჰყიდდა. თუ 25 წლის თავდამსხმელი ევროპის პირველობაზე შთამბეჭდავად ითამაშებს, მისი ფასი ავტომატურად აიწევს. ამიტომ "რეალმა" დალოდება არჩია. ანტონიოს იმთავითვე გენუაში დარჩენა სურდა. "გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, ფეხბურთელი ხელფასის შემცირებასაც კი დათანხმდა, რათა "სამპდორიასთან" ახალ კონტრაქტზე მოეწერა ხელი.



ანტონიო კასანო

მანჩესტერ იუნაიტედი

# გამოვისყიდოთ ტევესი

## მორიგი ტრანსფერი მოსკოვის სპარტაკიდან?



კარლოს ტევესი სრულფასოვანი მანჩესტერელი გახდება

"მანჩესტერ იუნაიტედს" განზრახული აქვს, **კარლოს ტევესის** სატრანსფერო უფლებები უმოკლეს დროში გამოისყიდოს. "ეშმაკებს" თავდამსხმელის დასაკუთრება 20 მილიონი გირვანქა დაუჯდებათო, იუწყება ინგლისური პრესა. ტევესი კომპანია MSI-ის საკუთრებაა და "იუნაიტედში" ეგრეთ წოდებული, ხანგრძლივი იჯარის წესით თამაშობს.

ჩემპიონთა ლიგის მოგებიდან ერთი კვირის შემდეგ, "მანჩესტერის" ხელმძღვანელობამ პრიორიტეტული ტრანსფერების სია ჩამოწერა. აი, **სერ ალექს ფერგიუსონის** სასურველი ფეხბურთელები — **კარლოს კამენი** (მეკარე, "ესპანიოლი"), **დანიელ ალვეში** (მარჯვენა მცველი, "სევილია"), **მიკა რიჩარდსი** (მარჯვენა მცველი, "მანჩესტერ სიტი"), **აარონ რემსი** (გარემარბი, "კარდიფ სიტი") და **ქარიმ ბენზემა** (თავდამსხმელი, "ლიონი"). ამათგან, რემსის ტრანსფერის ამბავი ინგლისურმა ტაბლოიდებმა ჯერ კიდევ სამი კვირის წინ გვამცნეს. როგორც ჩანს, შეთანხმება საკითხი ჯერაც არ გადაწყვეტილა.

როგორც ნახეთ, ფერგი ახალ მეკარეს ეძებს. "დეილი სტარის" ვარაუდით, კამენის გარდა, "იუნაიტედი" მოსკოვის სპარტაკელ **სტიპე პლეტიკოშასაც** აკვირდება. 29 წლის პლეტიკოშა ხორვატიის ნაკრების გოლკიპერია. 2006 წლის იანვარში "მენიუმ" "სპარტაკიდან" **ნემანია ვიდიჩი** შეიძინა. საყოველთაო შეფასებით, სერბი მცველი ბოლო წლების ერთ-ერთი საუკეთესო შენაძენია.

აქვე გეტყვით, რომ ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ ფერგიუსონი და მისი ასისტენტი **კარლუშ კეიროში** უდანაშაულოდ სცნო. საქმე ეხებოდა ასოციაციის თასის მეოთხედფინალში "პორტსმუთთან" გამართულ წეხვედრას, რომელიც "ეშმაკებმა" მინიმალური ანგარიშით წააგეს. სამწვრთნელო შტაბმა კი მარცხი მსაჯ **მარტინ ატკინსონს** დააბრალა. ატკინსონმა საკამათო პენალტი არ დანიშნა და "ეშმაკების" მეკარე **ტომაშ კუშჩაკი** გააგდო. თამაშის შემდეგ ფერგიმ მის მსაჯობას სამარცხვინო უწოდა და ასოციაციის სამსაჯო კომიტეტის ხელმძღვანელს, **კიტ ჰეკეტს** მისდგა — თავის სამუშაოს ჯეროვნად ვერ ასრულებსო.

კეიროში უფრო შორს წავიდა. მან ასეთი კომენტარი გააკეთა: *"ვწუხვარ, მაგრამ საქმე იქამდე მივიდა, როდესაც მსაჯიც კი წითელ ბარათს იმსახურებს. ასეთი მუშაობის შემხედვარე, მისი ზედამხვედველი მოედნის კიდესთან უნდა მივიდეს, ატკინსონს წითელი ბარათი ამოუღოს და მინდვრიდან მიაბრძანოს."* მკვახე კომენტარების მიუხედავად, როგორც ვთქვით, ასოციაციამ გადაწყვიტა, მწვრთნელები არ დასაჯოს. მიმომხილველებისათვის ასეთი ლმობიერი ვერდიქტი მოულოდნელი ალმოჩნდა.

ტრანსფერი

# ვომე კიოლნში წავიდა

## დაუმის პირველი დიდი გარიგება

ბუნდესლიგაში ალზევებული "კიოლნის" თავკაცმა **კრისტოფ დაუმმა**, როგორც იცით, "თხების" ხელმძღვანელებს ულტიმატუმი წაუყენა, თუ ძლიერ ფეხბურთელებს არ მიყიდით, გუნდიდან წავალო. ბოსები კრისტოფს ტრანსფერებს შეპირდნენ და აი, პირველი შედეგიც: "ვერდერის" მარცხენა მცველი **პიერ ვომე** კარიერას "კიოლნში" გააგრძელებს. 29 წლის მცველი, რომელსაც "ვერდერთან" კონტრაქტი დაუმთავრდა, "კიოლნში" უფასოდ გადავა და ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს. იმ შემთხვევაში, თუ გაამართლებს, რაშიც დაუმს ეჭვი არ ეპარება, ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება (1 წლით).

*"პიერ ვომე ის ფეხბურთელია, რომელიც ძალიან გვჭირდებოდა. მას უდიდესი გამოცდილება აქვს, სტაბილური მცველია და ფლანგზე ძალიან გაგვაძლიერებს. იმედი მაქვს, რომ ვომე "კიოლნის" ერთ-ერთი ლიდერი გახდება,"* - ეს დაუმის სიტყვებია. კამერუნის ნაკრების ფეხბურთელს ამ სეზონში თითქმის არ უთამაშია, რადგან სერიოზული ოპერაცია გადაიტანა. ეროვნულ ნაკრებში მას 67 მატჩი აქვს ჩატარებული და ისეთ გუნდებში უთამაშია, როგორებიცაა "რომა", "ფულჰემი", "ესპანიოლი" და "ინტერი".

**გოტფრიდ ლენცი**



კიოლნის პირველი ახალწვეული: პიერ ვომე

ტრანსფერი

# ბარძალიც გამგელდება!

## წინასწარი კონტრაქტი გაფორმებულია. იტალიელი ვოლფსბურგის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი იქნება



უეფას თასის საგზურის მოპოვების შემდეგ, "ვოლფსბურგის" ხელმძღვანელებმა გუნდის მთავარ მწვრთნელსა და მენეჯერ **ფელიქს მაგათს** ტრანსფერებისთვის დამატებით 20 მილიონი ევრო გამოუყვეს. "დესპოტმა ფელიქსმა" უკვე იცის, რაშიც დახარჯავს ამ თანხის დიდ ნაწილს. თითქმის გადაწყვეტილია, რომ "პალერმოსა" და იტალიის ნაკრების მცველი **ანდრეა ბარძალი** მომავალი სეზონიდან კარიერას "ფოლკსვაგენის" გუნდში გააგრძელებს. ტრანსფერი დასრულების სტადიაშია და ეჭვი აღარავის ეპარება იმაში, რომ 27 წლის ბარძალი, **კრისტიან ძაკარდოსთან** ერთად, მსოფლიოს მეორე ჩემპიონი იქნება, რომელიც "ვოლფსბურგის" ფორმას მოირგებს.

გუშინ ბარძალისა და "ვოლფსბურგს" შორის წინასწარი კონტრაქტი გაფორმდა, რაც იმას ნიშნავს, რომ გარიგება ფაქტობრივად შემდგარია. "ბილდის" ინფორმაციით, იტალიელი გერმანელებთან კონტრაქტს 2011 წლამდე გააფორმებს და წელიწადში დაახლოებით 3 მილიონ ევროს მიიღებს. უნდა აღინიშნოს, რომ "ვოლფსბურგს" თავის არსებობის ისტორიაში ასეთი ხელფასი სხვა არცერთი ფეხბურთელისთვის არ მიუცია.

ანდრეამდე "მგლებმა" მისი თანამემამულე და ყოფილი თანაკლუბელი ძაკარდო შეიძინეს, რომელიც "მგლებს" 8 მილიონი ევრო დაუჯდათ. ბარძალი გაცილებით ძვირად ფასობს - ის დაახლოებით 12-14 მილიონი ღირს, მაგრამ ამ თანხის გადახდა პრობლემას არ წარმოადგენს. "პალერმო" და "ვოლფსბურგი" სატრანსფერო თანხაზე მას მერე დაილაპარაკებენ, როცა მაგათი შვებულებიდან დაბრუნდება. "დესპოტი ფელიქსი" ახლა ოჯახთან ერთად პუერტო რიკოში ისვენებს.

**გოტფრიდ ლენცი**

შტუტგარტი

# ფეე: უკან, მომავალში

## შვაბები გაისად ისევ ჩემპიონობისთვის იბრძოლებენ

სეირნობა პლაჟზე, თევზაობა დღეში სამჯერ და ზღვაში ფეხების დასველება - სულ ეს არის ის ყველაფერი, რასაც "შტუტგარტის" მთავარი მწვრთნელი **არმინ ფეე** ახლა აკეთებს. 47 წლის სპეციალისტი, რომელმაც შარშან შვაბური კლუბი ყველასათვის მოულოდნელად გერმანიის ჩემპიონი გახადა, ჩრდილოეთის ზღვაზე ისვენებს. VFB-ს დამრიგებელს ახლა მხოლოდ ერთი რამ უნდა: ყოველდღიურობის დავიწყება და განტვირთვა, რასაც ჩინებულად ახერხებს. ახერხებს გაცილებით უკეთ, ვიდრე შარშან, როცა ის გერმანიის მოქმედი ჩემპიონის დამრიგებელი იყო. 2007 წელს, როცა შვაბებმა ბუნდესლიგის მოგება იზეიმეს, ფეეს ეიფორიიდან გამოსვლა და განტვირთვა ძალიან გაუჭირდა.

*"შარშანდელი ზაფხული ჩემთვის დაუვიწყარია. ემოციებით დატვირთული პერიოდი იყო და დასვენება ფაქტობრივად ვერ შევძელი, რადგან მთელი ზაფხულის განმავლობაში თვალწინ სულ ერთი და იგივე სურათები მიტრიალებდა - ჩვენი ზეიმის მომენტები და თასის ფინალის ეპიზოდები. შესაბამისად, განტვირთვა ვერ შევძელი,"* - იხსენებს ფეე.

ცხადია, ჩემპიონი მწვრთნელი მომავალ სეზონზეც ფიქრობდა - "შტუტგარტს" ხომ რთული მისია ჰქონდა დაკისრებული. გუნდი ახალ სეზონს მოქმედი ჩემპიონის რანგში დაიწყებდა და თანაც, ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებდა. ფეე ამბობს, ვერ წარმოვიდგენდი, რომ ეს სეზონი ასეთი საშინელი და დარტყმებით აღსავსე იქნებოდაო. მწვრთნელი: *"ჩემი გუნდის ძლევამოსილებაში 100 პროცენტით დარწმუნებული გახლდით. ვიცოდი, რომ თუ ყველაფერი ოპტიმალურად იქნებოდა, მინიმუმ სამეულში მოვხვდებოდით და თავს ჩემპიონთა ლიგაშიც კარგად წარმოვაჩენდით."*

მაგრამ შვაბებმა ძალიან ცუდად დაიწყეს, კიდევ უფრო უარესად განაგრძეს, მაგრამ ბოლოს, ოდნავ მოუმატეს და კიდევ კარგი, რომ ბოლო მომენტში მაინც დაიბრუნეს სადავეები. ასე იყო თუ ისე, ფაქტი ის არის, რომ "შტუტგარტმა" გრანდიოზული მიღწევის შემდეგ, რასაც გერმანიის ჩემპიონობა ერქვა, სეზონი პირწმინდად ჩააგდო - როგორც ბუნდესლიგაში, ასევე ჩემპიონთა ლიგაშიც.



შტუტგარტის თავკაცი არმინ ფეე

ფეე, რა თქმა უნდა, იმედგაცრუებული გახლდათ, რადგან მისი გუნდი ველარ თამაშობდა ისეთ ფეხბურთს, რომლითაც უდიდესი სენსაცია მოახდინა, მაგრამ ზუსტად იმ დროს, როცა ექსპერტებმა "შტუტგარტზე" ხელი ჩაიქნიეს, შვაბთა თავკაცმა უდიდესი ნებისყოფა გამოამჟღავნა, ახალი სტრატეგია შეიმუშავა და გუნდი ფეხზე დააყენა. ის ფაქტი, რომ ფეეს სიმშვიდე მთელი სეზონის განმავლობაში ერთხელაც არ დაუკარგავს, მის შინაგან სიძლიერეზე მეტყველებს. შეგირდებს, რომლებმაც იმედები გაუცრუეს, იცავდა და მაინც ენდობოდა.

*"მათ შესაძლებლობებში ეჭვი ერთი წუთითაც არ შემპარვია. ვიცი, რატომაც მოხდა ასე და სიმართლე გითხრათ, ამისგან ტრაგედია არ შემიქმნია. საერთოდ, ასე ხდება ხოლმე. ჩვენ ჩემპიონები გავხდით და ამას არავინ ელოდა. სიმართლე უნდა ითქვას: ჩვენი ჩემპიონობა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ მეც კი მიჭირდა დაჯერება, რომ "ვერცხლის სინი" მოვიპოვეთ. შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ ჩავარდნა გვქონდა, თუმცა ობიექტური მიზეზებიც მრავლად იყო,"* - აცხადებს ფეე.

მძიმე სეზონი უკვე გადატანილია. შვაბენლანდში ეიფორია დიდი ხანია ჩაცხრა და ფეეც, მომავალი სეზონისთვის ისევ მაღალი მიზნებისთვის ბრძოლას აპირებს. *"როდესაც ერთხელ უკვე დააჭაშნიკე ზენიტში ყოფნა, ცხადია, ისევ გინდა, რომ ის გრძნობა გამოსცადო,"* - ამბობს ფეე.

"შტუტგარტის" დამრიგებელი ფავორიტად მომავალ სეზონშიც "ბაიერნს" მიიჩნევს, მაგრამ ფიქრობს, რომ რეკორდმაისტერთან შებრძოლების შანსი მის გუნდსაც ექნება. ყოველ შემთხვევაში, ფეესთვის ცალსახაა ის ფაქტი, რომ "შტუტგარტი" გაისად მინიმუმ სამეულში უნდა მოხვდეს და ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვოს. რაც ყველაზე მთავარია, გუნდმა ისევ შემტევი და ლაღი ფეხბურთი უნდა ითამაშოს. ზუსტად ისე, როგორც 2006/07 წლების სეზონში.

*"იქნებ კარგიცაა ის, რომ ამ სეზონში ჩავვარდით. ამით შესაძლებლობების გადაფასება მოხდა და თანაც, სხვები ისე აღარ გვიყურებენ, როგორც შარშან, როცა ჩემპიონები გავხდით,"* - ამბობს მწვრთნელი.

ისიც მიხვდა, უკვე გამოცადა, რომ გერმანიის ჩემპიონის რანგში თავის გატანა არც ისე ადვილია...

**გოტფრიდ ლენცი**

ბაიერნი

# ბუტი მეორე მეკარედ?

## ბავარიელებმა ჰანს-იორგს დაუმიზნეს

**ოლივერ კანმა** კარიერა დაამთავრა. მომავალი სეზონიდან მას "ბაიერნში" **მიხაელ რენზინგი** შეცვლის - ეს დიდი ხნის გადაწყვეტილი ამბავია. მაგრამ ვინ უნდა იყოს რეკორდმაისტერის მეორე გოლკიპერი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში რენზინგს ღირსეულად შეცვლის? როგორც ირკვევა, მიუნხენელებს მეორე მეკარის რანგში "ლევერკუზენის" კარის ყოფილი დარაჯი **ჰანს-იორგ ბუტი** სურთ, რომელიც დღესდღეობით "ბენფიკის" წევრია და რომელსაც სათადარიგოთა სკამს ახეხინებენ. ლისაბონური კლუბის სკამზე ჯდომას კი, ცხადია, "ბაიერნის" სკამზე ჯდომა ჯობია.



ჰანს იორგ ბუტი

ბუტს პორტუგალიურ გრანდთან კონტრაქტი კიდევ ერთი წლით აკავშირებს, მაგრამ ლისაბონში დარჩენა აღარ სურს. ასე რომ, თუ ბავარიელებს ბუტის გადაბირება სურთ (და ფაქტია, რომ სურთ), მისი კონტრაქტი უნდა გამოისყიდონ, რაც დაახლოებით 1.5 მილიონი ევრო დაჯდება. 34 წლის მეკარეში, თანაც, რეზერვისტობისთვის, ასეთი თანხის გადახდა არც ისე მართებულია.

*"დიახ, ჩვენ ბუტთან მართლაც ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს. და გვინდა, რომ "ბაიერნში" გადმოვიდეს,"* - ეს სიტყვები ბავარიელთა ვიცე-პრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** ეკუთვნის.

ჰანს-იორგ ბუტს ბუნდესლიგაში 324 მატჩი აქვს ჩატარებული და 26 გოლი აქვს გატანილი - როგორც გახსოვთ, ერთი ხანობა ბუტი თერთმეტმეტრიანებს ურტყამდა, რის გამოც 2001 წელს ბომბარდირთა დავაშიც იყო გარეული. ბუტმა "ლევერკუზენი" 2007 წელს დატოვა - მას მერე, რაც ის ძირითადი შემადგენლობიდან **რენე ადლერმა** ამოაგდო, მეკარემ, რომელიც გერმანიის ნაკრების თავკაც **იოახიმ ლიოვს** ევროპის ჩემპიონატზე მიჰყავს. ბუნდესგუნდში ბუტს 3 თამაში აქვს ჩატარებული.

**გოტფრიდ ლენცი**

### ლიტვა თუ ლატვია? ჩეხეთში მეტოქე აერიათ

სამშაბათს პრაღაში, ჩეხეთის ნაკრებმა ამხანაგური მატჩი ჩაატარა. თამაშის პროგრამაში მასპინძლების გვერდით ლატვიის ნაკრების ფოტო იყო დაბეჭდილი, სტადიონზე ფრიალებდა ლატვიის დროშა და მატჩის წინაც ლატვიის ჰიმნი დაუკრეს. მერე რაო, იკითხავს პატიოსანი მკითხველი. რა და ის, რომ ის სალამოს ჩეხეთის მეტოქე ლიტვის ნაკრები იყო და არა ლატვიის. ორგანიზატორებმა კი ყველაფერი აურ-დაურიეს. ჩეხეთის ფეხბურთის ფედერაციამ ლიტველ კოლეგებს ბოდიში მოუხადა. ფედერაციის ხელმძღვანელობა ამით არ დაკმაყოფილდა და ლიტვის რესპუბლიკის საელჩოში ამ ქვეყნის მთავრობისათვის გადასაცემი წერილი მიიტანა. ფედერაციის პრესსპიკერმა **ვაცლავ ტიხიმ** მომხდარის გამო პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო და დაუყოვნებლივ დატოვა თანამდებობა. დაითხოვეს მისი ასისტენტიც. ფედერაციის კიდევ ერთ მაღალჩინოსანს ფინანსური სანქცია გამოუწერეს. უშუალოდ მატჩი, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩეხების უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვების დასრულდა, 2:0.

### სტოიჩკოვი ბარსელონაში ბრუნდება?

**ხრისტო სტოიჩკოვი** "ბარსელონის" მეორე მწვრთნელად ინიშნება. ამ ინფორმაციას "დიარიო სპორტი" ავრცელებს. ბულგარელი ვეტერანი კატალონიელთა ყოფილი ფეხბურთელია. სტოიჩკოვი "ბარსაში" 1990 წელს, სოფიის ცსკადან გადავიდა და იქ ხუთი საუცხოო სეზონი ჩაატარა. 1995 წლის ზაფხულში სტოიჩკოვი "პარმაში" გადავიდა. ერთი წლის შემდეგ ისევ "ბარსაში" დაბრუნდა და იქ 1998 წლამდე დარჩა (სულ კატალონიელთა შემადგენლობაში 175 მატჩი, 83 გოლი). ხრისტომ სამწვრთნელო კარიერა 2004 წელს, ბულგარეთის ნაკრებში დაიწყო (ფეხბურთელობისას ეროვნულ გუნდში 83 მატჩი, 37 გოლი). სამი წლის შემდეგ მან ვიგოს "სელტას" მიაშურა, მაგრამ გუნდი სეგუნდა დივიზიონში გავარდნისაგან ვერ იხსნა. "ბარსელონას" მოსალოდნელ დანიშვნასთან დაკავშირებით კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია. კატალონიელთა მთავარ მწვრთნელად **ხოსეპ გუარდიოლა** ინიშნება. სტოიჩკოვი კი გუარდიოლას ძველი მეგობარი და თანაგუნდელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ბერნდ შუსტერთან

# კრისტიანო რონალდოსთვის ეშმაკს სულს მივყიდი

## სამეფო კლუბის მთავარი მწვრთნელი ლამაზი ფეხბურთისთვის დროს ითხოვს

**ბერნდ შუსტერი საჩემპიონო სეზონის დასრულებისთანავე შვებულებაში გავიდა. გერმანელი სპეციალისტი პრეტემპორადას ივნისის ბოლოს დაიწყებს. მანამდე კი საშუალება ექნება კარგად დაისვენოს, ოჯახს ყურადღება მიაქციოს და რა თქმა უნდა, ევროპის ჩემპიონატით დატკბეს. მოკლედ, ჰერ ბერნდს უამრავი თავისუფალი დრო აქვს. "დიარიო ასის"კორესპონდენტმა ხესუს სანჩომ ამით კარგად ისარგებლა და სამეფო კლუბის მთავარ მწვრთნელს ვრცელი ინტერვიუ ჩამოართვა.**

**- თითქმის ერთი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც რამონ კალდერონმა მთავარი მწვრთნელის პოსტი ჩაგაბარათ. პირველივე პრესკონფერენციაზე თქვით, აქ იმისთვის მოვედი, რომ "რეალს" ლამაზი ფეხბურთი ვათამაშოო. ჩემი აზრით, თქვენ მიერ საზოგადოებისთვის მიცემული პირობა არ შესრულდა. მზად ხართ, პასუხისმგებლობა მთლიანად თქვენს თავზე აილოთ?**

- ვაღიარებ, რომ ჯერჯერობით "რეალი" ისეთ ფეხბურთს ვერ თამაშობს, რომელიც ჩემს გემოვნებასა და მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა. არ მინდა, იფიქროთ, რომ თავს ვიმართლებ, მაგრამ ყველაფრის ერთ წელიწადში გაკეთება შეუძლებელია. გასულ ზაფხულში რვა ახალი ფეხბურთელი შევიძინეთ. მეც ახალი მისული ვიყავი. რა თქმა უნდა, ერთმანეთის გასაცნობად დრო დაგვჭირდა. ჩემი აზრით, სრულყოფილებასთან მიახლოებული გუნდის ჩამოყალიბებას რამდენიმე წელიწადი სჭირდება. იქიდან გამომდინარე, რომ ჩემპიონები გავხდით, ხელმძღვანელობამ მუშაობის გაგრძელების საშუალება მომცა. დარწმუნებული ვარ, მომავალ სეზონში ჩემი ბიჭები გაცილებით უკეთ ითამაშებენ.

**- 31-ე საჩემპიონო ტიტული რის ხარჯზე მოიპოვეთ?**

- პირველ რიგში ვაჟკაცობისა და თავდადების ხარჯზე. ყველამ ვიცით, რომ გულშემატკივრები ცალკეული ვარსკვლავების ინდივიდუალიზმით იხიბლებიან, მაგრამ სპეციალისტებს ისიც მშვენივრად მოგვეხსენება, რომ თანამედროვე ფეხბურთში გუნდური სულისკვეთებისა და საერთო ძალისხმევის გარეშე სტაბილურობას ვერ მიაღწევ. სტაბილურობას კი ნებისმიერი საქმის წარმატების ქვა-კუთხედად მივიჩნევ. ჩემი აზრით, "რეალმა" ჩემპიონის ტიტული სწორედ ერთსულოვნების, გუნდურობისა და სტაბილური თამაშის ფასად მოიპოვა. არასოდეს დავუშვებ, რომ რომელიმე მეგავარსკვლავმა თუნდაც სათადარიგო შემადგენლობის ფეხბურთელს ცხვირი აუწიოს და ზემოდან გადახედოს. ეს გამორიცხულია. ვინც ამას გააკეთებს, "რეალს" იმ დღესვე დატოვებს.

**- გასაგებია, მაგრამ ხალხს ისეთი ფეხბურთის ხილვა სურს, როგორსაც მაგალითად თქვენ თამაშობდით...**

- ცოტაც გვაცადეთ და სამეფო კლუბს ველარ იცნობთ. მთავარია, რომ ჩემს გუნდს ეგოიზმთან დაკავშირებული ფატალიზმი არ ემუქრება. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ დრო გვჭირდება.

**- თქვენი მეგობრები ამბობენ, რომ ძალიან მკაცრი მწვრთნელი ხართ. ვარჯიშებზე ჩვენ ამას ვერ ვატყობთ, მაგრამ გვარწმუნებენ, რომ დახურულ კარს მიღმა საუბრისას ფეხბურთელებს მეტისმეტად მკაცრად ექცევით. არ მგონია, გვატყუებდნენ. რობინიო ასეთი დამჯერი და უპრეტენზიო არასოდეს ყოფილა.**

- მნიშვნელობა არ აქვს, ფეხურთელი ძირითად შემადგენლობაშია, თუ სათადარიგოთა სკამზე ზის, ის იმავე ადამიანად რჩება, როგორადაც დაიბადა. რა თქმა უნდა, ხანგრძლივი უთამაშებლობა მის კარიერაზე ცუდად მოქმედებს, მაგრამ გონიერ ადამიანს უნდა ესმოდეს, რომ კონკურენციას თავისი სპეციფიკა აქვს. შეიძლება ჰარვარდის უნივერსიტეტის სადოქტორო ხარისხი მიიღო, მაგრამ კონკურსში ვერ გაიმარჯვო და ის პოსტი ვერ მიიღო, რომელიც ძალიან მოგწონს. ფეხბურთშიც ასეა, მაგალითად რობინიო გენიალური მოთამაშეა, მაგრამ შეიძლება კონკრეტული თამაშის წინ სხვაზე ცუდ ფორმაში იყოს და ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგოს. სიმკაცრის რა მოგახსენოთ, მაგრამ ბიჭებთან თავიდან სერიოზული საუბარი ნამდვილად მქონდა. ყველას ავუხსენი, რომ პირადი ინტერესები "რეალზე "მაღლა ერთხელაც არ უნდა დააყენონ. მე მგონი, შეთანხმებას მივაღწიეთ.

**- თუმცა მაჰამადუ დიარა ხშირად სკანდალურ განცხადებებს აკეთებდა...**

- გულწრფელად გეტყვით, რომ მაჰამადუს კატეგორიული ტონი არც მე მომწონდა, მაგრამ საბედნიეროდ, დიარა მალე მოეგო გონს და ეგო დათრგუნა. მისი შესაძლებლობები არასოდეს დამიკნინებია. პირიქით, მაჰამადუს ყოველთვის ვეუბნებოდი, რომ ჩვენი ნახევარდაცვის ლომი იყო. არა უშავს, ადამიანები ვართ და ზოგჯერ ემოციებს ვერ ვუმკლავდებით. საბედნიეროდ, დიარას გაცხარებას სამეფო კლუბი არ დაუზარალებია. ჩვენ კაცურად ვილაპარაკეთ და ყველაფერი გავარკვიეთ. აფრიკელი დამეთანხმა, რომ თანამედროვე ფეხბურთში ხელშეუხებელი მოთამაშე არ არსებობს. სეზონის განმავლობაში სათადარიგოთა სკამზე დაჯდომა ყველას უწევს. მე მგონი, საამისო ლოგიკა უმარტივესია. შეუძლებელია, 9-10 თვის განმავლობაში მუდამ საუკეთესო ფორმაში იყო.

**- როგორც ვატყობ, დიარას სათადარიგოთა სკამზე დასმა მოუხდა. ყოველ შემთხვევაში, ბოლოს ლაპარაკს თავი დაანება და ორმაგი შემართებით ვარჯიში დაიწყო.**

- გეთანხმებით. სეზონის დასრულების შემდეგ მაჰამადუს დავუძახე და ვუთხარი: "კარგად მისმინე, დიარა, შენ სამეფო კლუბის უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელი ხარ. შენი თამაშით ძალიან კმაყოფილი ვარ, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ყოველთვის ვერ მოხვდები. ამას კარგად თუ გააცნობიერებ, ძალიან გამიხარდება, ჩვენ შორის არანაირი პრობლემა არ იარსებებს, მაგრამ თუ ისევ წუწუნს დაიწყებ, სხვა გუნდი მოძებნე." რომ იცოდეთ, ჩვენმა საუბარმა რა კარგი შედეგი გამოიღო. დიარამ ხელი ჩამომართვა და მითხრა, აბსოლუტურად მართალი ხარო. იმედია, მაჰამადუსთვის იმავეს გამეორება აღარ დამჭირდება.

**- "რეალში" ყველაზე მეტი უფლება რომელ ფეხბურთელს აქვს?**

- სამეფო კლუბისთვის რამდენიმე ფეხბურთელი განსაკუთრებით ღირებული და გამორჩეულია. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, რაული, გუტი და კასილიასი უნდა ვახსენოთ. კანავარო, ჰაინცე და პეპეც ქარიზმატული ბიჭები არიან, მაგრამ დიდი ავტორიტეტით ბოროტად არასოდეს სარგებლობენ. ჩემს გუნდში ყველას თანაბარი უფლება აქვს, მაგრამ დასამალი არ არის, რომ ჩემ მიერ ჩამოთვლილ ფეხბურთელებს უდიდესი ავტორიტეტი აქვთ. ისინი სამაგალითო ადამიანები არიან.

**- ბიჭებს თქვენი დახმარება ყველაზე მეტად როდის დასჭირდათ?**

- "რომასთან" წაგებული საჩემპიონთალიგო დუელის შემდეგ. ჩემი შეგირდები ასეთი დათრგუნულები არასოდეს მინახავს. არ დაგიმალავთ, მეც სასოწარკვეთილი ვიყავი, მაგრამ ყურების ჩამოყრის დრო არ გვქონდა. ზოგჯერ გლოვა დიდი ფუფუნებაა. მერწმუნეთ, მტკივნეული მარცხის შემდეგ ფარ-ხმალის დაყრა უფრო იოლია, ვიდრე ხელახლა მობილიზება და ბრძოლის გაგრძელება. რა თქმა უნდა, არ დავუშვებდი, რომ ჩემპიონთა ლიგის შემდეგ პრიმერა დივიზიონშიც შეგვერცხვინა თავი. ბიჭებს მაშინ გულწრფელად დაველაპარაკე, პრეტენზიებიც გამოვთქვი და სამომავლო გეგმებიც გავუმხილე. მოკლედ, ვითხოვე, რომ უდიდესი იმედგაცრუების მიუხედავად ოპტიმიზმი შეენარჩუნებინათ.

**- "რეალის" გულშემატკივართა აბსოლუტური უმრავლესობა კრისტიანო რონალდოს შეძენას ითხოვს...**

- კრისტიანო რონალდოს ძალიან კარგად ვიცნობ. მის პროფესიულ და პირად ცხოვრებას დიდი ხანია თვალს ვადევნებ. არცერთ ინტერვიუს არ ვტოვებ, სატელევიზიო გამოსვლებსაც სისტემატურად ვუყურებ. ზოგჯერ, პირადადაც ვსაუბრობთ. მე მასზე არაჩვეულებრივი წარმოდგენა მაქვს. რონალდოს პროფესიულ შესაძლებლობებზე ნუ ვილაპარაკებთ. მის შესახებ ყველამ ყველაფერი იცის, მაგრამ ბევრს არ ეცოდინება, რომ კრისტიანო ფანტასტიკური ადამიანია. უდიდესი წარმატებებისა და მსოფლიო აღიარების მიუხედავად ისევ თავმდაბალ და უბრალო ბიჭად რჩება. ჩვენი გულშემატკივრების ძალიან კარგად მესმის. კრისტიანო რონალდოსთვის ეშმაკს სულს მივყიდი. ნეტავ, მისი გადმობირება შევძლოთ.

**- როგორ ფიქრობთ, რონალდო "ბერნაბეუზეც" ბევრი გოლის გატანას შეძლებს?**

- შეიძლება ბევრს არ მოეწონოს, მაგრამ ჩემი აზრით, ესპანეთის ჩემპიონატში გოლის გატანა გაცილებით უფრო რთულია. რონალდოს უდიდეს პატივს ვცემ, მაგრამ ღრმად მწამს, რომ პრიმერა დივიზიონში 40 გოლს ვერ გაიტანს, თუმცა თუ ჩვენს გუნდში ჩაირიცხება, 40 ბურთს არც მოვთხოვთ. 30-ც რომ გაიტანოს ჩემპიონები გავხდებით და რა თქმა უნდა, უზომოდ კმაყოფილები ვიქნებით.

**- როცა რონალდომ მოსკოვში პენალტი ვერ გაიტანა ხომ არ შეგეშინდათ? "მანჩესტერს" ჩემპიონთა ლიგაში რომ არ გაემარჯვა, პორტუგალიელის გადაბირება კიდევ უფრო გართულდებოდა.**

- მისი შეძენა ახლაც არ იქნება იოლი. გაფუჭებულ პენალტს რაც შეეხება, არ მგონია, ამ თემაზე საუბარი მომგებიანი იყოს. პენალტი ვის არ გაუფუჭებია? ფეხბურთის ხიბლიც ამაშია. წარმატება ყველაზე დიდ ვარსკვლავებსაც არ აქვთ განაღდებული.

**- წარმოვიდგინოთ, რომ მომაბეზრებელი საპნის ოპერა ორ კვირაში დასრულდება და კრისტიანო რონალდო "რეალის" თეთრ მაისურს მოირგებს. როგორ ფიქრობთ, პორტუგალიელ ვარსკვლავში 140 მილიონი ევრის გადახდა გამართლებული ნაბიჯი იქნება?**

- მე არ ვიცი სენიორ კალდერონი და მიატოვიჩი რამდენის გადახდას აპირებენ, თუმცა 140 მილიონი, რა თქმა უნდა, კოლოსალური თანხაა. აბა რა გითხრათ, მე მხოლოდ ის ვიცი, რომ რონალდო ფენომენალური მოთამაშეა და "რეალს" ერთი-ორად გააძლიერებს. მოდით, მარკეტინგსა და ფინანსებზე დირექტორებმა ისაუბრონ, მე ის ვიცი, რომ კრისტიანო "ბერნაბეუზე" კიდევ უფრო კარგად ათამაშდება და უამრავ ტიტულს მოგვაგებინებს. ახლა გენერალური დირექტორი დაჯდეს და პროექტის მომგებიანობაზე თავი იმტვრიოს (იცინის).

**- ჰუნტელაარი, გლები, დიეგო, კვარეშმა...**

- მოდით, ტრანსფერებზე დღეს მეტს ნულარ ვილაპარაკებთ. დარწმუნებული იყავით, რომ შემადგენლობის გასაძლიერებლად ძალ-ღონეს არ დავიშურებთ. დეტალებზე კი მოგვიანებით ვილაპარაკოთ.

**- რამოსს რა სჭირს?**

- მგონი, ჩვეულებრივი სპეკულაციების მსხვერპლი გახდა. არ მგონია, სერხიოს "რეალიდან" წასვლა უნდოდეს. მე სულ სხვა რამე მაფიქრებს. რამოსი ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო 2 ნომერია. ჩემი აზრით, ის ყოველთვის დაცვის მარჯვენა ფლანგზე უნდა თამაშობდეს. ცენტრში მხოლოდ ფორსმაჟორული მდგომარეობისას უნდა დააყენო. სამეფო კლუბის გულშემატკივრები დამეთანხმებიან, რომ ამ ბიჭს უდიდესი მომავალი აქვს. რა თქმა უნდა, ის "რეალში" ძალიან დიდ დროს გაატარებს და კარიერის დასრულების შემდეგ უთვალავი ტიტულით მოიწონებს თავს.

**- მარსელოზე რას გვეტყვით?**

- მარსელო ჩემი ბედნიერებაა. მისი თამაში განუზომელ სიამოვნებას მანიჭებს. ალბათ, დამეთანხმებით, რომ ჩვენმა ახალგაზრდა მცველმა არაჩვეულებრივი სეზონი ჩაატარა. მას ფანტასტიკური მომავალი აქვს. უახლოეს წლებში გამოცდილებას გაიღრმავებს და რობერტო კარლოსზე დიდ ფეხბურთს ითამაშებს. სხვათა შორის, ამას თავად რობერტო კარლოსიც ამბობს. ვისაც ფეხბურთი ოდნავ მაინც გაეგება, დამეთანხმება, რომ მარსელო ღვთაებრივი ნიჭითაა დაჯილდოებული.

**- როდის დარწმუნდით, რომ ესპანეთის ჩემპიონები გახდებოდით?**

- "კამპ ნოუზე" "ბარსელონის" დამარცხების შემდეგ. კატალონიელებმა მაქსიმუმი გაიღეს. იმ შეხვედრას ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. რომ მოეგოთ, სერიოზულ კონკურენციას გაგვიწევდნენ, მაგრამ ჩვენ ვაჯობეთ და ამით უდიდესი დარტყმა მივაყენეთ. ჩვენ კი პირიქით, საკუთარი შესაძლებლობების ვირწმუნეთ. რაც მთავარია, სოლიდური სხვაობით გავიჭერით წინ და საქმე საბოლოო გამარჯვებამდე მივიყვანეთ. რა თქმა უნდა, სეზონს მხოლოდ ერთი გამარჯვებით ვერ მოიგებ. ჩემი აზრით, "ბილბაოსთან", "ვილიარეალთან" ("ბერნაბეუზე"), "რასინგთან", "ვალენსიასა" და "ოსასუნასთან" ურთულესი მატჩები მოვიგეთ. ჩვენი ჩემპიონობა სწორედ იმ შეხვედრაში იჭედებოდა.

**- მომავალ სეზონში პრიმერა დივიზიონში გამარჯვებით აღარავინ დაკმაყოფილდება. თქვენგან ჩემპიონთა ლიგის მოგებას ითხოვენ. მზად ხართ ამისთვის?**

- ვიცი, გაისად გაცილებით რთული სეზონის ჩატარება მოგვიწევს, მაგრამ მე არაფრის მეშინია. "რეალს" ჩემპიონთა თასი ცხრაჯერ აქვს მოპოვებული და არ მგონია, მეათე გამარჯვება შეუძლებელი და წარმოუდგენელი იყოს. რა თქმა უნდა, უდიდესი კონკურენციის გადალახვა მოგვიწევს, მაგრამ ჩვენ არაფრის გვეშინია. ჩემპიონთა ლიგაში გასამარჯვებლად ყველაფერს გავაკეთებთ.

**ილია ნიკოლაიშვილი**



ბერნდ შუსტერი კრისტიანო რონალდოს ტრანსფერზე მუშაობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA. დრაფტი 2008

# შერმადინი ჯერმეინ ონილის გვერდით

**გიორგი შერმადინი სადრაფტო საიტებსაც გასცდა და მასზე ინფორმაცია ცნობილ სპორტულ საიტ ESPN-ზეც დაიბეჭდა. უფრო სწორად, სტატიაში სხვა კალათბურთელების გვერდით ქართველ ცენტრზეცაა საუბარი. ეს პუბლიკაცია საინტერესო იმითაცაა, რომ ავტორი ვარაუდობს, 26 ივნისის დრაფტზე რომელ წრეში შეიძლება აირჩიონ შერმადინი. დანარჩენს ცნობილი ჟურნალისტის, ჩად ფორდის სტატიაში წაიკითხავთ.**

– ლოს ანჯელესში მოვარჯიშე სადრაფტო კანდიდატების ხილვის შემდეგ გეზი ლას-ვეგასისკენ ავიღე, სადაც 27 კალათბურთელი გამოცდილი სპეციალისტის ჯო აბუნასარის ხელმძღვანელობით ვარჯიშობს. იცით, რატომ გადავწყვიტე ლას-ვეგასში წასვლა? – იმიტომ, რომ აბუნასარის დარბაზი ბოლო წლებში NBA-ს ვარსკვლავთა სავარჯიშო ცენტრად იქცა. ყოველი სეზონის შემდეგ გამოცდილი კალათბურთელების დრაფტისთვის მზადებაში მყოფ ახალგაზრდებთან ერთად ხილვა საინტერესოა.

ლას-ვეგასში NBA-ს ვეტერანები წლეულსაც დამხვდნენ: ჯერმეინ ონილი, მაიკ მილერი და ელ ჰარინგტონი. ისინი ახალგაზრდებთან, ჯო ალექსანდერთან, რიჩარდ ჰენდრიქსთან, ნათან ჯავაისთან, მალიკ ჰეირსტონთან და გიორგი შერმადინთან ერთად ვარჯიშობდნენ.

...ჯო ალექსანდერისა და რიჩარდ ჰენდრიქსის შემდეგ ქართველ გიორგი შერმადინზე შევჩერდები, რომელსაც ორი დღის განმავლობაში ვაკვირდებოდი.

ლას-ვეგასში მოხვედრამდე მეუბნებოდნენ - შერმადინს აქვს საამისო პოტენციალი, რომ დრაფტის პირველი წრის ბოლოს იქნას არჩეული. აბუნასარის დარბაზში რომ შევედი რამდენიმემ მითხრა, რომ ქართველი ის კალათბურთელი იყო, რომელზე დაკვირვებაც ღირდა. ეს ფაქტმაც დაადასტურა – გიორგი ყოველ ვარჯიშზე 5/5-ზე თამაშისას შესანიშნავად გამოიყურებოდა. ასეთ კარგ გარჯას ნამდვილად არ მოველოდი იმ ბიჭისგან, რომელიც რაღაცით მისტერ ბინს მაგონებს. იგი ტანმაღალია, მეფარისთვის საჭირო ყველა მონაცემი აქვს, მაგრამ ძალიან გამხდარია.

ორშაბათს შერმადინს 5/5-ზე თამაშისას NBA-ს სამი კალათბურთელის, კედრიკ სიმონსის, აარონ გრეისა და პატრიკ ობრაიანტის წინააღმდეგ მოუწია ასპარეზობა. ისინი ქართველთან შედარებით გაცილებით ათლეტურად გამოიყურებოდნენ და შერმადინს ხშირად უხდებოდა მათი წესების დარღვევით შეჩერება. იგი NBA-ელების სამწამიანი ზონიდან განდევნისას ორივე ხელს ხმარობდა.

გიორგიმ გვიჩვენა, რომ კარგი კალათბურთელია, თამაშს სათანადოდ გრძნობს, მაგრამ ფიზიკურად ძლიერ კალათბურთელებთან თამაში უჭირს. ახლა ვხვდები, სკაუტებს რატომ მოსწონთ შერმადინი – მასში ბევრი კარგი თვისება საინტერესოდაა გაერთიანებული. მაგრამ, რაც მთავარია, ფიზიკურად საკმარისადაა მოსაძლიერებელი. მართალია, ზოგის თქმით, იგი შეიძლება დრაფტის პირველი წრის ბოლოს აიყვანონ, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. ჩემი აზრით, რომელიმე გუნდი დრაფტის მეორე რაუნდის არჩევანს შერმადინში გამოიყენებს და მის პროგრესს დაელოდება."

აქვე ახალ ინფორმაციას მოგაწვდით: შერმადინი 3 ივნისს ლოს ანჯელესში "კლიპერსის" წინასადრაფტო ვარჯიშზეა მიწვეული, მეორე დღეს კი ორეგონში მოუწევს ჩასვლა – "პორტლენდის" ვარჯიშზე. 6 ივნისს კი იგი მწვრთნელ ნოდარ ქორქიასთან ერთად იტალიის ქალაქ ტრევიზოში უნდა იყოს, სადაც NBA-ს ოთხდღიანი კემპი გაიმართება. ამერიკაში დაბრუნების შემდეგ გიორგი 5 გუნდის 2-2-დღიან "ვორქაუთში" მიიღებს მონაწილეობას. 26 ივნისს კი...

**ვაჟა სიმონიშვილი**



გიორგი შერმადინი. 26 ივნისს დრაფტია




კალათბურთი. ლეგიონერი

# მანუ მესამეა



მანუჩარ მარკოიშვილი (მარცხნივ)

ფინალურ სერიაში "კიევის" "აზოვმაშთან" დამარცხების (1:3) შემდეგ დედაქალაქელთა ოფიციალურ ვებ-საიტზე გამოქვეყნდა გამოკითხვის შედეგები, რომელსაც უნდა გამოერკვია, ვინ იყო გასულ საზონში "კიევის" ყველაზე ნაყოფიერი კალათბურთელი.

გამოკითხვაში გაიმარჯვა კაპიტანმა **არტურ დროზდოვმა**, რომელმაც ხმების 54.8 პროცენტი მიიღო. აქვე გეტყვით, რომ იგი უკრაინის კალათბურთის ფედერაციამ გასული სეზონის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელა.

დავუბრუნდეთ "კიევის" საიტის გამოკითხვას, რომელშიც ნაყოფიერების მხრივ მეორე ადგილი ერგო ორ კალათბურთელს, ორ მარკოს – **მარკო მარავიჩსა** (სლოვენია) და **მანუჩარ მარკოიშვილს**. მათ ხმების 12.9 პროცენტი მიიღეს. მეოთხე იყო გამთამაშებელი **პუხ ჯეტერი** – 9.7 პროცენტი. მეხუთე-მეშვიდე – **რაიან სტეკი, ჯეკობ ჯექსი** და **ვიაჩესლავ კრავცოვი**. მათ საერთო ხმების 3.2 პროცენტი მიიღეს.

**ვახტანგ ტყეშელაშვილი**

სუმო

# ტოჩინოშინი რჩება

მიუხედავად იმისა, რომ სუმოს ელიტის 20 წლის ქართველმა დებიუტანტმა **ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე)** მაისის ბაშო უარყოფითი ბალანსით (7-8) დაასრულა, თითქმის გადაწყვეტილია - მას არ დააქვეითებენ ძურიოს დივიზიონში. სუმოს მიმომხილველთა უმეტესობა შეთანხმდა, რომ 30 ივნისს, რეიტინგში უმაღლესი დივიზიონის ოთხი რიკიში დაკარგავს ადგილს, ლევანი კი დასავლეთის მე-16 მაეგაშირა გახდება. ანუ მას ყველაზე დაბალი რანგი ექნება ნაგოიას ბაშოზე ივლისში (13-27), მორიგი უარყოფითი ბალანსი კი ტოჩინოშინს აუცილებლად დააქვეითებს მეორე ლიგაში, რომელიც მან იანვრის ბაშოზე მოიგო.

საერთო ჯამში სუმოს სპეციალისტებმა კარგი შეფასება მისცეს ტოჩინოშინის დებიუტს მაკუუჩის დივიზიონში, მიუხედავად საბოლოო ბალანსისა. მას ერთ-ერთ პერსპექტიულ სუმოისტად მიიჩნევენ. ყველაზე მეტად ქართველს მერვე დღეს **ტოსანოუმის** წინააღმდეგ განხორციელებულ ჰენკას (დაჯახების თავიდან აცილება) უწუნებენ, რომელმაც ის რიტმიდან ამოაგდო. სპეციალისტთა მტკიცებით, მან ამით საკუთარ სტილს უღალატა, თუმცა დებიუტანტისთვის ასეთი შეცოდება საპატიებელია. შეგახსნებთ, რომ აღმოსავლეთის პირველმა მაეგაშირა **კოკაიმ (ლევან ცაგურია)** მაისის ბაშო ანტირეკორდით დაასრულა – 3-12.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ტოჩინოშინი

მშვილდოსნობა

# ორნი პლეი ოფში

გუშინ, ანთალიაში მშვილდოსანთა მსოფლიო თასის მესამე ეტაპი დაიწყო, რომელიც, პარალელურად, ევროპის თასის მეოთხე ეტაპია. ქალთა ტურნირში საკვალიფიკაციო რაუნდის შემდეგ პლეი ოფში მხოლოდ ორი ჩვენებური გავიდა - **ქრისტინე ესებუა** და **ხათუნა ნარიმანიძე**. **ასმათ დიასამიძე** და **ნათია ცინცაძე** კი პირად პირველობას გამოეთიშნენ.

ორიოდ კვირის წინ ევროპის ჩემპიონატზე მარცხის შემდეგ ესებუამ პატარა სიურპრიზი შემოგვთავაზა - 588 ქულით მერვეზე გავიდა. სამაგიეროდ, საკუთარი შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გამოავლინა ნარიმანიძემ - 562 ქულა და მოკრძალებული 36-ე ადგილი. დიასამიძე 537-ით 72-ზე გავიდა, ცინცაძე 499-ით - 86-ზე.

პლეი ოფი დღეს გაიმართება და პირველ წრეში ესებუა ბრიტანელ ვილე ნუბკეს ხვდება, ნარიმანიძე - ჩინელ ინგ ჰეს.

გუშინვე გაირკვა პლეი ოფში გასული 16 ნაკრებიც. მათ შორის საქართველოცაა, რომელიც 1687 ქულით მე-12 ადგილზე გავიდა და ხვალ პირველ წრეში თურქეთის ნაკრებს შეხვდება.

ქალთაგან განსხვავებით, ჩვენი ვაჟები საერთოდ ვერ მოხვდნენ პლეი ოფში. მათგან საუკეთესო - **ვლადიმერ ბოლქვაძე** 620 ქულით 87-ე იყო, **შალვა ნიბლიაშვილი** 613 -ით 95-ზე გავიდა, **ტარიელ ქადიძე** - 591-ით 110-ე, **კახა ტრეტიაკოვი** - 566-ით 113-ე. ცხადია, ჩვენები ვერც გუნდურ პლეი ოფში მოხვდნენ - 22-ე ადგლზე გავიდნენ.

**ირაკლი თავაძე**

კრივი. საქართველოს ჩემპიონატი

# ფინალები დარჩა

მესამე დღეა, ქუთაისის სპორტის სასახლე მასპინძლობს საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს კრივში, რომელშიც ჩვენი ქვეყნის 12 ქალაქისა და რაიონის 107 მოკრივე იღებს მონაწილეობას.

დღეს, საღამოს გამოვლინდება ქვეყნის 11 ჩემპიონი. წონითი კატეგორიები სხვადასხვა რაიოდენობის მოკრივეებით არის წარმოდგენილი, რის გამოც ზოგან მეთექვსმეტედფინალური, სხვაგან მერვედფინალური, ზოგიერთში კი მხოლოდ მეოთხედფინალური ბრძოლების გამართვა გახდა საჭირო, რათა ნახევარფინალური წყვილები შემდგარიყო.

კარგად წარმოჩნდნენ ჩვენი ტრადიციული საკრივო სკოლები, კერძოდ კი ქუთაისმა 14 მონაწილე გაიყვანა ნახევარფინალში, ფოთმა 8, გორმა (ვარიანმა) 6, თბილისი კი 4 მოკრივით წარსდგა. ქების ღირსია აგრეთვე რუსთავისა და ჭიათურის საკრივოს გარჯა, რომლებმაც ნახევარფინალის სამ-სამი მოკრივით უწიეს.

გუშინ, უამრავი მაყურებლის თვალწინ მეტად თვალსასეიროდ ჩატარდა ნახევარფინალური დაპირისპირებები, შედეგად კი ღირსეულებმა გზა გაიკაფეს ფინალისკენ. განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა 54 წონით კატეგორიაში ფოთელი **გიორგი კილანავასა** და ბათუმელი **ნუკრი შუბითიძის** დაპირისპირება. საბოლოოდ, მცირე უპირატესობა ფოთელის მხარეს აღმოჩნდა და იგი ფინალისტი გახდა.

დიდ ემოციებში ჩაიარა ასევე 64 კგში ფოთელი **ლვამიჩავასა** და ქუთაისელი **მუსერიძის** ბრძოლამაც, აქაც ფოთელმა იმარჯვა ქულებით და ისიც ფინალშია. ყველაზე დიდი ვნებათაღელვა კი 69 კგ მოკრივეთა დაპირისპირებამ გამოიწვია, რომელშიც ქუთაისური დერბი შედგა – **პეტრე ჯანგავაძემ** და **ამბროსი სუთიძემ** რომ იტყვიან, თავი შეაკლეს ერთმანეთს, შედეგად კი დარბაზში ისეთი ემოცია დუღდა, ცოტა დააკლდა, დაანგრევდა. საბოლოოდ, მცირედი უპირატესობით ჯანგავაძემ გაიმარჯვა და ფინალისტებს შეუერთდა.

ძალიან დაძაბული იყო ასევე ვარიანელი **ქარელიშვილისა** და თბილისელი **კლდიაშვილის** ჯახი 81 კგ-ში. ორმა ტექნიკურმა მოკრივემ კარგი კლასი აჩვენა, ფინიშზე ცოტა უკეთესი ვარიანელი გახლდათ და ისიც ფინალისტი გახდა.

რაც შეეხება ჩვენ ოლიმპიელებს, **ნიკოლოზ იზორია** და **კახა ჟვანია**, სპეცგეგმით ემზადებიან და ამ ჩემპიონატს ტოვებენ, რადგან მალე საერთაშორისო ტურნირზე მიდიან.

დღეს ქუთაისის რინგზე ჩემპიონობის ოქროს მედლებისთვის ფინალში ერთანეთს დაუპირისპირდებიან:

**48 კგ. ფირუზ ისკანდეროვი (რუსთავი) - ავთო ჭუბაბრია (ფოთი), 51 კგ. დავით გასვიანი (ფოთი) - მერაბ თურქაძე ქუთაისი), 54 კგ. გიორგი კილანავა (ფოთი) - კახა ლაზარაშვილი (ვარიანი), 57 კგ. გიორგი ასათიანი (ქუთაისი) - რომან გევორქიანი (თბილისი), 60 კგ. კობა ფხაკაძე (ქუთაისი) - სპარტაკ წოწონავა (ფოთი), 64 კგ. ლევან ლვამიჩავა - ამირან ხანჯალავა (თბილისი), 69 კგ. ოთარ ჩხაიძე (ქუთაისი) - პეტრე ჯანგავაძე (ქუთაისი), 75 კგ. რომან თავაძე (ქუთაისი) - ლაშა ხუჯაძე (ქუთაისი), 81 კგ. რეზო ქარელიშვილი (ვარიანი) - ნოდარ ვეფხვაძე (თბილისი), 91 კგ. დავით გოგიშვილი (ვარიანი) - გიორგი გვასალია (ფოთი), 91+კგ. ბიძინა დეკანოსიძე (თბილისი) - მიხეილ ბახტაძე (ქუთაისი)**

**მერაბ ბრძელიძე,**
ქუთაისიდან

ჭადრაკი

# დასავლელთა უპირატესობით

დასრულდა 8-წლამდელთა ჩემპიონატი და გაირკვა იმათი ვინაობა, ვინც მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრება.

გოგონებში პირველი ადგილი **ელა სვანიძემ** დაიკავა და შესაბამისად, მსოფლიო ჩემპიონატის საგზურიც მიიღო, მეორე ადგილზე კი **ნინო ჯალალონია** გავიდა და ევროპის ჩემპიონატზე დაიცავს საქართელოს ღირსებას. ვაჟებში ჩემპიონი **ირაკლი ახვლედიანი** გახდა, ხოლო მეორეზე **შოთა ქებულაძე** გავიდა.

გოგონებში ყველაფერი ბოლო, მეცხრე ტურის დასრულების შემდეგ გაირკვა და ელა სვანიძემ ერთპიროვნულად იმარჯვა - 7,5 ქულა დააგროვა. ნინო ჯალალონიას კი მეორე ადგილისთვის არ ჰყავდა მოცილე - 7 ქულით დაასრულა ასპარეზობა. ბიჭებში კი ყველაფერი სხვაგვარად იყო: ირაკლი ახვლედიანმაც და შოთა ქებულაძემაც ერთნაირი მაჩვენებლით მიაწიეს ფინიშს - 8,5 ქულა ცხრიდან. ასეთი შედეგი ძალიან მაღალია - როგორც წესი, ამგვარი მარაგით მოჭადრაკეები პირველობენ ხოლმე, მაგრამ ამჯერად იშვიათ შემთხვევებთან გვაქვს საქმე: ახვლედიანმაც და ქებულაძემაც ერთნაირი ქულათა მარაგი შეიქმნეს - 8,5 და ის ნახევარი ქულაც ურთიერთდაპირისპირებაში დაკარგეს. აქედან გამომდინარე, კოეფიციენტებიც აბსოლუტურად ერთნაირი აღმოაჩნდათ.

გუშინ გაიმართა გადათამაშება და ჩემპიონის გამოსავლენად 25-წუთიანი პარტიები საკმარისი აღმოჩნდა: ირაკლი ახვლედიანმა ორივე პარტიაში აჯობა მეტოქეს და 2:0 მოუგო.

აღსანიშნავია ერთი გარემოება. ახვლედიანი ბათუმელია, ქებულაძე კი - ქუთაისელი; გოგონებში წარმატებული სვანიძე და ჯალალონიაც ქუთაისელები არიან; ცხრილში მათ შემდეგ მდგარნიც, ძირითადად დასავლეთ საქართველოდან ბრძანდებიან, რაც საქართველოს ამ კუთხის უპირატესობას უსვამს ხაზს.

საპრიზო სამეული: გოგონები: 1. ელა სვანიძე - 7,5; 2. ნინო ჯალალონია - 7; 3. ელენე კოსტავა - 6,5; ვაჟები: 1. ირაკლი ახვლედიანი - 8,5; 2. შოთა ქებულაძე - 8,5; 3. ვაჟა ნადირაძე - 7.

**ზვიად შათირიშვილი**

# თემურ ყაზარაშვილის ტურნირი



რუსთავში ტიტულოვანი ქართველი მოჭიდავის, მსოფლიოს ჩემპიონის - თემურ ყაზარაშვილის სახელობის წლევანდელ საერთაშორისო ტურნირში ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 6 ქვეყნის 170-მდე ჭაბუკი მონაწილეობდა.

ქართველმა მოჭიდავეებმა ოქროს 3, ვერცხლის 4 და ბრინჯაოს 8 მედალი მიიპოვა. ყველაზე მეტი ოქროს მედალი - 4, ტურნირზე თურქებს ხვდათ წილად. თემურ ყაზარაშვილის სახელობის თასი კი (50 კილოგრამ წონით კატეგორიაში) აზერბაიჯანელი სპორტსმენის საკუთრება გახდა.

ტურნირს, რომელიც უკვე მე-12-ედ ჩატარდა, რუსთავის საკალათბურთო დარბაზმა უმასპინძლა. გახსნის ცერემონიალს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის მესვეურებთან ერთად, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე - **დავით ნამგალაური**, მისი მოადგილე **გია გალდავა** და ქვემო ქართლის გუბერნატორი - **დავით კირკიტაძე** დაესწრნენ. მათი განცხადებით, ტურნირი მომავალ წელს კიდევ უფრო მასშტაბური იქნება.

| 42 კგ. |
|---|
| 1. ენეს ბასარი (თურქეთი) |
| 2. ამირან შალვაძე (საქართველო) |
| 3. მალიკ გულმალიევი (საქართველო) |
| 3. საგსიკ კოჩარიანი (სომხეთი) |

| 46 კგ. |
|---|
| 1. როინ ძირკვაძე (საქართველო) |
| 2. ლუდვიგ კოჩარიანი (სომხეთი) |
| 3. ალი სისიკი (თურქეთი) |
| 3. სულხან ნიკოლიშვილი (საქართველო) |

| 50 კგ. |
|---|
| 1. ორხან ჯაბარლი (აზერბაიჯანი) |
| 2. ფირუზ წულუკიძე (საქართველო) |
| 3. დავიდ შახბაზიანი (სომხეთი) |
| 3. შარხან მამადოვი (აზერბაიჯანი) |

| 54 კგ. |
|---|
| 1. გიორგი დავითაია (საქართველო) |
| 2. ირუნოღლუ ჰუშნუ (თურქეთი) |
| 3. ასლან პოლოსიანი (სომხეთი) |
| 3. ედგარ მელიქიანი (სომხეთი) |

| 58 კგ. |
|---|
| 1. ორხან ფაშაევი (აზერბაიჯანი) |
| 2. ემრე იუნუსი (თურქეთი) |
| 3. ჯემალ ხარაბაძე (საქართველო) |
| 3. ჯაფარ გლაგადაშოვი (აზერბაიჯანი) |

| 63 კგ. |
|---|
| 1. ზურაბ დათუნაშვილი (საქართველო) |
| 2. ვალოდია სააკიანი (სომხეთი) |
| 3. არტურ პეტროსიანი (სომხეთი) |
| 3. მირზა გავაშელიშვილი (საქართველო) |

| 69 კგ. |
|---|
| 1. რუბენ ჩარიგიანი (სომხეთი) |
| 2. გოგა აპრიამაშვილი (საქართველო) |
| 3. ლაშა დოლიძე (საქართველო) |
| 3. პარვიზ მამედოვი (აზერბაიჯანი) |

| 76 კგ. |
|---|
| 1. ატენ ასლანი (თურქეთი) |
| 2. არტურ ალექსანიანი (სომხეთი) |
| 3. ჯუმბერ დოლიძე (საქართველო) |
| 3. გუნგორ ბარისი (თურქეთი) |

| 85 კგ. |
|---|
| 1. ბასარ მეტეჯანი (თურქეთი) |
| 2. რევაზ ნადარეიშვილი (საქართველო) |
| 3. ნაირი ჰარუთინიანი (სომხეთი) |
| 3. სანდრო დიჯამინჯია (საქართველო) |

| 100 კგ. |
|---|
| 1. ნიგამ ბაირამი (თურქეთი) |
| 2. ვაზიკ ეგიზარიანი (სომხეთი) |
| 3. სერგო გოგისვანიძე (საქართველო) |
| 3. ლევან არაბული (საქართველო) |

*სპორტის დეპარტამენტის პრესსამსახური*

SOS

# რაო, კახეთმა სამბო მოიძულა?

ჩოხიან ჭიდაობაში, გნებავთ ქართული იყოს ეს, გნებავთ ძიუდო და გნებავთ ქართული ილეთებით ნაზავი რუსული სამბო, კახელები განსაკუთრებული მიღწევებით იწონებდნენ მუდამ თავს.

თბილისში ,ამ დღეებში, 1992-93-წლიანთა საქართველოს პირველობაზე სამბოში საგანგაშო ფაქტი გამომჟღავნდა - ახმეტამ, თელავმა და გურჯაანმა გუნდები არ მოავლინა. ამბობენ, მიზეზი უსახსრობააო. გამოდის, რომ სამბო კახეთში მოიძულეს, ჭაბუკთა აღზრდა-დაოსტატება ყურადღების მიღმა რჩება.

ვურჩევთ კახეთის მხარის სპორტის მესვეურებს, მიბაძონ ზუგდიდელებს, სადაც სპორტის მუშაკები, რაიონისა და მხარის ხელმძღვანელები ყველაფერს აკეთებენ სპორტის, მათ შორის ჩოხიანი ჭიდაობების მხარდასაჭერად. შედეგი? სამბოში ზემოხსენებულ პირველობებზე საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის **ედვარდ კვიციანის** შეგირდები სამჯერ ვიხილეთ საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

გამცნობთ გამარჯვებულებს: 40 კგ - გიორგი ეჯიბია (ფოთი), 42 - ოლეგ გაბუნია (ვანი), 45 - ლუხუმ ჩხვიმიანი, 48 - ნუკრი ლვინჯილია, 51 - გიორგი კაცია (სამივე - ზუგდიდი), 55 - გოჩა ვარძელაშვილი (გორი), 59 - ბექა ტულუში (ფოთი), 63 - ირაკლი ფარჯიანი (დმანისი), 68 - უშანგი ჭელიძე (თბილისი), 73 - თემურ ნიჟარაძე (ქუთ.), 78 - დათო იაკობიძე (ბათუმი), +78 - სლავა რეზესძე (დმანისი).

ფარიკაობა

# ჩიქოვანის მემორიალი

ქუთაისის სპორტის სასახლეში გაიმართა საქართველოს დამსახურებილი მწვრთნელის **გალაქტიონ ჩიქოვანის** ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ახალგაზრდებს შორის. შეჯიბრებაში საქართველოს ქალაქების ნაკრებები, სომხეთისა და აზერბაიჯანის გუნდები იღებდნენ მონაწილეობას. ტურნირი გოგონათა და ვაჟთა შორის ფარიკაობის სამივე სახეობაში ჩატარდა.

ტურნირის შესახებ, ვეტერანი მოფარიკავე, ქუთაისის სპორტის სამსახურის მთავარი სპეციალისტი **გია ჩიხლაძე** გვესაუბრა: *- გალაქტიონ ჩიქოვანი არის ფარიკაობის დამაარსებელი ქუთაისში, რომელმაც საქართველოს არაერთი ცნობილი მოფარიკავე აღუზარდა. მაგალითად, ოტო მოსიძე, ანზორ გაგულაშვილი, ამირან ბობოხიძე და სხვები...ექვსი წლის წინათ გადავწყვიტეთ, რომ მისი სახელის უკვდავსაყოფად ჩაგვეტარებინა საერთაშორისო ტურნირი ფარიკაობაში და მას შემდეგ ეს შეჯიბრება ყოველწლიურად იმართება. ტურნირი ქუთაისის მერიის ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა. წლეულს, მოწვეული გვაყავდა სომხეთისა და აზერბაიჯანის გუნდები, ორივე ქვეყანა დიდი წარმომადგენლობით გვეწვია და შეჯიბრება საინტერესოდ წარიმართა.*

გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს.

| ხმალი ბიჭები: |
|---|
| გიორგი გორგიძე (ქუთ) |
| 2.იუსიფ ბუდაგოვი (აზერ) |
| 3. ბექა ბაზაძე (ქუთ) |
| 3. ნამიგ აგარაგიმოვი (აზერ) |

| ხმალი გოგონები: |
|---|
| სევილ ბუნიატოვა (აზერ) |
| სევიჯ ბუნიატოვა (აზერ) |
| თეონა ყვავაძე (ქუთ) |
| 3.თეოდორა კახიანი (თბ) |

| დაშნა ბიჭები: |
|---|
| რობერტ ხაჩატრიანი (სომხ) |
| სპარტაკ არუთინიანი (სომხ) |
| ზვიად სისაური (თბილისი) |
| 3.ეთიბარ ნამაზოვი (აზერ) |

| დაშნა გოგონები: |
|---|
| თეონა ბენიძე (ქუთ) |
| ხატია ლელაძე (ქუთ) |
| ნათია ჩაჩხიანი (ქუთ) |
| 3.ელმირა ხუდაბერდიევა (აზერ) |

| რაპირა ბიჭები: |
|---|
| 1. არმენაკ გასპარიანი (სომხ) |
| 2. ნაიკ სააკიანი (სომხ) |
| 3. არტურ ხეჩუნიანი (სომხ) |
| 3. გიგა ჭოლაძე (ქუთ) |

| რაპირა გოგონები: |
|---|
| ეკა ბიბილაშვილი (ქუთ) |
| ნინო კილაძე (რუსთ) |
| მერი გოქაძე (ქუთ) |
| 3. ნინო ელაშვილი (ბათ) |

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

ხელბურთი. საქართველოს ჩემპიონატი

# შეეძლო თუ არა ფინალში თამაში ბერძენიშვილს?

## ვინაა ჩემპიონი? საქმე ჯერ არ დახურულა



ლევან ბერძენიშვილი ფინალურ მატჩში

**საქართველოს ხელბურთის ფედერაციას გუშინ, გვარიანად დატვირთული დღე ჰქონდა. ფედერაციის პრეზიდიუმს უნდა დაემტკიცებინა საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების თარიღი. ამას გარდა, განსახილველი იყო ეროვნული ჩემპიონატის ფინალში მომხდარი ინციდენტი და დამნაშავეებისთვის სასჯელები ჩამოერიგებინათ.**

ოფიციალურად, ხელბურთის ფედერაციის არჩევნები პეკინის ოლიმპიადის დასრულებიდან 3 თვის ვადაში უნდა გამართულიყო. თუმცა, ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ, პრეზიდიუმმა მხედველობაში მიიღო ის ფაქტორი, რომ შემოდგომით ეროვნულ ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი აქვს. ამიტომაც ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება 29 ივნისს.

ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის მსურველთა განაცხადების მიღება დღეს დაიწყება და 14 ივნისამდე გასტანს. არჩევნებამდე კი პრეზიდენტის მოვალეობას შეითავსებს ფედერაციის უხუცესი ვიცე-პრეზიდენტი **ჯემალ ცერცვაძე**.

გაცილებით ძნელად გადასაწყვეტი აღმოჩნდა "თბილისის" საჩივარი. შეგახსენებთ, რომ "თბილისის" ხელმძღვანელობას ეროვნული ჩემპიონატის ფინალების წინათ, ჰქონდა პრეტენზია, რომ თურქეთიდან სტუ-"თელავში" დაბრუნებულ **ლევან ბერძენიშვილს** ფინალებში თამაშის უფლება არ გააჩნდა, რადგან "ჩაიკურთან" საიჯარო ხელშეკრულების ვადა უმთავრდებოდა ფინალების შემდეგ - 21 მაისს. ხელბურთის ფედერაციის არგუმენტი კი თურქებისგან მიღებული ფაქსი იყო, რომელშიც ეწერა, რომ საიჯარო კონტრაქტი ამოიწურა ვადაზე ადრე - 5 მაისს, რის გამოც ბერძენიშვილს ევროპის ხელბურთის ფედერაციის წესდების თანახმად, ავტომატურად ეძლეოდა სტუ-ში თამაშის უფლება.

ამ საბუთმა "თბილისი" ვერ დააკმაყოფილა და მეორე ფინალურ მატჩში მოხდა უსიამოვნო ინციდენტი: "თბილისის" მოთამაშე მწვრთნელმა **ტიტე კალანდაძემ** ბერძენიშვილს გაარტყა, ხოლო გუნდის შეფმა **მამუკა მჟავანაძემ** ხელბურთის ფედერაციის გენერალურ მდივანს უთავაზა მუშტი. ამას გარდა, "თბილისმა" მოედანი დატოვა მატჩის დამთავრებამდე 1:23 წუთით ადრე. სწორედ აღნიშნულ ინციდენტზე უნდა ემსჯელათ გუშინ ხელბურთის ფედერაციაში, მაგრამ...

დილით, მამუკა მჟავანაძე ესტუმრა ფედერაციას და ევროპის ხელბურთის ფედერაციიდან მიღებული საბუთები დაუდო. ოდნავ მოგვიანებით კი რედაქციაში გვესტუმრა და ჩვენც გაგვაცნო ამ ქაღალდის ასლი.

საქმე ისაა, რომ "თბილისს" ევროპის ხელბურთის ფედერაცია ჩაუყენებია საქმის კურსში და უკითხია - ჰქონდა თუ არა ბერძენიშვილს ფინალებში თამაშის უფლება.

ევროპის ფედერაციის საერთაშორისო ტრანსფერების კურატორ კლაუდია ბრანტლის პასუხი კი თითქმის ყველაფერს თავდაყირა აყენებს - ბერძენიშვილმა ევროპის ფედერაციიდან სტუ-ში დაბრუნების სერთიფიკატი 21 მაისს მიიღო.

მამუკა მჟავანაძემ იქვე ასეთი კომენტარი მოგვცა:

- ფინალების წინ ვთხოვდით საქართველოს ხელბურთის ფედერაციას, რომ ბერძენიშვილის შესახებ ოფიციალური საბუთი ეჩვენებინათ და ხმას არ ამოვიღებდით. რა საბუთიც გვაჩვენეს, იმით, ჩვენი შეხედულებით, ბერძენიშვილს თამაში არ შეეძლო. სწორედ ამას მოჰყვა ინციდენტი. ჩემი ძმა "თბილისის" მეპატრონეა, მოსკოვში ცხოვრობს და იქაურ სახელბურთო წრეებთან აქვს ურთიერთობა. კონსულტაციები გავიარეთ რუს საერთაშორისო დელეგატებთან, რომელთაც გვითხრეს, რომ ბერძენიშვილს ფინალში თამაშის უფლება არ ჰქონდა.

ამის შემდეგ, წერილი მივწერეთ ევროპის ხელბურთის ფედერაციის საერთაშორისო ტრანსფერების კომიტეტს, საიდანაც მივიღეთ პასუხი, რომ ბერძენიშვილს საქართველოში თამაშის ლიცენზია 21 მაისს მისცეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მას ფინალებში Aთამაში არ შეეძლო.

ჩვენ ვთხოვთ საქართველოს ხელბურთის ფედერაციას ევროპის ფედერაციიდან მიღებულ პასუხზე რეაგირებას და სამართალს. წესით, სტუ-ს უნდა ჩაეთვალოს ორივე ფინალურ მატჩზე 0:10 წაგება და ჩემპიონად "თბილისი" გამოცხადდეს. სტუ-"თელავს" არაფერს ვერჩი და არც მის დისკვალიფიკაციას ან დაჯარიმებას ვითხოვ - ბოლოს და ბოლოს, ამ გუნდში მეგობრები მყავს. უბრალოდ, ხელბურთის ფედერაციამ დაუშვა შეცდომა, პასუხიც მან უნდა აგოს და სამართალიც მისი დასაწესებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმეს ასე არ დავტოვებთ - ბოლომდე ვიბრძოლებთ და ევროპის ფედერაციაში ვიჩივლებთ.

საქმის საბოლოო, ოფიციალურ გარკვევამდე, ფინალებში მომხდარი ინციდენტის განხილვა დროებით გადაიდო. ევროპის ფედერაციას კი ჩვენმა ფედერაციამაც სთხოვა ოფიციალური დოკუმენტაცია ბერძენიშვილის შესახებ და სანამ პასუხი არ მოვა, საკითხი ღიად რჩება. სავარაუდოდ, თურქებმა ევროპის ფედერაცია საქმის კურსში არ ჩააყენეს იმის თაობაზე, რომ ბერძენიშვილთან ნაადრევად ამოწურეს ხელშეკრულება. სწორედ ამას უნდა მოჰყოლოდა აღნიშნული გაუგებრობა. ამ ვერსიისკენ იხრება საქართველოს ხელბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი **ზურაბ კაკაბაძეც**, რომელსაც მაინც მიაჩნია, რომ წესდების თანახმად, ბერძენიშვილს ფინალში თამაში შეეძლო:

- ევროპის ხელბურთის ფედერაციის წესდებაში წერია, რომ როდესაც ხელბურთელს ვადამდე უმთავრდება საიჯარო კონტრაქტი, ავტომატურად ეძლევა თავის კლუბში დაბრუნების უფლება. სწორედ ასე მოხდა ბერძენიშვილის შემთხვევაში. თანაც ამის თაობაზე ასევე წესდების თანახმად, კლუბებიც შეთანხმდნენ და ჩვენც ჩაგვაყენეს საქმის კურსში.

ამდენად, ცოტა არ იყოს, გასაკვირია ევროპის ხელბურთის ფედერაციის პასუხი "თბილისის" კითხვაზე. შესაძლოა, თურქებმა ევროპის ფედერაცია არ ჩააყენეს საქმის კურსში და ამას მოჰყვა გაუგებრობა.

რა თქმა უნდა, ამის უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება. ჩვენ ევროპის ფედერაცია ჩავაყენეთ საქმის კურსში და გავუგზავნეთ თხოვნა, რომ გამოგვიგზავნონ ბერძენიშვილის სერტიფიკატი. პასუხს ალბათ, ხვალ მივიღებთ და აუცილებლად გაგაცნობთ.

**კობა ხატისაშვილი**

ჩოგბურთი

# ტატიშვილი წინ მიიწევს

**ამერიკის** ქალაქ კარსონ სიტიში 50-ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო ბადის ფინალურ წრეში დამარცხდა მე-8 ნომრად განთესილი **სალომე დევიძე** (541). 21 წლის დევიძემ ამერიკელ **მორინ დიასთან** (992) ორ სეტში წააგო – 2:6, 2:6. დევიძე ტურნირს დაემშვიდობა, თუმცა კარსონში ერთი ქართველი მაინც დარჩა – 18 წლის **ანა ტატიშვილი** (274), ანა ტურნირის ძირითად ბადეში მე-4 ნომრად არის განთესილი. პირველი წრის თამაში ტატიშვილმა უკვე გამართა და სამხრეთაფრიკელი **სურინა დე ბეერი** (344) დაამარცხა – 6:1, 6:1. მერვედფინალში ტატიშვილი „უაილდ ქარდით" მიწვეულ 17 წლის ამერიკელს, **ელი ვილს** (634) შეხვდება. ანამ წყვილთა თანრიგშიც იმარჯვა, მან და ამერიკელმა **კიმბერლი კაუტსმა** ხორვატ **აკიკისა** და ამერიკელ **ლი-უოტერსს** მოუგეს – 6:2, 6:3. მეოთხედფინალში მათი მეტოქეები მე-4 ნომრად განთესილი ბელგიელი **ფეისი** და ამერიკელი **უბეროი** იქნებიან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ქართული მეოთხედფინალი არ შედგა

**ტოლიატის** (რუსეთი) ქალ ჩოგბურთელთა ტურნირის (25 ათასი დოლარი) ქართული მეოთხედფინალის იმედი გვქონდა. თუკი მე-4 ნომრად განთესილი **სოფიო შაფათავა** (322) და **ოქსანა კალაშნიკოვა** (645) გაიმარჯვებდნენ, ისინი მეოთხედფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდებოდნენ. სამწუხაროდ, ორივე ჩვენებურმა იმედი გაგვიცრუა, შაფათავამ რუს **მარია ჟარკოვასთან** (703) წააგო – 4:6, 6:0, 3:6. ხოლო კალაშნიკოვამ მხოლოდ ერთი გეიმის მოგება შეძლო მე-6 ნომრად განთესილ ავსტრიელ **პატრიცია მაირთან** (299) – 1:6, 0:6. სოფიო შაფათავა ტურნირს წყვილთა თანრიგშიც დაემშვიდობა, მან და **მარინა შამაიკომ** (რუსეთი) მეოთხედფინალში წააგეს უკრაინელ **პივენთან** და რუს **რიჟონკოვასთან** – 5:7, 6:7 (4).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

პლაჟბურთი. მსოფლიო ტური

# მოგება-წაგება ბარსელონაში

**ბარსელონაში** დაწყებულ მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპზე ქალები ძირითად ტურნირში ჩაებნენ. ქართული წყვილი **საქა-რთველო** კვალიფიკაციის გადალახვის შემდეგ პირველივე შეხვედრაში სერიოზული გამოცდის წინაშე დადგა. ჩვენს ფრენბურთელებს მეტოქედ მე-8 ნომრად განტესილი ამერიკული დუეტი, **ვალჰოდერი** და **ტერნერი** ერგო. პირველი სეტი საქა-რთველომ პირწმინდად წააგო 13:21. თუმცა მეორეში სწორედ რომ ღირსეული რევანში აიღი 21:14. ბოლო სეტში ამერიკელთა გამოცდილება გადამწყვეტი აღმოჩნდა. საქა-რთველომ რამდენიმე უბრალო შეცდომა დაუშვა და სეტი 12:15 წააგო.

მეორე შეხვედრა პირველზე არანაკლებ რთული და დრამატული გამოდგა. ამჯერად ჩვენი ფრენბურთელების მეტოქე მე-9 ნომრად განთესილი მასპინძელთა დუეტი **ალკონი-მატვეევა** იყო. პირველ სეტში, თანაბარ ბრძოლაში, მცირედი უპირატესობა საქა-რთველოს მხარეს იყო და სამი ქულის სხვაობით 21:18 მოიგეს. ყოველივე შეიძლება იყო მეორე სეტშივე დასრულებულიყო, თუმცა ესპანელები უფრო ყურადღებით გაისარჯნენ, ფორტუნამაც მათ გადმოხედა და საქა-რთველო 23:21 დაამარცხეს.

ბოლო მესამე სეტში კი ჩვენი ფრენბურთელების უპირატესობა უკვე აშკარა გახდა და შესაბამისად, გამარჯვებაც მათ დარჩათ. დღეს საქა-რთველო კიდევ ერთ ესპანურ დუეტს **კამპისისა** და **ლოსანოს** დაუპირისპირდება. ჩვენს ფრენბურთელებს წაგების უფლება აღარ აქვთ. დღესვე ჩაებმება ტურნირის ძირითად ბადეში ვაჟებს შორის გეორ-გია.

**ბესიკ ჯანგავაძე**




საქ-რთველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია

# მოსკიტო გავარდა



ფერერომ ბარგი ჩაალაგა

გუშინ წვიმას პარიზი აღარ შეუწუხებია და საფრანგეთის ღიას მონაწილე ჩოგბურთელებიც "როლან გაროსის" კორტებს შეესივნენ. გუშინვე ტურნირს რამდენიმე ძლიერი ჩოგბურთელი გამოეთიშა, რომელთაგან ყველაზე ტიტულოვანი "როლან გაროსის" ყოფილი ჩემპიონი, ესპანელი **ხუან კარლოს ფერეროა.**

მის გარდა, ტურნირი ასევე დატოვეს ჩეხმა **ტომაშ ბერდიხმა** და ხორვატმა გიგანტმა **ივო კარლოვიჩმა**, ასევე უიმბლდონის შარშანდელმა ფინალისტმა, საფრანგეთის პირველმა ჩოგანმა (ქალთა შორის) **მარიონ ბარტოლიმ.**

ფერერო ბრაზილიელ **მარკოს დანიელს** 7:6, 2:2-ს უგებდა, როცა მოულოდნელად ემპაიერისკენ გაემართა და აცნობა, თამაშს ველარ გავაგრძელებო. *"ფეხი ძალიან მტკივა. ზუსტად არ ვიცი, ტკივილს რა იწვევს, ექიმებმა მითხრეს, რომ პრობლემა სერიოზული არაა და მისი მორჩენა ადვილად შეიძლება, მაგრამ ფეხი მაინც მტკივა და ამის გამო, თამაშის გაგრძელება ვერ შევძელი"*, - განაცხადა ფერერომ, ვისაც კარიერაში დიდი სლემის ერთადერთი ტიტული სწორედ როლან გაროსზე, 2003 წელს აქვს მოპოვებული.

მართალია, "მოსკიტოს" (ფერეროს მეტსახელია) ამ სეზონში ბევრი არაფრისთვის მიუღწევია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამავე სეზონში, ის ერთადერთი მეჩოგნეა, ვინც თიხისსაფარიან კორტზე **რაფაელ ნადალის** დამარცხება შეძლო...

ფერერო ამბობს, რომ ამ ტრავმის გამო, ის ალბათ ველარც პეკინის ოლიმპიადის საგზურის მოპოვებას შეძლებს. *"ოლიმპიადაზე თამაში ძალიან მინდოდა, მაგრამ როგორც ჩანს, ვერც ამ სურვილს ავისრულებ. ბალახის სეზონისთვის მოსამზადებლად დრო კი მრჩება, მაგრამ ძალიან გამიჭირდება. ტრავმა სერიოზული არაა, მაგრამ მის მკურნალობას დრო სჭირდება, მერე კი, დაბრუნებისთანავე ფორმაში შესვლა შეუძლებელია. მოკლედ, ყველაფერს ვილონებ, რომ ფორმაში შევიდე, მაგრამ თუ არაფერი გამომივა, ძალიან ცუდი იქნება"*, - ამბობს ფერერო.

რაც შეეხება დანიელს, ის დიდი სლემის ტურნირზე მერვედ ასპარეზობს, მეორე წრეში გასვლა კი პირველად შეძლო და ამაშიც მეტოქის უილბლობა დაეხმარა.

რაც შეეხება ლოდრასა და ბერდიხის თამაშს, ის ხუთი სეტი გაგრძელდა და როგორც მოგვიანებით ორივე ჩოგბურთელმა აღნიშნა, მატჩის ბედი მაყურებლის აქტიურობამ გადაწყვიტა...

**მერაბ ლორთქიფანიძე**

### მამაკაცები

#### პირველი წრე

**რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ტომას ბელუჩი (ბრა) 7:5, 6:3, 6:1; **დავიდ ფერერი (ესპ, 5)**-სტივ დარცისი (ბელგ) 6:3, 6:4, 6:3; **მიხაილ იუჟნი (რუს, 15)**-ბენიამინ ბეკერი (გერმ) 6:1, 6:3, 7:6(4); **ალეხანდრო ფალა (კოლუ)**-ივო კარლოვიჩი (ხორვ, 20) 3:6, 7:6(4), 7:6(6), 5:7, 6:4; **რადეკ შტეპანეკი (ჩეხ, 21)**-ჟილ სიმონი (საფრ) 6:2, 6:4, 6:1; **მარკოს დანიელი (ბრა)**-ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 23) 6:7(5), 2:2 ფერეროს ტრავმა; **ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალ, 25)**-ნიკოლა მაიუ (საფრ) 6:4, 6:2, 6:4; **იარკო ნიემინენი (ფინ, 26)**-მარკ ლოპესი (ესპ) 2:6, 6:3, 6:4, 6:3; **იგორ ანდრეევი (რუს, 27)**-პოტიტო სტარაჩე (იტა) 6:1, 6:7(3), 6:1, 6:4; **ივან ლიუბიჩიჩი (ხორვ, 28)**-ერიკ პროდონი (საფრ) 7:5, 7:6(6), 7:6(6); **დმიტრი ტურსუნოვი (რუს, 30)**-დანიელ ბრანდსი (გერმ) 6:2, 6:4, 7:5; **ხუან იგნასიო ჩელა (არგ)**-ჯონ იზნერი (აშშ) 2:6, 3:6, 7:5, 6:3, 6:4; **ჟულიან ბენეტიუ (საფრ)**-ვინს სპადეა (აშშ) 6:4, 6:4, 3:6, 3:6, 6:3; **მარკ გიშელი (საფრ)**-ვიკტორ ტროიცკი (სერბ) 6:4, 6:3, 4:6, 7:5; **ლუის ორნა (პერუ)**-სკოვილ ჯენკინსი (აშშ) 6:4, 5:7, 6:3, 6:0; **მარტინ ვასალო არგელო (არგ)**-ფელისიანო ლოპესი (ესპ) 7:6(1), 6:4, 3:6, 4:6, 6:3; **ვიქტორ ჰანესკუ (რუმ)**-დუდი სელა (ისრ) 4:6, 6:2, 4:6, 6:4, 6:3; **იურგენ მელცერი (ავსტ)**-პეტერ ლუჩაკი (ავსტრალ) 6:3, 6:2, 6:4; **დავიდ მარერო (ესპ)**-ვიქტორ კრივოი (რუმ) 6:3, 6:3, 5:7, 6:4; **ალბერტ მონტანესი (ესპ)**-კრისტოფ ფლიგენი (ბელგ) 7:6(5), 7:6(2), 7:6(2); **გაელ მონფილსი (საფრ)**-არნო კლემანი (საფრ) 7:5, 6:3, 6:1; **მარდი ფიში (აშშ)**-აგუსტინ კალერი (არგ) 6:7(6), 6:4, 6:2, 6:4; **მარინ ჩილიჩი (ხორვ)**-რობინ ჰაასე (ჰოლ) 7:6(6), 6:2, 7:6(4); **ირჟი ვანეკი (ჩეხ)**-ჯესე ჰუტა გალუნგი (ჰოლ) 6:3, 7:5, 6:2; **დიეგო ხუნკეირა (არგ)**-ადრიან მანარინო (საფრ) 6:1, 6:2, 6:2; **მარატ საფინი (რუს)**-ჟან-რენე ლისნარი (მონ) 6:7(5), 6:1, 6:3, 6:2; **ფაბრის სანტორო (საფრ)**-ევგენი კოროლიოვი (რუს) 7:6(3), 6:1, 6:4; **ბობი რეინოლდსი (აშშ)**-ტიერი აშონე (საფრ) 7:6(2), 4:6, 6:3, 6:2; **რობი გინეპრი (აშშ)**-დონალდ იონგი (აშშ) 6:2, 3:6, 7:6(4), 6:2;

#### მეორე წრე

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბ, 3)**-მიგელ ანხელ ლოპესი (ესპ) 6:1, 6:1, 6:3; **ენდი მარეი (ბრიტ, 10)**-ხოსე აკასუსო (არგ) 6:4, 6:0, 6:4; **მიშელ ლოდრა (საფრ)**-ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 11) 6:3, 4:6, 5:7, 6:3, 6:4; **პოლ-ანრი მატიე (საფრ, 18)**-ოსკარ ერნანდესი (ესპ) 2:6, 1:6, 6:4, 6:3, 6:2; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 19)**-სებასტიან დეკუ (არგ) 7:6(2), 6:2, 6:1; **სიმონე ბოლელი (იტა)**-ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ) 3:6, 7:6(0), 7:5, 6:2; **ედუარდო შვანკი (არგ)**-მარსელ გრანოლერსი (ესპ) 6:7(5), 6:2, 6:4, 6:4; **უეინ ოდესნიკი (აშშ)**-ჰიუნ-ტაიკ ლი (სამხ.კორეა) 6:2, 4:6, 6:3, 6:2

### ქალები

#### პირველი წრე

**მარია შარაპოვა (რუს, 1)**-ევგენია როდინა (რუს) 6:1, 3:6, 8:6; **ანა ჩაკვეტაძე (რუს, 6)**-ნურია ლაგოსტერა ვივესი (ესპ) 6:3, 5:7, 6:1; **ელენა დემენტიევა (რუს, 7)**-ვერა დუშევინა (რუს) 6:7(6), 6:2; **კეისი დელაკვა (ავსტრალ)**-მარიონ ბარტოლი (საფრ, 9) 6:7(4), 6:3, 6-2; **ვერა ზვონარევა (რუს, 11)**-სტეფანი ფორეცი (საფრ) 6:2, 6:1; **ვიქტორია აზარენკა (ბელა, 16)**-ედინა გოლოვიცი (რუმ) 6:1, 6:3; **სამანტა სტოშური (ავსტრალ)**-შაჰარ პეერი (ისრ, 17) 6:2, 3:6, 6:1; **ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 18)**-ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:3, 6:2; **ალექსანდრა ვოზნიაკი (კან)**-სიბილ ბამერი (ავსტ, 20) 6:0, 6:2; **მარია კირილენკო (რუს, 21)**-მარია ელენა კამერინი (იტა) 6:1, 6:0; **ნადია პეტროვა (რუს, 25)**-არავან რეზაი (საფრ) 7:6(4), 6:3; **ფლავია პენეტა (იტა, 26)**-ტატიანა პერებიინისი (უკრ) 6:3, 6:2; **კატარინა სრებოტნიკი (სლო, 27)**-ვირხინია რუანო პასკუალი (ესპ) 6:4, 6:2; **ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ, 29)**-მარია ხოსე მარტინეს სანჩესი (ესპ) 6:3, 6:2; **სორანა კირსტეა (რუმ)**-ანე კრემერი (ლუქს) 6:0, 3:0 კრემერი; **აკგულ ამანმურადოვა (უზბ)**-იანინა ვიკმაიერი (ბელგ) 6:2, 7:5; **ძი ჭენი (ჩინ)**-მარა სანტანჯელო (იტა) 4:6, 6:3, 6:0; **მარტა დომახოვსკა (პოლ)**-როსანა დე ლოს რიოსი (პარა) 3:6, 6:3, 6:1; **ოლგა გოვორცოვა (ბელა)**-იულიანა ფედაკი (უკრ) 7:5, 2:6, 6:3; **სტეფანი კოენ ალორო (საფრ)**-იოანა რალუჩა ოლარუ (რუმ) 7:6(4), 6:3; **სანდა მამიჩი (ხორვ)**-მიხაელა კრაიჩეკი (ჰოლ) 6:4, 6:3; **ბეთანი მატეკი (აშშ)**-მედისონ ბრენგლი (აშშ) 6:3, 2:6, 6:4; **შუაი პენი (ჩინ)**-ანასტასია როდიონოვა (რუს) 6:0, 2:6, 6:3; **მაგდალენა რიბარიკოვა (სლვკ)**-კაროლინა შპრემი (ხორვ) 7:6(3), 3:6, 8:6; **მარინა ერაკოვიჩი (ახ.ზელ)**-ტატიანა გარბინი (იტა) 6:7(9), 6:3, 6:3; **კაია კანეპი (ესტ)**-მენ იუანი (ჩინ) 6:2, 6:2; **პეტრა კვიტოვა (ჩეხ)**-აკიკო მორიგამი (იაპ) 6:4, 6:3; **ვანია კინგი (აშშ)**-ვიოლეტ ჰუკი (საფრ) 4:6, 6:2, 6:1; **ალისა კლეიბანოვა (რუს)**-ტამარინ ტანასუგარნი (ტაი) 6:3, 6:0; **ცვეტანა პირონკოვა (ბულ)**-იუნ-ძან ჩანი (ტაივ) 5:7, 6:2, 6:0;

#### მეორე წრე

**ანა ივანოვიჩი (სერბ, 2)**-ლუსი საფაროვა (ჩეხ) 6:1, 6:2; **სერენა უილიამსი (აშშ, 5)**-მატილდ იოჰანსონი (საფრ) 6:2, 7:5; **პატი შნიდერი (შვეი, 10)**-ტიმეა ბაჩინსკი (შვეი) 6:4, 4:6, 6:1; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 14)**-ელენა პანჯიჩი (ხორვ) 6:2, 6:0; **კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 30)**-ანასტასია იაკიმოვა (ბელა) 6:0, 6:4; **ემილი ლუა (საფრ)**-კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ) 6:4, 6:3

ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია

# ველში დაბრუნებული გამარჯვება




გერმანელი **ანდრე გრაიპელის** გამარჯვებით დასრულდა იტალიური ტურის მორიგი, მე-17 ეტაპი, რომლის ფინიშზეც, მან თავისი გუნდის საუკეთესო სპრინტერს, ბრიტანელ **მარკ კავენდიშს** მიასწრო. საერთო კლასიფიკაციაში კი ლიდერობა ესპანელმა **ალბერტო კონტადორმა** შეინარჩუნა.

"ჰაი როუდის" ველომრბოლებმა უკან ჩამოიტოვეს მთავარი კონკურენტი, იტალიელი **დანიელე ბენატი**, ვისაც მიმდინარე ჯიროზე სამი ეტაპი სწორედ კავენდიშთან პაექრობაში აქვს მოგებული. თავის მხრივ, ბრიტანელმა მას ორ ეტაპზე აჯობა და ამაში დიდი წვლილი გრაიპელმა შეიტანა. ჰოდა, მადლიერმა კავენდიშმა მადლობა იმით გადაუხადა, რომ საფინიშო სპურტში თავის "ლეიტენანტს" ზურგი გაუმაგრა და მას გამარჯვების მოპოვებაში დაეხმარა.

ბოლო ას მეტრზე კავენდიში სულ უკან იყურებოდა იმისათვის, რომ თავისი თანაგუნდელის ლიდერობას საფრთხე არ დამუქრებოდა. ისიც და ბენატიც სწორედ ბოლო ასი მეტრის სპეციალისტები არიან. მაგრამ იტალიელმა, როცა მიხვდა, რომ საიმედოდ იყო ჩაკეტილი, გაბრძოლება საჭიროდ აღარ ჩათვალა. კავენდიში კი, როცა მიხვდა, ბენატი შეტევას არ აპირებდა და სხვებსაც დაბალი ტემპი ჰქონდათ, ხელები გამარჯვების ნიშნად შემართა, რითაც ყველას დაანახა, რომ გრაიპელის გამარჯვება მისთვისაც გამარჯვების ტოლფასი იყო!

**მერაბ ლორთქიფანიძე**

#### მე-17 ეტაპი. სონდრიოდან ლოკარნომდე (შვეიცარია, 146 კმ)

1. ანდრე გრაიპელი (გერმანია, ჰაი როუდი) 3:27.05 (42.301 კმ/სთ); 2. მარკ კავენდიში (ბრიტანეთი, ჰაი როუდი) იგივე დროში; 3. დანიელე ბენატი (იტალია, ლიკვიგაზი); 4. ერიკ ცაბელი (გერმანია, მილრამი); 5. ასან ბაზაევი (ყაზახეთი, ასტანა); 6. ალექსანდრ უსოვი (ბელარუსი, AG2R ლა მონდიალი); 7. ენრიკო გასპაროტო (იტალია, ბარლოუორლდი); 8. ბრამ ხროოტი (ჰოლანდია, რაბობანკი); 9. ალექსანდრ სეროვი (რუსეთი, ტინკოფი); 10. ნიკოლაი ტრუსოვი (რუსეთი, ტინკოფი) ყველა იგივე დროში...

#### კლასიფიკაცია 17 ეტაპის შემდეგ

1. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, ასტანა) 72.14.40; 2. რიკარდო რიკო (იტალია, სონიე დიუვალი) 0.41; 3. ჯილბერტო სიმონი (იტალია, დიკვიჯოვანი) 1.21; 4. მარციო ბრუსეგინი (იტალია, ლამპრე) 2.00; 5. ფრანკო პელიცოტი (იტალია, ლიკვიგაზი) 2.05; 6. დანილო დი ლუკა (იტალია, LPR ბრეიკსი) 2.18; 7. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) 2.47; 8. ემანუელე სელა (იტალია, CSF ნავიგარე) 4.25; 9. იურგენ ვან დენ ბრიოკი (ბელგია, სილენსლოტო) 4.26; 10. დომენიკო პოცოვივო (იტალია, CSF გრუპ ნავიგარე) 5.25...

ოლიმპიზმი

# პეკინში სუნთქვა გაჭირდა


პეკინში ასეთი მტვერი იცის

სინოპტიკოსების ვარაუდით, პეკინის ოლიმპიური თამაშები რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში ჩაივლის. ჩინეთის დედაქალაქისთვის აგვისტოში დამახასიათებელმა წვიმებმა, შესაძლოა, დალი დაასვას თამაშების გახსნის ცერემონიას, რომელიც ღია სტადიონზე გაიმართება.

კიდევ ერთ პრობლემას წარმოადგენს პეკინში ჰაერის დაბინძურება, რომელმაც დღევანდელი მონაცემებით ისეთ დონეს მიაღწია, რომ ქალაქის მთავრობამ ოფიციალურად გააფრთხილა მწვავე რესპირატორული პრობლემების მქონე ადამიანები, რათა მათ ქუჩაში გასვლისგან თავი შეიკავონ.

ჩინეთის დედაქალაქში ჰაერის ხარისხი ქვიშის ქარიშხლის გამო გაუარესდა, რომელიც ქვეყანაში მონღოლეთიდან შევიდა. ასეთი ქარიშხლები ჩინეთში ხშირად იცის, ოღონდ ტრადიციისამებრ ეს აპრილში ხდება ხოლმე.

თამაშების დღეებში მსგავსი პრობლემების თავიდან ასაცილებლად, პეკინის მთავრობამ უკვე შეაჩერა იმ საწარმოების მუშაობა, რომლებიც განსაკუთრებით აბინძურებენ ჰაერს. გარდა ამისა, მათივე მოთხოვნით, ქალაქის გარეუბნებში მომუშავე ხუთმა საწარმომ მუშაობის ინტენსივობა შეამცირა.

ამავდროულად, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში აცხადებენ, რომ თუ ოლიმპიადის დღეებში ჰაერი საკმარისად სუფთა არ იქნება, ისინი ზოგიერთ ღონისძიებას გააუქმებენ. და რაც უფრო ადრე გაიგებენ სავარაუდო პროგნოზს, მით უფრო იოლი იქნება გეგმების შეცვლა. ამისთვის კი, ამ დღეებში ჩინეთმა კოსმოსში მორიგი თანამგზავრი გაუშვა, რათა უფრო ზუსტად განსაზღვროს ამინდის პროგნოზი.

**გია თვალაბეიშვილი**

# ნოას საკუთარი ხეივანი ექნება

ლეგენდარული ფრანგი ჩოგბურთელის, **იანიკ ნოას** როლან გაროსზე გამარჯვების 25 წლის აღსანიშნავად, საფრანგეთის ღია პირველობის ორგანიზატორებმა "როლან გაროსის" სოფლის ერთ-ერთ ხეივანს ამ მოთამაშის სახელი მიანიჭეს. დღეისთვის, ნოა უკანასკნელი ფრანგი ჩოგბურთელია, რომელმაც "დიდი სლემის" საშინაო ტურნირი მოიგო.

"როლან გაროსის" სოფლის ხეივნებისთვის ფრანგი ჩოგბურთელების სახელების მინიჭების ტრადიცია 2002 წლიდან იღებს სათავეს. ამ უზარმაზარ სპორტკომპლექსში სეირნობისას, შესაძლებელია **გი ფორჟეს** (2002 წელი), **რენე ლაკოსტის** (2003), **სედრიკ პიოლინის** (2004), **ნატალი ტოზიას** (2005), **ანრი ლეკონტის** (2006) და **მარი პირსის** (2007) სახელობის ხეივნები შემოიაროთ.

ხეივნის გახსნის ცერემონიას თავად 1983 წლის როლან გაროსის ჩემპიონი იანიკ ნოა და საფრანგეთის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **კრისტიან ბიმი** ესწრებოდნენ.




**გია თვალაბეიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტოსპორტი

# ფერარიც ჯაშუშობს?




ავტოსპორტის სამყაროში მორიგი ჯაშუშური სკანდალის შესახებ ალაპარაკდნენ. და კვლავ, საქმეში "ფერარია" გარეული, ოღონდ ამჯერად, ბრალდებული შესაძლოა თავად იტალიური საჯინიბო აღმოჩნდეს.

ამბობენ, რომ "ფერარი" იმდენად არის მოხიბლული პიტ-სტოპების გავლისას "BMW-ზაუბერის" სისწრაფით, რომ "წითლებმა" ბოლო ტესტებზე საიდუმლოდ გადაიღეს გერმანულ-შვეიცარიული გუნდის მოქმედება.

წლეულს, "BMW-ზაუბერი" პიტ-სტოპებს წამით ნაკლებს ანდომებს, ვიდრე "ფერარი" ან "მაკლარენი". და როგორც ჩანს, პოლ რიკარის ტესტებისას, იტალიურმა გუნდმა RAI-სა და Sky-ს თანამემამულე ჟურნალისტებს პიტ-სტოპებზე BMW-ს მოქმედების გადაღება დაავალა. რა თქმა უნდა, შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ.

*"თუ "ფერარი" ამ საკითხში ეტალონად მიგვიჩნევს, ჩვენ ამას კომპლიმენტად მივიღებთ"*, - განაცხადა "BMW-ზაუბერის" შეფმა **მარიო ტაისენმა**, როდესაც სავარაუდო ჯაშუშობის შესახებ გავრცელებული ჭორი შეიტყო. ჯერჯერობით უცნობია, რა განვითარებას ჰპოვებს ეს საქმე.

გია **თვალაბეიშვილი**

კალათბურთი

# 80 მილიონი პოლისთვის

"ნიუ ორლეან ჰორნეტსის" ხელმძღვანელობა წლევანდელი სეზონის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული კალათბურთელის, **კრის პოლის** შენარჩუნებას აპირებს. უახლოეს დღეებში, კლუბის გენერალური მენეჯერი **ჯეფ ბოუერი** გამთამაშებელს ახალ კონტრაქტს შესთავაზებს. თუ პოლი ამ პირობებს დათანხმდება, მომდევნო ხუთი სეზონის სანაცვლოდ 80 მილიონ დოლარს მიიღებს.

*"მომავალი კონტრაქტის ყველა დეტალს კრის პოლის აგენტთან შევათანხმებთ. კარგია, რომ კალათბურთელმა იცის საკუთარი პრიორიტეტები და პასუხისმგებლობის გრძნობაც გააჩნია. ჩვენ მისი დიდი იმედი გვაქვს"*, - აცხადებს ბოუერი.

პოლის ერთ-ერთი პრიორიტეტი აგვისტოში, პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლაა, მაგრამ "ნიუ ორლეანის" შეფობას ეს პერსპექტივა დიდად არ ხიბლავს. სტატისტიკის მიხედვით, იმ კალათბურთელებმა, რომლებმაც 2004 წელს, ათენის ოლიმპიურ თამაშებში მიიღეს მონაწილეობა, 2004-05 წლების სეზონში საშუალოდ 12-12 მატჩი გამოტოვეს.

*"ეს ყველა სპორტსმენის პრობლემაა. როცა ბევრი თამაში გიწევს, ტრავმებიც ხშირდება ხოლმე. პოლს უზომოდ უყვარს კალათბურთი, მაგრამ თავსაც უნდა გაუფრთხილდეს. საწვრთნელი ბანაკის დროს, აუცილებლად გავაკონტროლებთ მის ფიზიკურ მდგომარეობას"*, - აღნიშნავს "ნიუ ორლეანის" მთავარი მწვრთნელი **ბაირონ სკოტი**.



გია **თვალაბეიშვილი**

# ერმანი ევროპაში მიდის

"დეტროიტ პისტონზის" არგენტინელმა ლეგიონერმა **ვალტერ ერმანმა**, მომავალ სეზონში შესაძლოა ევროპაში გააგრძელოს კარიერა. კერძოდ, 29 წლის ფორვარდს თავის რიგებში ესპანური "პამესა" ეპატიჟება.

2004 წლის ოლიმპიურ ჩემპიონს "დეტროიტთან" კონტრაქტი ამ ზაფხულს ეწურება, რის შემდეგაც ის თავისუფალი აგენტი გახდება. ერმანმა უკვე დიდი ხანია დაკარგა ადგილი ძირითად შემადგენლობაში და თითქმის აღარ ჩნდება მოედანზე. შესაბამისად, NBA-ის არცერთი კლუბი არ აპირებს მასთან კონტრაქტის გაფორმებას. ამიტომაც, არგენტინელისთვის ყველაზე მისაღებ ვარიანტად ევროპაში გადაბარგება რჩება.

ერმანმა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ორი სეზონი ითამაშა. "შარლოტსა" და "დეტროიტში" მან ჯამში 95 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 6.4 ქულა დააგროვა.

გია **თვალაბეიშვილი**

კრივი

# ჰოლიფილდს ვალები ჰქონია

ამერიკულმა კომპანია RCH2-მა სასამართლოში უჩივლა სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ექს-ჩემპიონს, ლეგენდარულ **ევანდერ ჰოლიფილდს**. მოკრივეს 550 ათასი დოლარის ოდენობის ვალის გადაუხდელობაში ედება ბრალი. ევანდერმა ეს თანხა 2006-07 წლებში ნაწილ-ნაწილ მიიღო და ვალი გასული წლის 13 ოქტომბერს, რუს **სულთან იბრაჰიმოვთან** გამართული ბრძოლის შემდეგ უნდა გაესტუმრებინა.

ჰოლიფილდმა ეს ფული ჯორჯიის შტატში მდებარე საკუთარი სახლის კეთილმოსაწყობად ისესხა. კომპანია RCH2-ის წარმომადგენელმა **ლონ ჯენკინსმა** განაცხადა, რომ გასული წლის სექტემბერში, მოკრივეს კრედიტის დაფარვის შესახებ წერილობით შეახსენეს, მაგრამ ევანდერმა ის უპასუხოდ დატოვა.

ევანდერ ჰოლიფილდი, რომელსაც 19 ოქტომბერს 46 წელი შეუსრულდება, არაერთხელ აცხადებდა, რომ რინგზე ფულის გამო არ გადის, არამედ იმისთვის, რომ ისევ გახდეს მსოფლიო ჩემპიონი. ამის შანსი მას იბრაჰიმოვთან ბრძოლაში ჰქონდა, რომელიც მაშინ WBO-ს საჩემპიონო ქამრის მფლობელი იყო, მაგრამ კრივის ცოცხალმა ლეგენდამ ის ბრძოლა ქულებით წააგო.



გია **თვალაბეიშვილი**

## TV სპორტი

### 29 მაისი. ხუთშაბათი

#### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი.
14:05 გერმანიის ჩემპიონატი. სეზონის შეჯამება.
15:35 ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. რუსეთი-ისრაელი.
15:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:05 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:05 2:1 - საფეხბურთო თოქ-შოუ.
18:05 ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. იტალია-უკრაინა.
19:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:10 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
20:20 ინგლისის ჩემპიონატი. სეზონის შეჯამება.
21:15 ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. მაკედონია-რუსეთი.
21:30 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი.
23:15 ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. იტალია-უკრაინა.
01:00 ესპანეთის ჩემპიონატი. სეზონის შეჯამება.

#### SPORT 1 (უკრაინა)

08:30 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
09:00 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
09:10 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
09:40 ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. შვედეთი-ჩეხეთი. კანადა.
11:40 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-სარაგოსა.
13:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ფინალი. ნოვაკ ჯოკოვიჩი-სტანისლას ვავრინკა. რომი. იტალია.
15:40 პლაჟის ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი.
17:00 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. საუკეთესო მატჩები. მაკაბი-ეფეს პილსენი.
18:40 სპორტკლუბი.
19:00 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
19:30 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
19:45 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. ფინალი. პიტსბურგი-დეტროიტი. III მატჩი.
21:35 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
21:50 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი.
23:40 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
23:55 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი.
01:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კატანია-რომა.
03:20 მინი-მოედანი.
03:35 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-სარაგოსა.
05:25 ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. შვედეთი-ჩეხეთი. კანადა.

#### EUROSPORT

10:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. IV დღე. მიმოხილვა.
10:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. IV დღე.
11:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. IV დღე. მიმოხილვა.
12:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ამხანაგური მატჩები. მიმოხილვა.
13:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. V დღე (LIVE).
18:00 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XVIII ეტაპი (LIVE).
19:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. V დღე (LIVE).
22:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. V დღე. მიმოხილვა.
22:45 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი (21-წლამდელები). ფინალი. ტულონი. საფრანგეთი (LIVE).
00:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. V დღე. მიმოხილვა.
01:45 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. საბერძნეთი.
02:15 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
02:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. V დღე. მიმოხილვა.
02:45 მულტისპორტი.
03:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. საბერძნეთი.

#### EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 არენა-ფეხბურთი. რეგულარული ლიგა. ნიუ ორლეანი-ჯორჯია.
13:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ამხანაგური მატჩები. მიმოხილვა.
14:00 ახალი ამბები.
16:00 ბილიარდი. 3-ბორტიანი კარამბოლი. ევროპის მასტერსი. ფინალი. საფრანგეთი.
17:00 არენა-ფეხბურთი. რეგულარული ლიგა. ნიუ ორლეანი-ჯორჯია.
18:00 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი (21-წლამდელები). 1/2 ფინალი. ტულონი. საფრანგეთი.
19:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ამხანაგური მატჩები. მიმოხილვა.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი (21-წლამდელები). მე-3 ადგილისთვის. ტულონი. საფრანგეთი (LIVE).
22:30 ახალი ამბები.
22:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. ფიჯი.
23:00 მოტოფრისტაილი (ჰაერში მოტოციკლით ტრიუკები). სტოკჰოლმი. შვედეთი.
00:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ამხანაგური მატჩები. მიმოხილვა.
01:00 ახალი ამბები.
01:15 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. პლეიოფი.
02:15 სერფინგი. მსოფლიო ტური. ფიჯი.
02:30 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| რუსეთი-სერბეთი | 2:1 |
| ინგლისი-აშშ | 2:0 |
| სინგაპური-ბაჰრეინი | 0:1 |
| მოლდოვა-სომხეთი | 2:2 |
| ნორვეგია-ურუგვაი | 2:2 |
| ისლანდია-უელსი | 0:1 |

#### UNDER 21

| | |
|---|---|
| საფრანგეთი-პორტუგალია | 1:1 |
| შვედეთი-ჰოლანდია | 0:0 |
| გერმანია-დანია | 4:0 |

#### ნორვეგია

##### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| სანდნესი-ნიბერგსუნდი | 2:3 |

#### ფინეთი

##### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ატლანტისი-ვიფკ | 1:1 |
| იუვიასკიულა-პკ35 | 1:1 |

#### რუსეთი

##### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| დინამო (ბრ)-ზვეზდა | 1:3 |
| მეტალურგი-კამაზი | 1:1 |
| სიბირი-ალანია | 2:1 |
| დინამო (ბარ)-ვოლგა | 2:0 |
| ურალი-მაშუკი | 2:0 |
| ნოსტა-სკა მოსკოვი | 1:1 |
| ვიტიაზი-ანჟი | 0:1 |
| როსტოვი-სკა ენერგია | 3:1 |
| ბელგოროდი-სკა (რ) | 0:1 |
| ტორპედო-ყუბანი | 1:3 |
| ბალტიკა-ჩერნომორეცი | 1:1 |

### კალათბურთი

#### NBA. პლეიოფი. 1/2 ფინალი

##### დასავლეთი

| | |
|---|---|
| სან ანტონიო-ლეიკერსი | 91:93 |

23:28, 24:25, 23:24, 21:16

ს-ა: დანკანი (29+17 მოხსნა+3 ჩაჭრა+3 დაფარება), პარკერი (23+9 პასი), ბერი (23+2 ჩაჭრა), ჯინობილი (7+6 პასი).

ლ: ბრაიანტი (28+10 მოხსნა), ოდომი (16+9 მოხსნა), რადმანოვიჩი (11+6 მოხსნა), გასოლი (10+10 მოხსნა+6 პასი+2 დაფარება).

სერია 1:3

ეროვნული ბიბლიოთეკა






ჩოგბურთი

# ვარდისფერი ჩოგბურთი

**იმისთვის, რომ მუდმივად გამარჯვებულები დარჩნენ და საბანკო ანგარიშები შეავსონ, ქალ ჩოგბურთელებს ყველანაირი მიწიერი სიამოვნების დათმობა უწევთ, მათ შორის მამაკაცთან ურთიერთობისაც. ეს არც არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მათ დედამიწის გარშემო მოგზაურობა და წელიწადში 11 თვის განმავლობაში კორტზე ყოფნა უწევთ.**

ბევრს ჰგონია, რომ ქალთა ჩოგბურთში ლესბოსელობის ისტორია **მარტინა ნავრატილოვას** კორტზე გამოჩენას უკავშირდება. მაგრამ ეს არ არის ასე. მას უფრო ადრეული პერიოდიდან ჩაეყარა საფუძველი. პირველი ცნობილი ჩოგბურთელი, რომელმაც ღიად გამოაცხადა თავისი არატრადიციული ორიენტაციის შესახებ, ბრაზილიელი **მარია ესტერ ბუენო** გახლდათ, რომელმაც 1959-66 წლებში სამჯერ მოიგო უიმბლდონი და ოთხჯერ - აშშ-ს ღია პირველობა.

## ინტიმური გამარჯვებები

პირველი ოფიციალურად აღიარებული ლესბოსელი კი, ამერიკელი **ბილი ჯინ კინგი** გახდა. ქალთა პროფესიონალური ტურის (WTA) დამაარსებელი ცნობილ ფემინისტად და ლესბოსური მოძრაობის აქტივისტად ითვლება. თავის დროზე, მის სახელთან დაკავშირებით სერიოზულ სკანდალს ჰქონდა ადგილი. სავალალო შედეგით დასრულდა კინგის რომანი ახალგაზრდა მდივანთან **მერილინ ბარნეტთან**. ამ უკანასკნელმა შეიტყო, რომ ლეგენდარული ჩოგბურთელი სხვასთან ღალატობდა, შეურაცხყოფა ვერ აიტანა და თავი მოიკლა, თანაც ყველაფერი ისე მოაწყო, რომ პოლიციას მკვლელობაში კინგი დაედანაშაულებინა. მართალია, ჩოგბურთელმა შეძლო თავის გამართლება, მაგრამ სასამართლო პროცესმა მის რეპუტაციას აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა.

მარტინა ნავრატილოვას ვინ არ იცნობს! წარმოშობით ჩეხმა, ამერიკაში თავისი "მოღვაწეობა" იმით დაიწყო, რომ ყოფილი "მის ტეხასი", **ჯუდი ნილსენი** შეაცდინა. დღეს კი, დასავლელი ჟურნალისტების ინფორმაციით, მარტინას ანგარიშზე 44 საყვარელი მოდის! ნავრატილოვამ იმითაც გაითქვა სახელი, რომ დაახლოებით 20-მდე პროფესიონალი ჩოგბურთელი ქალი შეაბა. "რკინის მარტინას" პირველი მსხვერპლნი მისი თანამემამულეები - **ჰანა მანდლიკოვა** და **იანა ნოვოტნა** გახდნენ. სწორედ ამიტომაც, მაშინდელ ჩეხოსლოვაკიას "ლესბოსელი ჩოგბურთელების ქვეყნად" ნათლავდნენ. ნავრატილოვას სექსუალური ბიოგრაფიის შესახებ უფრო ვრცლად ერთ-ერთ უახლოეს ნომერში წაიკითხავთ.

## მორალური კოდექსი

ნავრატილოვას სპორტიდან წასვლის შემდეგ, ჩოგბურთში მთავარი ლესბოსელის "ტიტული" სამართლიანად გადაიბარა 1994 წლის უიმბლდონის გამარჯვებულმა, **კონჩიტა მარტინესმა**. საკმაოდ ხშირად შეუმჩნევიათ, თუ როგორ აბამდა ესპანელი გასახდელში რომელიმე ჩოგბურთელს. ამასთან, კონჩიტა 5 წელიწადი ოფიციალურად ცხოვრობდა წყვილთა თანრიგში თამაშის ცნობილ ოსტატთან **ჯიჯი ფერნანდესთან**. როცა ამ უკანასკნელმა შეატყო, რომ მარტინესი ღალატობდა, იგივე ხერხით სამაგიერო გადაუხადა ესპანელს. მარტინესი ამ ფაქტმა საშინლად გააბრაზა და კარგად მიბეგვა პუერტორიკოელი.

კონჩიტას გადამეტებული ტემპერამენტი ხშირად გამხდარა განხილვის საგანი. ერთხელ, შავკანიანმა ამერიკელმა **ვენუს უილიამსმა** ჟურნალისტებს განუცხადა - ვცდილობ, გასახდელში შხაპის მისაღებად იმ დროს არ შევიდე, როცა გვერდით კაბინაში წყლის პროცედურებს კონჩიტა იღებსო. საერთოდ, ლესბოსელების შიშით, დები უილიამსების მამამ ბავშვობიდანვე ჩაუნერგა თავის ქალიშვილებს სექსუალურ უმცირესობათა მიმართ ზიზღი. გარდა ამისა, **რიჩარდ უილიამსმა** კოდექსიც შექმნა - თუ როგორ უნდა მოიქცეს ჩოგბურთელი, რომელსაც ჩემპიონობა სურს.

თავისთავად, ეს სია საკმაოდ საინტერესო და საგულისხმოა. მაგალითად, იქ არის ასეთი პუნქტები: პროფესიონალურ ჩოგბურთში მეგობრები არ უნდა გაიჩინო; საჩოგბურთო ჯუნგლებში ვინც კი წინ გადაგეღობება, ნებისმიერი უნდა გადათელო და დაუნდობლად გაანადგურო; არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაუბა საუბარი ნავრატილოვასა და კომპანიას (იქვე, შენიშვნის სახით მოცემულია 27 "ვარდისფერი" გვარი). სხვათა შორის, თუ დები რომელიმე წესს გადაუხვევდნენ, მამა მათ მკაცრად სჯიდა ხოლმე: ან ჯიბის ფულს არ აძლევდა, ან კიდევ მარტივად - ქამრით სცემდა ხოლმე.

## გარდაუვალი აუცილებლობა

90-იანი წლების დასაწყისში, საჩოგბურთო სამყაროში პირველი "ვარდისფერი წყვილებიც" გამოჩნდნენ. ამ მხრივ, პიონერებად მოგვევლინნენ **მანდლიკოვა** და ჯერ კიდევ მთლად ნორჩი **ნოვოტნა**. იმისთვის, რომ ხალხს ნაკლები ეჭორავა, მანდლიკოვამ ფიქტიური ქორწინება გააფორმა. დროთა განმავლობაში კი, ჩოგბურთელებმა ყოველგვარ შენიღბვაზე უარი გამოაცხადეს. მაგალითად, ამერიკელი **მერი ჯო ფერნანდესი ლინდსი დავენპორტს** "დაუმეგობრდა", **ანკე ჰუბერმა** კი, უკრაინელ **ანდრეი მედვედევთან** დაშორების შემდეგ, შვება **ბარბარა პაულიუსის** მკლავებში იგრძნო. სხვათა შორის, ქალ ჩოგბურთელთა უმრავლესობა, სწორედ სასიყვარულო დრამების გამო გახდა "ვარდისფერი".

მოკლედ, თუ ადრე კორტის დედოფლები ყველანაირად ცდილობდნენ თავიანთი არატრადიციული ინტერესების დამალვას, დღეს ამაში სამარცხვინოს ვერაფერს ხედავენ და დაუფარავად საუბრობენ თავიანთ გატაცებებზე.

ფრანგ **ამელი მორესმოზე** ბევრს საუბრობენ და წერენ. მის მიერ მონოდებული ბურთის სიჩქარე საათში 180 კილომეტრს აღწევს. გარეგნულადაც, ფართომხრებიანი და დაკუნთული ქალბატონი არაორდინალურ შთაბეჭდილებას ტოვებს. თუმცა, თავის დროზე, პუბლიკის გადაჭარბებული ინტერესი არა ამელის საჩოგბურთო ნიჭმა, არამედ მისმა აღიარებამ გამოიწვია - ერთხელ, ფრანგმა ჩოგბურთელმა განაცხადა: *"მე ლესბოსელი ვარ!"*



ძველი ლესბოსელები - ბილი ჯინ კინგი და მარტინა ნავრატილოვა



კონჩიტა მარტინესი

მელბურნის კორტებზე გამოსვლისას, მორესმომ ასე გადაწყვიტა: სჯობს ერთხელ და სამუდამოდ გაარკვიოს პრესასთან ურთიერთობა და ბოლო მოუღოს ყოველგვარ უაზრო ჭორებსა თუ ვარაუდებს რეპორტიორთა მხრიდან. მით უმეტეს, რომ იგი ყველა ტურნირზე თავის მეგობარ გოგონასთან, 31 წლის **სილვია ბერდონთან** ერთად ჩნდებოდა. ამელიმ ეს ქალბატონი 1998 წლის ნოემბერში გაიცნო და მათი რომანიც სწორედ აქედან იღებს სათავეს. ახალი მეგობრის შეძენამ მორესმოს საჩოგბურთო კარიერას დიდი სარგებელი მოუტანა - მათი დაახლოებიდან ორი თვის თავზე, ფრანგმა ჩოგბურთელმა ავსტრალიის კორტებზე გაიბრწყინა და ამ ქვეყნის ღია პირველობის ფინალამდე მიაღწია.

*"სწორედ სილვიამ დამარწმუნა იმაში, რომ ღიად გამომეცხადებინა ჩვენი ურთიერთობების შესახებ. მას არ სურდა, რომ ჩვენი ნორმალური ცხოვრებისთვის სიცრუეს შეეშალა ხელი. სასაცილოა იმის უარყოფა, რასაც ყველა ხედავს და ამჩნევს. თუმცა, ისე ნუ იფიქრებთ, რომ ჩვენ, ჩოგბურთელები მამაკაცებისგან იზოლირებულნი ვართ. ყველა ჩვენთაგანს არჩევანის უფლება გააჩნია"*, - განუცხადა მაშინ ჟურნალისტებს ამელი მორესმომ.

## მკაცრი მშობლები

ზემოთ დები უილიამსების მამა ვახსენეთ. პირველად ტურნირიდან ტურნირზე მშობლებთან ერთად იმოგზაურეს ჩოგბურთის ვუნდერკინდებმა - **ტრეისი ოსტინმა** (მსოფლიოს პირველი ჩოგანი 1980 წელს) და **ანდრეა ჯაგერი** (უიმბლდონისა და ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტი). ტრესის დედამისი ყოველთვის თან დაყვებოდა, გასახდელშიც კი შედიოდა და ელოდებოდა, სანამ ქალიშვილი შხაპს მიიღებდა, ცნობისმოყვარეთა გაოცებულ მზერას კი ყურადღებას არ აქცევდა.

90-იანების თაობა მშობლების მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ გაიზარდა. **შტეფი გრაფი** და **მონიკა სელეში** მამებთან ხელჩაკიდებულნი დადიოდნენ, დები **მალეევები** დედას არ შორდებოდნენ. იგივე ითქმის **მარტინა ჰინგისზე, ანა კურნიკოვაზე**... დღევანდელი ვარსკვლავებიც ოჯახის წევრებთან ერთად მოგზაურობენ მსოფლიოს გარშემო. მაგალითად, **მარია შარაპოვა** მამის გარეშე ნაბიჯს არ დგამს...

სწორედ ამიტომაც, ქალთა ჩოგბურთის "ვარდისფერი პერიოდი" ნელ-ნელა ისტორიის კუთვნილება ხდება. თანამედროვე ვარსკვლავები იმდენად არიან დაკავებული კარიერითა და ჰონორარებით, რომ "დაქალებთან" და კოლეგებთან სექსი არ აინტერესებთ.

გია **თვალაბეიშვილი**